

სახლში ბრუნდებოდა, ჩხენიშთან გაძარცვეს და სულიც ამოაცალეს საწყალს. ძიებამ მკვლელი, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინა. მოკლული ურია იყო. უფრო მეტიც, ოჯახის წევრები შიშოდან გატრუნულნი იყვნენ, მკვლელები სახლში არ შემოგვივარდნენ და სუყველანი არ ამოგვხოცნენ. ქართველებში არა ერთი იყო ისეთი ნაძირალა, რომლებიც თვით ქართველებსაც კი არ ინდობდნენ, განა ურიას ვინმე დაინდობდა. ისედაც გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართზე მოეწია ...

ბათაშვილების ლოცვის ჯამათის პოტენციალური წევრი იყო



სურ. 244 აბრაამ საპირი (სეფიაშვილი) 1975 წ.

ყველა, ვინც ზეით ბაზრიდან დაწყებული ბათაშვილების უბნის ბოლომდე ცხოვრობდა.

საინტერესოა ამ სალოცავის ბედი. 1952 წლის ბოლოს ექიმების საქმის გახსნის შემდეგ ანტისემიტურმა ტალღამ დაუქროლა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში და საქართველოშიც. დაიწყო სალოცავების დალუქვა და მათი დაწიოკება. ზოგიერთ ადგილებში სეფერთორები გამოიტანეს და დაწვეს კიდეც. იყვნენ მილიციონერები, რომლებიც, უადრესად უხეშად ეპყრობოდნენ ებრაელთა უწმინდეს, რელიგიურ საგნებსა და სეფერთორებს. დაიწყო თალმიდ-ხანშების დაჭერა და შევიწროება.

ამ დროს დაკეტეს ბათაშვილების პატარა ლოცვაც. რამდენიმე

თვის შემდეგ გეზერა გაუქმდა და ლოცვა ისევ გაიხსნა, მაგრამ სამაგიეროდ მის გვერდზე მდებარე, მშენებლობის პროცესში მყოფი, დიდი, მაღალი, აგურის სალოცავი ჩამოგვართოვს და 1956 წელს შიგ ებოს კანტორა გახსნეს. უფრო მოგვიანებით ებოს თავმჯდომარედ ახალგაზრდა მოშე გაბრიელის-ძე შალელაშვილი დანიშნეს. შენობა დაასრულეს, ორ სართულიანად გადააკეთეს და ასევე დარჩა წლების განმავლობაში. სამოციანი წლების დასაწყისში, ებოს ეზო შემოღობეს და დაუპატიჟებელ სტუმრებს შიგ შესვლა აუკრძალეს.

სამოციანი წლების შუა პერიოდში ბათაშვილების სალოცავი დაკეტეს და ის ... აბანოდ გადააკეთეს.

დავუბრუნდეთ ისევ ბათაშვილების ჯამაათის აღწერას. ებოს შემდეგ რიჟინაშვილის (ბონის) ქუჩისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე იდგა ხაისარა და ელიაუ ელიშაყაშვილების უზარმაზარი, აგურის, ორსართულიანი სახლი. რომელსაც უკან მხარეს, მიწიდან მეორე სართულამდე ფართო ქვის კიბეები აუყვებოდა. ჟამთასვლის გამო კიბეები აქა-იქ ჩამტვრეული იყო, ეტყობოდა ოჯახის უფროსის ხელის ნაკლებობა.

ხაისარას ქმარი ელიაუ, ომის პერიოდში ფრონტზე გაიწვიეს და იქედან აღარ დაბრუნებულა. მათ ერთი ვაჟი მორდენა და სამი ქალიშვილი : აბელა, ხანა და თანია ყავდათ. ბოლო ორი ქალიშვილი დაახლოებით ჩემი ასაკისა იყვნენ და სკოლაში ერთად ვსწავლობდით. ამ ნიდაგზე ხშირად გვიწევდა ერთად ყოფნა და ზოგჯერ საშინაო დავალებების შესრულებაც. ამ ფაქტს ისიც აძლიერებდა, რომ ჩვენი სახლის მშენებლობის პერიოდში (1950-1951 წწ.) ჩვენი ოჯახი, ხაისარას სახლის ქვედა სართულზე ცხოვრობდა და ამ პერიოდში ხშირად აგსულვარ ხოლმე ამ მაღალ კიბეებზე.

ხაისარა დაბალი ტანის, ძალიან გულკეთილი და მშრომელი ქალი გახლდათ. მიუხედავად ამისა, მას ძალიან უჭირდა თავის გატანა. რითაც შეეძლო, ცდილობდა ოჯახი გამოეკვება, მაგრამ ამხელა სახლის შენახვას არაფერი ყოფნიდა. იძულებული გახდნენ შენობის ქვედა, დარბაზებიანი ნაწილი გაექირავებინათ. ერთი პერიოდი მეირა ბათაშვილმა არტელთან არსებული სამკერვალო საამქროც კი გახსნა აქ. შემდეგ სახლის დაქირავებულ ნაწილში ერთმანეთს ცვლიდა რამდენიმე ოჯახი. მალე ქირის თანხაც არ ეყო ოჯახს და შენობის ეს ნაწილი შაბათა ფალავანდის შუდრას მიჰყიდეს.

ხაისარას სახლის იქით, ხელმარჯვნივ, სტალინის ქუჩის გაყოფებით ცხოვრობდა კულაშში კარგად ცნობილი საქმოსანი (ვაჭარი) იცხაკია მამაჯანაშვილი. მას კარგად შემოღობილი და მყუდრო, ორსართულიანი ბინა ჰქონდა ქუჩის პირას. იცხაკია სახლში საქმიანობდა და ხშირად ნახავდით ხოლმე მისი სახლის აივანზე წამომჯდარს. ძა-

ლიან დინჯი კაცი იყო და ამასთან დაკავშირებით მასზე ანეკდოტები დადიოდა კულაშში. ვიდრე კაცისგან საქონელს შეიძენდა, იმდენ ხანს აცდევინებდა, ქალი დათრსულებასაც მოასწრებდა და მომშობიარობასაც. თითო სიტყვის ამოღერდვას რამდენიმე წუთი უნდებოდა.

იცნაკიაზე ასეთი ამბავი მომისმენია ბავშვობაში. ერთხელ მასთან



სურ. 245 ხაისარას სახლი კულაშში რიჟინაშვილის ქუჩის დასაწყისში  
1989 წ.

გლეხი მისულა კვერცხით სავსე ტომრით. იცნაკიას შემოთავაზებული ფასი მოწონებია და უთქვამს გლეხისთვის : აიღე ეს ვედრო და ჩამითვალე შიგ შენი კვერცხებით. დათვლის წესი ასეთი იყო : ყოველი ასი კვერცხის გადათვლის შემდეგ გლეხს ერთი კვერცხი იცნაკიას მახლობლად უნდა დაედო, ანგარიში რომ არ შეშლოდათ. დაიწყო გლეხმა კვერცხების დათვლა : სამოცდაათი... სამოცდათხუთმეტი-ი, იცნაკიამ ჯერ ფშვინვა დაიწყო, მერე კი ხვრინვაც ამოუშვა. უყურა

გლენმა იცნაკიას და ოთხმოციდან ოთხმოცდათხუთმეტზე გადახტა, მძინარე კაცი მაინც ვერ მინვდებო. მოპარა იცნაკიას 15 კვერცხი. იცნაკია წანდახან გამოდის ძილიდან, უყურებს გლენს და ისევ მიიძინებს წუთიერად. გადათვალა გლენმა რამდენიმე ასეული კვერცხი და ყოველ ასეულზე თითო კვერცხი გვერდზე გადააწყო შეთანხმების თანახმად.

საქმეში გართულ გლენს არც კი შეუმჩნევია, თუ როგორ "გამოფნი-წლდა" იცნაკია წამიერად და ასეულების აღმნიშვნელი კვერცხებიდან ერთი ცალი ოსტატურად ჯიბისკენ გააქანა ... პარავს გლენი იცნაკიას 10-15 ცალ კვერცხს ყოველ ასეულზე და თან დათვლით იღლება. იცნაკია კი ისვენებს და ასეულების აღმნიშვნელი კვერცხებიდან თითო-თითოს იპარავს. თვლის დამთავრების შემდეგ გლენი იცნაკიას ანგარიშს თხოვს და ისიც გულთბილად აძლევს საჭირო თანხას. გლენი განარებული იმით, რომ ურია მოვატყუეო, სინარულით მიაბიჯებს სახლისაკენ, იცნაკია კი გულში იცინის ... გლენმა იცნაკიას რამდენიმე ათეული კვერცხი დასცინცლა მისი აზრით. რა იცოდა იმ საცოდავმა, რომ მძინარე იცნაკიამ სამჯერ მეტი კვერცხი წაიღო მისგან.

იყო კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა. ერთ მშვენიერ დილას იცნაკია ზეით ბაზარში გავიდა სურიელის საყიდლად. ერთ ადგილას შენიშნა, კარგი, მსუქანი ინდაური და პატრონს ეკითხება :


- რა ღირს ილიკო, შენი ჭუკი ?
- რის ჭუკი, რა ჭუკი, ერთი წელიწადია ვასუქებ საადგომოდ და ახლა ფული დამჭირდა, თორემ ამას ვინ გაყიდდა.
- რას თხოულობ ამ მომაკვდავ ფრინველში ? - ეკითხება იცნაკია.
- ოც მანეთს ...
- ოც მანეთს ? - ჭკუაში არ დაუჯდა ფასი იცნაკიას - ნაკლებად არ იქნება ?

- არა შენ არ მომიკვდე ... პასუხობს გლენი.
- კარგი, მაშინ ცხრაშეტ მანეთს გაძლევ, თუ ვინმემ მეტი შემოგაძლიოს მიეცი, თუ არა და ჩემი იქნება ეს შენი ჭუკი ...

გადის დრო, მოდიან გლენთან მყიდველები, ზოგი რას აძლევს, ზოგი რას, არც ერთს არ შეუძლევია ცხრაშეტი მანეთი და რომც შემოეძლია, ცხრაშეტ მანეთად იცნაკიას შეუნახავდა. უცდის გლენი სხვა მყიდველს. გადის დრო, მოსალომოდ, ძალე ბაზარი დაიკეტება, რაგარი წასათრევია ეს 14 კილოგრამიანი ინდაური უკან სოფელში ? ფიქრობს გლენი და უცბად სახე გაებადრა, ბაზრისაკენ ტაატ-ტაატით მომავალი იცნაკია შენიშნა, მანეთის დაკლებაზე უკვე მზად იყო სულიერად.

იცნაკიამ განგებ გვერდზე ჩაუარა და მისკენ არც კი მიუხედავს. გაეკიდა გლენი,

- მოდი იცნაკია, წვიყვანე ეს ინდოური, შენი ლუკმა ყოფილა.



სურ. 246 მატორი - დენის წისკელი 50-იანი წლები

იცნაკიამ ისე გაიკვირვა, თითქოსდა პირველად ესლა დაენახოს ეს კაცი :

- მე, ძამია, უკვე ვიციდე საშაბათო სურიელი, კვირა დილაძდე რომ არ დაგელოდებოდი ...

სახე დაუსეგდიანდა გლესს. რა ქნას, რომელ წყალში გადაფარდეს.

- იცნაკია, რა ვქნა ახლა მე ...

- კი არ მჭირდება, მარა წავიყვან ამ ჭუკს, 9 მანათით თუ მამცემ.

მთელი დღის განმავლობაში მცხუნვარე მზის ქვეშ ნამყოფი, ილაჯ-გაწყვეტილი გლენი იძულებული გახდა თავისი სიამაყისათვის გადაეხიჯებინა და ნასუქი ინდაური იცნაკიასთვის გაეტანებინა.

ბევრი ასეთი ამბავი გამოიგონია იცნაკია მამაჯანაშვილზე, მაგრამ სამწუნაროდ, ჩემს ბავშვურ მესსიერებას მეტი არ შემორჩენია.

იცნაკიას მარჯვენა მხარეს ცხოვრობდნენ ძმები : მიშიკო, ისნაკია და აბრამი. აბრამს, ძმებში უმცროსს, ცოტა თვალს აკლდა და ეს ძალიან უშლიდა ხელს საქმიანობაში, სამაგიეროდ ძმებს შორის, ყველაზე ახლოს იყო ჯამაათთან და ლოცვასთან. ისნაკია ძმებს შორის ყველაზე საქმიანი კაცი იყო, რა თქმა უნდა, ვაჭრობის დარგში.

უფროსი ძმა მიშიკო ძმებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ ბატები უყვარდა. სადაც არ უნდა გადაწყდომოდა კარგ ბატს, აუცილებლად შეიძინდა ან თავისთვის ან გასაყიდად. მიშიკო ახოვანი და ბრვე ვაჟკაცი იყო და არაერთხელ მინახავს ბავშვობაში, როცა რამდენიმე ბატს ერთდროულად მოათრევდა, სხვას ალბათ ერთის წამოყვანაც კი გაუჭირდებოდა.

ერთხელ მიშიკო ნათესავებმა მიიწვიეს ცხინვალში მცხოვრები მოყვრების ოჯახში. მიშიკო გამოეწყო მოდურ, (იმ პერიოდის), შავი ფერის "პლაშ"-ში და გაემგზავრა ნათესავებთან ერთად. ცხინვალში რომ ჩავიდნენ მიშიკოს სულმა წასძლია და ბაზრისაკენ შეუხვია.

- თქვენ წადით და მე ესლავე დაგეწევით, - უთხრა მან ჩამოსულებს.

ბაზარში მისულმა ბატები რომ შენიშნა, თვალეები გაუბრწყინდა. ფასები იკითხა. ჭკუაში დაუჯდა და დაუფიქრებლად იყიდა რამდენიმე ბატი.

ნახევარი საათის შემდეგ ბატებთან ერთად და ბატების ექსკრემენტებით მოსვრილი პლაშით მიადგა მიშიკო მოყვრების ოჯახს ...

ამ სტრიქონების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ ეს საკმარისია იმის საჩვენებლად თუ ვინ ცხოვრობდა კულაშში და რით სუნთქავდნენ ისინი.

## ჩემი ოჯახის ისტორია

როგორც ადრე მოგახსენეთ, მე კულაში დავიბადე, მაგრამ ჩემი წინაპრები, რამდენადაც ამის დადგენა შეეძელი, ლაილაშიდან (ლენინში) ყოფილან თურმე. სეფიაშვილების გვარი კახეთშიც გვხვდება და მათი წარმომადგენლები თავიანთ თავს სუფთა ქართველებს უწოდებენ. თუმცა გამორიცხული არაა ვარაუდი იმისა, რომ სეფიაშვილების კლანის ერთმა ნაწილმა ისტორიის რომელიღაც გარკვეულ ეტაპზე ქრისტიანობა მიიღო და რჯულის შეცვლის წყალობით თავიანთ თავს ქართველებს უწოდებდნენ.

თვით ჩემი გვარის წარმოშობის შესახებ ასეთი ლეგენდა მსმენია. ჩვენი გვარის წინამორბედი ქართველთა მეფეების კარზე მსახურობდნენ თურმე. მათ თანამდებობას "სეფე" ერქვა. ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მათ შთამომავლებს სეფესშვილები ან

უფრო მოგვიანებით სეფიაშვილები დაარქვეს. დაუდგენელია როდის, მაგრამ სავარაუდოა, რომ ქრისტეს დაბადებიდან მეორე ათასწლეულში ებრაელთა დიდი შევიწროების კვალობაზე მუსულმანების და სხვა



სურ. 247 აბრაამ საპირი (სეფიაშვილი)  
ბათუმის ზღვის სანაპირო პარკში. 1958 წ.

მომთაბარე ტომების შემოსევების გამო საქართველოს აღმოსავლეთში (კახეთში) მცხოვრები ებრაელები დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებს შეეხიზნენ.

როგორც ჩანს, ჩვენი წინაპარნი, სეფიაშვილების გვარის წარმომადგენლები, იმ პერიოდში დასახლდნენ საერთოდ ლენხუშში და კერძოდ სოფელ ლაილაშში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლაილაში სწორედ ებრაელებმა დააარსეს და ამას შემდეგი ვარაუდით ადასტურებენ. მათი აზრით, სიტყვა ლაილაში ორი ნაწილისაგან შედგება, სიტყვა "ლაილა" რაც ებრაულად "ღამე"-ს ნიშნავს და სუფიქს ში-საგან. თურმე აღმოსავლეთიდან გადმობარეებულ ებრაელებს ლენხუშში ასვლისას ამ ადგილას შემოღამებიან და ღამის გასათევად აქ დაბანაკებულან. დილით გამოღვიძებულებს ადგილმდებარეობა მოსწონებიათ და აქვე დასახლდებულან. ახალი



სურ. 248 აბრაამ საპირი (სეფიაშვილი) ბათუმის ზღვის სანაპირო პარკში. 1961 წ.

დასახლებისთვის მათ ლაილაში უწოდებიათ. ლაილაშს დიდი სახელი გაუთქვა დიდმა ებრაელმა ქველმოქმედმა იაკობ სეფიაშვილმა, რომელმაც სხვა საზოგადო დაწესებულებების დაარსებასთან ერთად გააკეთა ოქრონიშის წყარო, რომელიც დღემდე მოქმედებს.

ბაბუაჩემის მამა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში გადმოსულა საცხოვრებლად ლაილაშიდან სოფელ ბანძაში. ეს სოფელი მეოცე



საუკუნის დასაწყისში კულტურის მხრივ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სოფლად ითვლებოდა საქართველოში. რამდენად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ პირველი თეატრალური წარმოდგენა ბანძაში დაიდგა სწორედ. კულტურის დონის განსაზღვრა იმითაც შეიძლება, რომ აქ დაიდგა შექსპირის პირველი პიესა საქართველოში.

ბაბუაჩემი, დავით (დავითო) სეფიაშვილი ბანძაში დაბადებულია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (სავარაუდოა 1880 წელი). ის ღრმად განსწავლული ყოფილა ებრაულ სიბრძნეში. იყო რაბინი, ხაზანი, დარშანი, შონეტი და ღრმად მორწმუნე ებრაელი. ჯამაათის მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე უანგაროდ და უსასყიდლოდ ემსახურებოდა



სურ. 249 აბრაამ საპირი (სეფიაშვილი) 1975 წ. კადრი ტელეფილმიდან - "საქართველოს ებრაელობა"

თურმე. თავს იქაური ვლენებივით მიწის დამუშავებით ირჩენდა. იმდენად სპეტაკი და პატიოსანი ბრძანებულა, რომ როცა ლოცვის გაბაიებს მისთვის შონეტობისთვის გასამრჯელო შეუთავაზებიათ, ქვა აუგდია და თავი შეუშვებია, ვინც ამ ნიადაგზე გასამრჯელოს შემომთავაზებს, საკლავს არ დაგუკლავო - უთქვამს.

იმ პერიოდის ბანძაში ტონს ორი გვარის შვილები იძლეოდნენ : აჯიაშვილები (უმრავლესობა) და სეფიაშვილები.

ბაბუა დავითო იცნაკის ძე სეფიაშვილი უდროოდ, შუა ხნის ასაკში

გარდაცვლილა 1921 წელს. ის ბანძაში დაუსაფლავებიათ. 1989 წელს ისრაელიდან საქართველოში ჩასულმა ბანძის დათვალიერება მოვიწადინე და იქაურ უკვე მიტოვებულ ებრაულ სასაფლაოსაც ვესტუმრე. ბევრი ვეძებე, მაგრამ მაღალი სარეველა ბაღანებით დაფარულ საფლავეს შორის შეუძლებელი აღმოჩნდა ბაბუას ძველი საფლავის ქვის აღმოჩენა.

ბაბუაჩემს ოთხი ძმა (სიმანა, ბესალია, მეირია, ელო) და ორი და, ბაჩიბაყი და ლიზა ჰყავდა. უფროსი და - ბაჩიბაყი კულაშში გამათათხოვეს თურმე 1900 წელს. მან თავისკენ მოიზიდა ძმები. ბანძიდან კულაშში პირველად მეირია გადმოსახლდა 1922 წელს. მის კვალს



სურ. 250 დავით (დავითო) და ესთერ (თეთრა) სეფიაშვილები მე - 20 საუკუნის დასაწყისში

გამოყვა ელო და ბოლოს მამაჩემი (ბებია თეთრასთან და ბიძია შალომიასთან ერთად).

მამაჩემი - შაბათა დავითის-ძე სეფიაშვილი 1906 წელს დაბადებულა ბანძაში. მას ძველი გიმნაზიის ერთი კლასი დაუმთავრებია, მაგრამ თვითგანვითარების და ნიჭის წყალობით გიმნაზიადამთავრებულებს არ ჩამორჩებოდა. მამაჩემს ძალიან ღრმად შეუსწავლია თორა იერუ-შალაიმიდან საქართველოში სპეციალურად მოვლენილ ხახამ იცხაკ

მარდახიაშვილთან. მასთან ერთად უსწავლია თორა მიშაელ აჯია-  
შვილს, რომელიც უფრო მოგვიანებით გადმოვიდა კულაში საცხოვ-  
რებლად. ის ერთ-ერთ ღრმად განსწავლულ ადამიანად ითვლებოდა  
კულაში. მამაჩემმა ზედმიწევნით იცოდა ლაშონ-ჰაკოლეში. ის წერდა  
და კითხულობდა, როგორც ივრითზე, ასევე არამიულ ენაზეც. თავისუფ-  
ლად უსმენდა ხოლმე რადიოგადაცემებს ერეც-ისრაელიდან. მას  
პატარა რადიომიმღები "მოსკვიჩი" ჰქონდა, რომელიც სასთუმალთან



სურ. 251 ელო  
სეფიაშვილი

აღდგენის გადაწყვეტილება (ბენ-გურიონის  
სიტყვა) მოისმინა თუ არა, სახლიდან გავიდა  
და მთელი ღამე არ უძინია სინარულით.  
კულაში ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ის  
ღამე ცეკვებსა და ებრაული სიმღერების  
თქმაში გაატარეს. ყველაფერი ეს ხდებოდა  
1948 წელს. როცა ებრაელთა შორის უდიდესი  
შიში მძვინვარებდა სტალინის რეჟიმის  
მხრიდან. ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან  
ეს შიში კი არ შენელებულა, არამედ კიდევ  
უფრო გაძლიერდა მომდევნო წლებში.  
კულმინაციას კი 1952 წლის ბოლოს მიაღწია,  
როცა მოსკოვში ებრაელი ექიმები დაიჭირეს  
სტალინის საქმესთან დაკავშირებით.

სწორედ ამ დროს დანიშნეს საქართ-  
ველოში კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად  
ვინმე მგელაძე, სონე-ისრაელი, რომელმაც  
სისტემატიურად დაიწყო რელიგიის მიმდ-  
ვართა დევნა და სალოცავების ჩამორთმევა-  
დაკეტვა.

ებრაელებს შიმშილი და უმუშევრობა  
აწუხებდათ იმ დროს. ამას კიდევ საშინელი  
შიში დაემატა - გადასახლებისა. მამაჩემი

იმ დროს ფინგანში მუშაობდა და ბევრ სახელმწიფო ამბებს იგებდა.  
ერთ საღამოს ძალიან ალღვებული დაბრუნდა შინ. მიუხედავად იმისა,  
რომ ბავშვებთან საუბარს ძალიან ერიდებოდა, დედაჩემის თხოვნით  
მისი აღვლევების მიზეზი იმით ახსნა, რომ თურმე სამტრედიის სატ-  
ვირთო მატარებლის ეშელონები ჩამოუყენებიათ კულაშის ებრაელების  
გადასახსნალებლად. ხალხმა იცოდა, რომ ბერძნები უკვე გაასახლეს  
შუა აზიის ქვეყნებში, ეხლა ებრაელთა ჯერი დგებოდა. თან გასახლება  
ყოველგვარი ქონების გარეშე ხდებოდა, ანდა რა ქონება გვქონდა ?

შიში და დარდი მშობლებიდან ბავშვებსაც გადმოგვედო. ჭამის  
მადა დაგვეკარგა. მამაჩემი, რომელიც სხვებზე უფრო ერკვეოდა სიტუ-

აციაში, ძალიან განიცდიდა და გაოგნებული დადიოდა. მიუხედავად დაძაბული მდგომარეობისა, რწმენისა და ებრაელობისადმი თავდადების სურვილი არ დაკარგვია. ლოცვები რომ დაკეტეს, ერთი წუთიც არ დაუყოვნებია, დედაჩემს "ზაალის" (სალონის დიდი ოთახის) დაცლა სთხოვა და სალოცავიდან საიდუმლო ვითარებაში სეფერთორები გადმოაბრძანებინა. შემდეგ სასაღილო მაგიდა გავცალეთ და ზაალის ცენტრში დავდგით. ამიერიდან მას "თების" მოვალეობა უნდა შეესრულებინა. სეფერ-თორები ზაალის მარცხენა კუთხეში მოვათავსეთ და მის წინ კედლის კუთხეში ფარდა ჩამოგვიდეთ წმინდა თორების "კედუშის" დასაცავად. გაფაციცებით დავიწყეთ მეზობლებში "ტაბურეტკა" სკამებისა და ფიცრების შეგროვება, რათა მათი მეშვეობით მლოცველებისთვის საჯდომები მოგვეწყო. ყველაფერი ეს საიდუმლო ვითარებაში ხდებოდა. რამდენიმე ათეული მლოცველი იღებდა მონაწილეობას ამ სახელდახელოდ მოწყობილ სალოცავში. იმ პერიოდში ამის გაკეთება გმირობის ტოლი იყო.

თვეების განმავლობაში ლოცულობდნენ ჩვენთან ის ადამიანები, რომელთაც ყველაზე მეტად ეშინოდათ მთავრობისა. პირველ რიგში ეს ენებოდათ კომპარტიის იმ წევრებს, რომელთაც რელიგია არ მიუტევებიათ და წესებს საიდუმლოდ იცავდნენ. ჩვენს ოჯახში ლოცულობდნენ იმ დროს კულაში მეტად გამოჩენილი ადამიანები და თანამდებობის პირები. მათ შორის ექიმები, ინჟინრები, იურისტები და სხვა.

მე 10-11 წლისა ვიყავი მაშინ და აქტიურად ვეზმარებოდი მამაჩემს, რითაც შემეძლო. მამაჩემმა მოკრძალებულად მთხოვა, ლოცვის დროს "ზექსზე" დავმდგარიყავი და მთავრობის ხალხის მოულოდნელი მოსვლა შემეტყობინებინა მლოცველთათვის. განსაკუთრებით იგრძნობოდა ამის საშიშროება შაბათ დღეს, როცა ებრაელები თავიანთ სახლებში იყვნენ შეყუჟულნი და მილიციას ადვილად შეეძლო შემოხარჯა სახლში.

- "ის უფრო მაძლია შვილო, შენ ხალხი დაიცვა, ვიდრე ჩვენთან ერთად ილოცო, შენ ჯერ კიდევ ბარ-მიცვა (13 წლის) არა ხარ და გამჩენი გაბატები სო", - მითხრა. ძალიან კი არ გამხარებია ჯამათიდან გამოთიშვა (აქ შემიძლია ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ 4 წლის ასაკიდან 17 წლამდე, სკოლა რომ დავამთავრე და ბათუმში წავედი სწავლის გასახრძელებლად) არც ერთი ლოცვა არ გამიცდენია არც დღეს, არც საღამოს.

ჩემი ორგანიზაციული ნიჭი გამოვიყენე და ბავშვები დავრანხმე. გათენებისთანავე ჩვენი სახლის ირგვლივ განვალაგე ისინი ჯგუფებად და ვთხოვე ლახტობია ეთამაშნათ. თან ავუხსენი, რომ გაფაციცებით ეცქირათ, ვინმე უცხო ან ნაკლებად სანდო ადამიანი არ მოახლოებოდა სახლს, რომ განგაშის ატეხვა მოგვესწრო. მაშინ მლოცველები ოთხივ კუთხივ გაიფანტებოდნენ და გადარჩებოდნენ. ერთადერთი ადამიანი,



სურ. 252 შაბათა დავითის ძე სეფიაშვილი კურორტ კისლოვოდსკში 1961 წ.

ვინც მილიციას ჩარჩებოდა ხელში, ეს მამაჩემი იყო. მხოლოდ ესლა შემიძლია იმის გააზრება, თუ რაოდენ რისკში იგდებდა თავს მამაჩემი ამ საქციელით, მაგრამ გ-ჩენისა და ხალხის სიყვარული იცავდა მას.

როცა იმ წყევულ პერიოდზე ვლაპარაკობთ (1948-1956 წლები), არ შეიძლება მკითხველს არ მოვავიგონო, თუ რამდენი თალმიდ-ხანამი გამოასალმეს სიცოცხლეს, გადაასახლეს და დაასახინრეს მაშინ საქართველოში. მათ წვერებს გლეჯდნენ, თმებს მაკრატლით ჭრიდნენ, ცემდნენ და სხეულებს პაპიროსის ნამწვავებით უდაღავდნენ. იტანჯებოდა, იღუპებოდა ხალხი, საუკეთესო თალმიდ-ხანამები, რომელთა ერთადერთი "დანაშაული", ებრაული რელიგიის ერთგულება და ბავშვებში მისი გავრცელება იყო. იმ პერიოდში ჩემი რაბი, ხანამ მინაკია ელაშვილიც დააპატიმრეს, დააინვალიდეს და მერე გამოუშვეს. რამდენიმე კაცი საერთოდ არ დაბრუნებულა სახლში, ციხეში ან გადასახლებაში ჩაკლეს.

უნდა მოვიგონო კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ჩემს მენსიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა. 1952 წლის ბოლოს და 1953 წლის დასაწყისში სტალინის გარდაცვალებამდე რამდენიმეჯერ სცადეს ჩვენს "ბონის" ქუჩაში მდებარე ბათაშვილების ლოცვის ჩამორთმევა-დაკეტვა. იმ დროს ერთი პატარა ძველი ლოცვა გვექონდა, რომელშიც შაბათობით მლოცველები ვერ ეტეოდა და ახალი, აგურის ძალიანი სალოცავი, რომელიც მშენებლობის პროცესში იყო. მანსოვს, როგორ გაყიდა დედაჩემმა ბუმბულის რამდენიმე ბალიში და ქალიშვილის სამზითვოდ გამზადებული და დიდი ტანჯვით შეგროვილი რამდენიმე კილოგრამი ბუმბული იმისათვის, რომ ფული ლოცვის ასაშენებელ ფონდში შეეტანა.


მილიციას განსაკუთრებული იერიში მოჰქონდა ახალ სალოცავზე. ერთ საღამოს ცნობა მოვიდა, რომ მილიცია გაძლიერებული რაზმით აპირებდა სალოცავზე თავდასხმას მისი ჩაკეტვის მიზნით. დატრიალდა ხალხი. ვისაც რის გაკეთება შეეძლო. ზოგმა ძველი ლეიბები მოიტანა, სალოცავის შენობის შიგნით მიწაზე დააგო (მაშინ სალოცავს იატაკი ჯერ კიდევ არ ჰქონდა, მაგრამ ხალხი მაინც ლოცულობდა შიგ) და ამბობდნენ, აქედან ცოცხალი ვერავინ გამოგვიყვანსო. საღამო ხანს ლოცვაში თავი მოიყარეს მოხუცებმა, ქალებმა, ხეიბრებმა და ჯამაათის იმ წევრებმა, ვისაც გამბედაობა ეყოთ. სალოცავის წინ ტრიალებდა ათობით ახალგაზრდა და შუახნის მლოცველი, რომლებმაც სხვა ვერა მოახერხეს რა, როცა მილიციის რაზმი მოუახლოვდათ, სალოცავის შესასვლელის წინ მიწაზე დასხდნენ და მილიციას ლოცვაში შესვლაში ხელი შეუშალეს.

განსაკუთრებით აქტიურად ჩვენ, ბავშვები ვემზადებოდით. სალოცავის მახლობლობაში, ეზოებსა და ყანებში უამრავი ქვა და ღორღი მოვზიდეთ. მოუთმენლად ველოდით მილიციის გამოჩენას და როცა

მათ, მიწაზე მსხდომთა გაროზგვა და ძალით აყრა დაიწყეს, ბავშვებმა სპონტანურად ქვების სეტყვა დაფაყარეთ მილიციელებს. მოდიოდა ქვების კორიანტელი, ძირითადად შატარა კენჭებისა, ჩვენ კი არსად ვჩანდით, გაქცევაც ადვილად შეგვეძლო. ბევრი მილიციელი დარჩა იმ დღეს თავგატეხილი და სახემოღრეცილი. ხალხმა დროებით გამარჯვებას მიაღწია.

უბრალო ხალხს განა შეეძლო საბჭოთა რეჟიმის და ებრაელები-სადმი სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლა. უფრო მოგვიანებით ჯერ ახალი სალოცავი ჩამოგვართვეს, მშენებლობა დაამთავრეს და შიგ "ეპო" გახსნეს, მერე შატარა სალოცავიც დაკეტეს და მის ადგილას აბანო გახსნეს.

დავუბრუნდეთ ისევ მამაჩემს. 19 წლის ასაკში წამოსულა ბანშიდან კულაში. მასთან ერთად გადმოსახლებულა ახლადდაქვრივებული ბებიჩემი, მისი უფროსი ვაჟი შელოშია, უმცროსი ოსო და ქალიშვილები - სიფორა და აბელა. აქ ქუდის კერვის ხელობა უსწავლია და ახალგაზრდა თავს ამით ირჩენდა. 22 წელს გადაცილებული ყოფილა, როცა დედაჩემზე, თამარა იოსების ასულ ბოთერაშვილზე დაქორწინებულა. მათი ქორწინება 1928 წელს შემდგარა, 16 წლის არ იყო დედაჩემი, როცა ამხელა ოჯახის დიასახლისობა დაეკისრა. ოჯახური საქმიანობის გარდა მას უნდებოდა რამდენიმე ახლო ნათესავის აღზრდა და დათავიანება. რამდენიმე ქვრივ-ობოლი გამოზარდა და დაასახლა მან. სულ მუდამ ოჯახში ტრიალებდა და ტიტანურად შრომობდა. თან ხუთ წვრილ-შვილს ზრდიდა.



სურ. 253 ამ წიგნის ავტორის მამა შატარა სეფიაშვილი (მარცხნიდან პირველი) და ავტორის მამიდას ქმარი ბენო (ბენიამინ) ბარდანაშვილი (ზის მარჯვნივ).

ბაბუაჩემი, ოსია ბაბალიაშვილი (იოსებ ბოთერაშვილი) თავისი ცხოვრების ბოლო ეტაპზე ფოსტალიონის მოვალეობას ასრულებდა. მას დიდხანს არ უცოცხლია და სადღაც 1948 წელს გარდაიცვალა. მე ის ძალიან მკრთალად მახსოვს. ვიცი, დაბალი ტანის, მხიარული კაცი ბრძანდებოდა და კამფეტებით მასაჩუქრებდა. სამაგიეროდ შესანიშნავად მახსოვს ბებია ხებედია (დედაჩემის დედა) ანუ იონაბედ მირილაშვილი. ძალიან და ტანწერწეტა, ლამაზი პირისახის მქონე 70 წლის ქალი საშაბათოდ რომ გამოეწყობოდა, გასათხოვარი ქალი გეგონებოდათ. ხასიათით ანხელი იყო, მაგრამ ძალიან გულკეთილი. ძა-



სურ. 254 თამარა სეფიაშვილი  
- აბრაამ საპირის დედა

ლიან ებრალებოდა ჩვენი ოჯახი, სილატაკეში მცხოვრებ ქალიშვილს ცდილობდა ყველანაირად დახმარებოდა. პატარაობისას მე შედარებით მკაცრად მეპყრობოდა, ვინაიდან ძალიან ცელქი ვიყავი და ჩემზე უფროს ბიძაშვილებთან ვჩხუბობდი ხოლმე. ვინაიდან ისინი ბებიაჩემის ეზოში იზრდებოდნენ, მათ მხარეს იჭერდა მხოლოდ და მე წყევლა-კრულვით ამავესებდა ხოლმე. რამდენიმე წუთის შემდეგ მშვიდდებოდა და კამფეტებით მიმასპინძლდებოდა.

ბაბუაჩემის გარდაცვალების შემდეგ ბებია ხებედიას სახლში ბევრი გვიმხიარულია ხოლმე ბავშვებს. აი რაში იყო საქმე. ქვრივი ქალიშვილის სანახავად შაბათობით ბებია ხებედიასთან ხშირად მოდიოდა მისი დედა, დიდი ბებია ხანაია. ეს მსცოვანი ქალი 90 წელს გადაცილებული იყო ასაკით და ძალიან უყვარდა არაყის სმა. რაც უფრო ხუცდებოდა, მით უფრო ვერ ზომავდა ნორმას და არაყს ყოველგვარი ანგარიშის გარეშე სვამდა. პატარებმა კარგად ვიცოდით, თუ სად ინახავდა ბებია ხებედია ბროლის სურაში დაყენებულ "ვიშონკა"-ს (ანუ ალუბლის წვეწვე დაყენებულ არაყს), უხმაუროდ გამოვიღებდით მას კარადიდან, საწოლის უკან გადავმაღლავდით და პატარა ასგრამიან ჭიქაში ჩამოვასწამდით. ერთ-ერთი ჩვენთაგანი ბებია ხებედიას იქეთ გაახელებდა და ჩვენ ბებია ხანაიას ჭიქას ვაწვდიდით. ისიც წამიერად გადაკრავდა ხოლმე ჭიქას და ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, საუბარს აგრძელებდა. ასე ვაგრძელებდით მანამ, სანამ სურა არ დაიცლებოდა. შემთვრალი ბებია ხანაია ჯერ სიმღერას წამოსძახებდა ხოლმე, მერე კი ცეკვას იწყებდა. მოხუც ქალს სიმთვრალე ერეოდა ხოლმე და ცეკვის დროს



იატაკზე იმხლართებოდა. მაშინ იწყებოდა ბავშვების სიცოცხლე-ხარხარი და ბებია ნებედიას გაკაპასებული წყველა-კრულვა. ის გვიან სვდებოდა ბავშვების ოინს.

ბებია ნებედია დარბაისელი და არისტოკრატიული ხასიათის ქალი ბრძანდებოდა. ვაგლახად მასთან საუბარს ვერაფერს ვაბედავდა, ცხოვრებაც ხელს უწყობდა. ყველა შვილი მოსწრებული და დასახლებული ყავდა. დედაჩემის გარდა, რომელიც შვილებში ყველაზე უფროსი იყო, ბებიაჩემს კიდევ ოთხი ვაჟი ჰყავდა: ისრელა (ისაკ), არონია

(ალიოშა), მიშა (ბახვა) და ბესიკო (ბესო). ბიძია ისრელა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ბათუმში ცხოვრობდა და საფოსტო განყოფილების უფროსად მუშაობდა. აქვე ცხოვრობდა ალიოშაც, რომელიც აგრეთვე საფოსტო განყოფილებას ხელმძღვანელობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბათუმში, განსაკუთრებით კი კავშირგაბმულობის აჭარის სამმართველოს უფროს გაბიძაშვილის პერიოდში. ჩემი ბავშვობის დროს ბესოც ბათუმში ცხოვრობდა და ცენტრალური უნივერსიტეტის საწყობის გამგედ ითვლებოდა. ასაკ-



სურ. 255 ნებედია ბოთერაშვილი (მირილაშვილი)  
- აბრაამ საპირის ბებია (დედის დედა)

ით მესამე ბიძა დედის მხრიდან, მიშა ჯერ ზაკატოვშნიკი იყო, ხოლო შემდეგ მალაზიაში ნოქრად მუშაობდა სამტრედიის და კულაში ცხოვრობდა. მან საუკეთესო აგურის სასახლე აიშენა ბებია ნებედიას დიდ ეზოში და აქ გაზარდა თავისი შვილები. ბიძაჩემ მიშას ვაჭრობაში კარგი მარიფათი აღმოაჩნდა და ფინანსურად საკმაოდ ძლიერად იყო. ასეთი შვილების ხელში აბა ბებიაჩემს რა გაუჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ქმრისეული სახლის მიტოვებაზე და რომელიმე შვილთან

გადასახლებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა. სიცოცხლის ბოლომდე თავის ორსართულიან უზარმაზარ ბინაში ცხოვრობდა და მის ეზოში მცხოვრებ შვილთანაც კი არ ათევედა ღამეს. ძალიან ამაყი ქალი იყო.

ხელობის მცოდნე და განათლებული მამაჩემის დასიძება ბევრს სურდა თურმე მაშინ კულაში. ჩემი ბავშვობის დროინდელ კულაში შაბათა სეფიაშვილს იცნობდნენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ერუდირებულ და პატიოსან კაცს, ღმერთისა და გამჩენის მოყვარულ და თორის ღრმად მცოდნეს. ამიტომ ჭკუის საკითხავად ხშირად მოდიოდნენ ხოლმე მასთან.



სურ. 255 იოსებ და ხებედია ბოთერაშვილები მე-20 საუკუნის დასაწყისში

თმის წინა პერიოდში მამაჩემს კულაშის სოფლის საბჭოს ფინანსურ განყოფილებაში დაუწყია მუშაობა მიწის რენტისა და საშემოსავლო გადასახადების ამკრეფად. რამდენი გაჭირვებულისთვის გადაუფარებია ხელი ამ პოსტზე, რამდენი მოსახლესთვის შეუმცირებია გადასახადის თანხა, ზოგისთვის ვალის გადახდის ვადა გადაუწყევია და ამით შეუწყვია ხელი. ხალხი უფასებდა მას ერთგულებას და პატივს სცემდა.

თმის შემდგომ პერიოდში სამტრედიის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის მოვალეობასაც ასრულებდა. სხვა სოფლელებთან შედარებით ის კლასიკურადაც და თორითაც უფრო მომწადებულად ითვლებოდა და ხალხი ამიტომაც სცემდა პატივს. ორმოცდაათიანი

წლების დასაწყისში სამტრედიის ბაზარში დუქანი აიღო პატენტით და ქუდებს ყიდდა. მის მიერ შეკერილ ქუდებს. ("ვაენნი" ქუდების კარგ სპეციალისტად ითვლებოდა მამახეში) ბევრი მუდმივი კლიენტი ჰყავდა. ღარიბულად მცხოვრებ ოჯახს მაინც არ ყოფნიდა არაფერი. შემდეგ ვილაცის რჩევით ბორჯომში წავიდა ჯერ რკინა-კაგეულის, ხოლო შემდეგ ფენსაცმელების მაღაზიაში ნოქრად სამუშაოდ. მამახემს ნოქრად მუშაობა არც ისე ეპიტნაგებოდა და არც ძალიან ეხერხებოდა, ამიტომ თავისთან დასახმარებლად ჩემი 14 წლის ძმა-იაშა წაიყვანა. ეს უკანასკნელი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო და ბევრად უკეთ გაჭრობდა, ვიდრე მამახეში.

მამახემის ამხანაგი მაღაზიაში კულაშელი იაკობ ჯანაშვილი იყო. ის აღფრთოვანებული იყო ჩემი ძმა იაშას მარიფათით და ძალიან აფასებდა მამახემის პატიოსნებას. ბორჯომში მუშაობის (ისინი ხიდის გაღმა მდებარე უნივერსიტეტში მუშაობდნენ) პერიოდში ოჯახი ცოტათი ეკონომიურად მოძლიერდა. მამახემმა შეძლო ბორჯომიდან საზამთროდ შეშის გამოგზავნა სატვირთო მანქანით. უფრო მოგვიანებით კი ახალი სახლის საშენი ხის მასალაც მოაყოლა.

ჩვენ დროებით საცხოვრებლად ხაისარა შალელაშვილის უზარმაზარი აგურის სახლის ქვედა სართულში გადავედით საცხოვრებლად. ეს სახლი მოუთავებელი იყო და იატაკი არ ჰქონდა. ფაქტიურად მიწაზე ვცხოვრობდით ახალი სახლის მშენებლობის მთელ პერიოდში.

ახალი სახლის მშენებლობა წელიწადზე მეტი გაგრძელდა. ქვედა სართული აგურისა გახლდათ, ზედა კი ხისა. ხის სართულის ნაწილი



სურ. 257 შაბათა სეფიაშვილი (წიგნის ავტორის მამა) მეგობართან. მიშია ბათაშვილთან ერთად კურორტ საირმეში 1957 წ.

ქვის სვეტებზე იდგა და მოლიანად ფინანსური გაჭირვების გამო დიდხანს არ დამთავრებულა. "ზაალის" იატაკისა და ქერისთვის საჭირო მასალა არ გვექონდა. მამაჩემმა აგურით ნაშენ ქვედა სართულის წინა მარცხენა ნაწილში ხელოვნური მაცივარი გააკეთა. მეტრნახევარი სიღრმის მიწა ამოიღო და ამოაცემენტა. გადაწყვეტილი გვექონდა აქ ღვინით სავსე ბოცები დაგვეყენებინა. სამწუხაროდ, მისი გამოყენება ვერ შევძელით, ვინაიდან ზამთარში მაცივარში წყალი ამოვიდა და მისი დონე თანდათანობით მატულობდა. წვიმიან პერიოდში ასე ხდებოდა კულაშში, მიწისქვეშა წყლის დონე მაღლა იწევდა . ქებში



სურ. 258 იაშა სეფიაშვილი ჭაბუკოზის პერიოდში

წყალი თითქმის მიწის ზედაპირს უსწორდებოდა და ხშირად ისე იმღვრებოდა, სასმელადაც არ შეიძლებოდა მათი გამოყენება. ასეთ შემთხვევაში სასმელი წყალი ბიძია მიშასგან მოგვექონდა, რომელსაც ღრმა და ბეტონით ამოშენებული ჭა ჰქონდა, რომელშიც ნიაღვრის წყალი ვერ შეუონაგდა.

ბორჯომიდან მამაჩემი დაავადებული დაბრუნდა სახლში. მას თირკმლები აწუნებდა. ავადმყოფობამ ძალიან დააუძლორა. ის ისევ თავის ხელობას დაუბრუნდა, მაგრამ "ზაკაზების" რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. ოჯახს რჩენა უნდოდა. ჩემი ძმები ბათუმში წავიდნენ სამუშაოდ და იქვე დასახლდნენ. მე საშუალო სკოლა

დავამთავრე და იქვე წავიკეთე ბათუმში, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. მერე ჯარში გამიწვიეს (1962). მამაჩემი კულაშის დიდ სალოცავში ჩამოყალიბებულ "ხევრა"-ში შევიდა. "ხევრა" ეს იყო მინიანი (10) მოხუცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში თორას კითხულობდა ან სწავლობდა.

როგორც ადრე მოგახსენეთ, მამაჩემი თორის მცოდნედ ითვლებოდა.

ის ღრმად შედიოდა "კაბალასა" და "ზოარში", იმდენად შორს, რომ სულიერი სამყაროს წყობის საფუძვლებს იგებდა. სწორედ ამიტომ ძალიან უფროხილდებოდა ტყუილად საუბარს. მასსოვს ერთხელ "ზოარს" კითხულობდა. ("ზოარი" განსლავთ რაბი შიძყონ ბარ-იოხაის მიერ, დაახლოებით თვრამეტი საუკუნის წინ დაწერილი სწავლება არამიული ენით, რომლის გაშიფვრა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამბობენ, რომ



სურ. 259 აბრაამ საპირი (მარცხნივ) ისრაელში ამოსვლისთანავე 1973 წ.

სულის არსის გაგების საფუძველს სწორედ "ზოარი" წარმოადგენსო)...

შვილებს შორის მე ნაბოლარა განსლავით და მამაჩემს განსაკუთრებით ვუყვარდი. ვგრძნობდი რა ამას, ერთხელ თორაში თავჩაყოფილ მამაჩემს მივუახლოვდი, მიველაერსე და ბავშვური გულუბრიყვილობით ვთხოვე აესსნა ჩემთვის, თუ რას ჩაკირკიტებდა ამ თორაში. მან პასუხის გაცემისაგან თავის არიდება სცადა და მითხრა, ეს ისეთი მეცნიერებაა, რომლის შესწავლას თორა უკრძალავს ახალგაზრდებს 40 წლის ასაკის მიღწევამდეო. სხვა ჩემს ადგილზე ამით დაკმაყოფილდებოდა, მე

კი არ მოვეშვი და დავიჟინე, უნდა გამეგო, თუ რით იყო დაკავებული. უფრო ჩემგან თავის დასაღწევად მითხრა, რომ აქ ქვეყნისა და ებრაელი ერის მომავალზეა საუბარი და მე ამ გამოცანების ამოხსნას ვცდილობო.

ეს რომ გავიგონე, ჩავაცვივდი, მე მინდა ვიცოდე მომავალში რა მომელის მეთქი. კატეგორიულად იუარა. ვიცოდი რა მამაჩემის რბილი

ხასიათი, სიჯიუტე გამოვიჩინე და არც თორის სწავლის განგრძობის საშუალება მივეცი. იძულებული გახდა, რაღაცით მაინც დავეკმაყოფილებინე და და მითხრა, კარგი, მაშინ (ბაბუაჩემის მიერ დატოვებული თორა აიღო) ამ თორაში ჩავიხედავ და რაიმეს გეტყვიო. თორა, რომელიც ხელში ეჭირა არც ისე სქელტანიანი იყო, მაგრამ ის სავსე იყო მათემატიკური ფორმულებით, გეომეტრიული ნახაზებით და ციფრებით. გარკვევით მახსოვს ისიც, რომ წიგნი დაყოფილი იყო პარაგრაფებად და თითოეულ აბზაცს წინ სათანადო ნომერი ესვა ებრაული ასოებით. მამაჩემმა მთხოვა თვალუბი დამეხუჭა, თორა ისე გადამეშალა და თითი დამედო ერთ-ერთ აბზაცზე. ასეც მოვიქეცი. მამაჩემმა დიდი ყურადღებით შეისწავლა ეს აბზაცი, შემდეგ თავში გაიაანალიზა და მითხრა :

"...აი რა წერია შვილო აქ, 84 წელს იცოცხლებ ამ ქვეყანაზე, საზოგადოების საშუალო ფენის წარმომადგენელი იქნები, ბევრ წინააღმდეგობებს წააწყდები ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერს გადალახავ, რასაც მოიწადინებ, სურვილს შეისრულებ, მაგრამ მძიმე და გრძელი, ტანჯვის გზის გავლის შემდეგ ..." ცოტა ხნის შემდეგ თავის მხრივ დაუმატა : - "არასდროს ემსახურო ჯამაათს გამორჩენის ან საზღაურის მიღების მიზნით, გააკეთე ეს უანგაროდ. თუ არ ძალგდის, გადექი გვერდზე და მძიმე შრომით გამოიკვებე თავი ..."

თქვა და დახურა თორა. ჩაფიქრდა სერიოზულად. მაშინ ათიოდე წლის თუ ვიქნებოდი. მამაჩემის ნათქვამმა ჩემი ბავშვური ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა და გარეთ სათამაშოდ გავიქეცი.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ უკვე თითქმის 50 წელი გავიდა (აგერ უკვე 60 წლისა ვხდები) ამ ხნის განმავლობაში ერთი წამითაც არ დამვიწყებია მამაჩემის ნათქვამი და ამ ხნის მანძილზე არაერთხელ დაგვირგებულვარ ჩემს ცხოვრებას, შემიდარებია ის იმ თორაში ამოკითხულთან და განვცვიფრებულვარ იმით, თუ რაოდენ ზუსტად ამხნდა მამაჩემის ნათქვამი მაშინდელი სიტყვები.

ჩვენ სახლში გვქონდა შავი ფერის საღებავით შეღებილი ხის საშუალო ზომის კარადა, რომელიც სავსე იყო ძველი (200-250 წლის წინათ) ვილნიუსში, პოლონეთის ქალაქებსა და კიდევ რამდენიმე სხვა ადგილას გამოცემული ებრაული წიგნებითა და თორებით. ეს გახლდათ ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო დიდგაბარითიანი წიგნები ლაშონ-აკოდეშსა და არამიულ ენებზე. ალბათ ასე 200 ცალამდე. მათი ფურცლები ჟამთა ცვლას გამოეყვითლებინა. მე ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ხოლმე მათ და მათში სურათებსა და ნახატებს ვეძებდი. ებრაული ენა არ ვიცოდი და წაკითხვა და გაგება არ შემეძლო. კარადას ქვემოდან დიდი გამოსაწევი უჯრა ჰქონდა, რომელიც პირამდე სავსე იყო ებრაულენოვანი წიგნების ფურცლებითა

და კლაფზე დაწერილი გრაგნილებით. აქვე იყო მეგილები და ორი შავი და თეთრი ფერის რქისაგან დამზადებული შოფარი. მთელი ეს ბიბლიოთეკა თურმე ბაბუა დავითოს საკუთრება ყოფილა თავის დროზე, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მამაჩემის განკარგულებაში გადმოსულა მეპევიდრობით.

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ (1964) ყველაფერი, რაც ამ კარადაში ინახებოდა, სალოცავს ჩაგაბარეთ, ვინაიდან მამაჩემის შვილებს შორის არც ერთს არ შეგვეძლო მათი გამოყენება. ეხლა, როცა ისრაელში ვცხოვრობთ, ნათელია ჩემთვის, თუ რა საგანძური დაგვიკარგავს. თითოეული ის ძველებური ებრაული წიგნი დღეს ოქროს ფასი ეღირებოდა. განა მე მათი მატერიალური საფასური მანაღვლებს, არაჰედ მთე-



სურ. 260 ახლო ნათესავები (მარცხნიდან მარჯვნივ): ნაზი ისაკის ასული ბოთერაშვილი, ხებედია მირილაშვილი, შოთა მიშას ძე ბოთერაშვილი, სარა იოხანანის ასული მოძღვრიშვილი, რაფიკა ისაკის ძე ბოთერაშვილი და ზის ნანუ შაბათა ასული სეფიაშვილი. წალვერი 1951 წ.

ლი ის სულიერი სიმდიდრე, რაც იმ წიგნებში იყო მოქცეული.

მამაჩემმა ბრწყინვალედ იცოდა ებრაული ენის გრამატიკა - "დიკ-დუკი", რის გამოც კულაშელი ნახმები მას ხშირად მიმართავდნენ დანმარების სათხოვნელად. "ხევრაში", სადაც მამაჩემი მონაწილეობდა, ხშირად იმართებოდა ხოლმე დისკუსიები გრამატიკის საკითხებზე და უნდა გენახათ მაშინ მამაჩემის გაბრწყინებული სახე, როცა შესძლებდა ყველასთვის დაემტკიცებინა "შეკოროთ"-იდან, რომ სწორედ მისი აზრი იყო ყველაზე ზუსტი და სწორი. ამას კი ძალიან ხშირად აღწევდა. "ხევრაში" მონაწილეობისათვის მას მცირედენ თანხას უხდიდნენ, რომელიც შვილებისაგან მიღებულ დანმარებასთან ერთად ძლივს ყოფნიდა ოჯახს გამოსაკვებად.

1963 წელს მამაჩემი, დედაჩემთან, ჩემს დასთან (ნანუ) და დისშვილ-თან (არონი) სომხეთის ქალაქ ლენინაკანში ჩამოვიდა ჩემს სანახავად. მე აქ ლენინაკანის გარნიზონში გავდიოდი სამხედრო სამსახურს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჯარებისაგან განსხვავებით, საბჭოთა არმი-



სურ. 261 აბრაამ საპირი ლენინაკანში. და ნანუ და დისშვილი არონი 1963 წ. აში სამწლიანი სავალდებულო სამსახურის მოხდის პერიოდში შგებუ-ლების მიღება დიდ პრობლემას წარმოადგენდა და ბევრი ისე ამთავ-რებდა სამხედრო სამსახურს, რომ ოჯახის სანახავადაც კი არ უშვებ-დნენ. ამის გათვალისწინებით ჩამოვიდა მამაჩემი ჩემს სანახავად



ჯარში. თურმე ბედს ასე სურდა და მამაჩემი მე მაშინ ვნახე უკანასკნელად.

ის 1964 წლის პირველ აპრილს გარდაიცვალა სამტრედიის რაიონულ საავადმყოფოში თირკმელზე ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, ექიმის თქმით, მას გულმა უღალატა. წესიერი მკურნალობით მას კიდევ მრავალი წელი უნდა ეცოცნლა, მაგრამ 58 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე.

ჯარიდან სასწრაფოდ წამოსულმა დასაფლავებას უკანასკნელ წუთს მივუსწარი. მთელი ნათესაობა ჩემს ჩამოსვლას ელოდა და შევაბიჯეთუ არა ფენი სახლში, რამდენიმე წუთის შემდეგ გააბრძანეს მიცვალებული.



სურ. 262 აბრაამ საპირი (სეფიაშვილი) ლენინაკანში სამხედრო სამსახურის გავლის დროს. 1963 წ.

## და-ქმეპი

ჩემს მშობლებს ხუთი შვილი შეეძინათ, მათ შორის უფროსი გახლდათ თინა (დინა), რომელიც 1931 წელს დაბადებულა. თინა უნიჭიერეს ბავშვად ითვლებოდა თავის თანატოლებს შორის. ამ ფაქტით აღფრთოვანებული მამაჩემი სიამოვნებით იხსენებდა ხოლმე ასეთ ამბავს. უფროს ქალიშვილს სასკოლო ასაკისთვის რომ მიუღწევია, ნინოშვილის

სახელობის დაწვევით სკოლაში მიუყვანიათ. იქ მის მიღებაზე უარი განუცხადებიათ იმ მოტივით, რომ თინა 1 სექტემბერს 6.5 წლის იქნებოდა მხოლოდ, პირველ კლასში კი მხოლოდ 7 წლის ბავშვებს ღებულობდნენ. მამაჩემს პროტესტი განუცხადებია. მასწავლებელ პროკოფი კანდელაკს, რომელიც ძალიან საყვარელი პიროვნება იყო, "აუხსნია" მამაჩემისთვის :

- რად გინდა ბავშვი ტყუილად დატვირთო დროზე ადრე, გაუჭირდება - თ.

მამაჩემი რაიონული კომიტეტის განათლების განყოფილებაში წავიდა და თინაც წაიყვანა. იქ განყოფილების მუშაკებს აუხსნა, რომ ბავშვმა წერა-კითხვა და ანგარიში მეოთხე კლასის დონეზე იცის და კოწია პირველ კლასში არ იღებსო. თან თინას ნაწერი რეველიც აჩვენა მათ. იქ ეჭვი შეეპარათ. მამაჩემმა ყოყმანი რომ შეატყო, თავისთან მიიხმო თინა და იქაურებს გაზეთი თხოვა.



სურ. 263 თინა მიხელაშვილი

წავიდა და თინაც წაიყვანა. იქ განყოფილების მუშაკებს აუხსნა, რომ ბავშვმა წერა-კითხვა და ანგარიში მეოთხე კლასის დონეზე იცის და კოწია პირველ კლასში არ იღებსო. თან თინას ნაწერი რეველიც აჩვენა მათ. იქ ეჭვი შეეპარათ. მამაჩემმა ყოყმანი რომ შეატყო, თავისთან მიიხმო თინა და იქაურებს გაზეთი თხოვა.

- წაიკითხე, შვილო, ეს გაზეთით, - უთქვამს და განგებ გაზეთი უკუღმა დაუჭერია ხელში. თინა არც კი დაფიქრებულა, ისე დაუწყია უკუღმა დადებული გაზეთის სხაბა-სხუპით კითხვა. ამით განცვიფრებულ განათლების მუშაკებს თვითონ ურბენიათ იმისთვის, რომ ჩემი და სკოლის 1 კლასში ჩაერიცნათ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, თინასთვის წერა-კითხვა სპეციალურად

არავის უსწავლებია. დედაჩემი წერა-კითხვის უცოდინართა არმიას ეკუთვნოდა და სადაბო საბჭომ მას სპეციალური მასწავლებელი დაუნიშნა, რათა მისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა. პატარა თინა გულისყურით უსმენდა დედის მასწავლებელს და ... ასე შეისწავლა მან ანგარიში და წერა-კითხვა დედაზე ადრე.

უნდა გავისვენოთ სკოლაში სწავლის პერიოდის კიდევ ერთი მომენტი. ისევე, როგორც ყველა ბავშვი თმის პერიოდისა, თინაც ცდილობდა მშობლებს რაიმეთი დახმარებოდა ოჯახის გამოკვებაში. მას კარგად ეხერხებოდა კემსვა, ქსოვა და ქარგვა. დროის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, საქარგავი სკოლაშიც მიჰქონდა და იმ დროს, როცა მასწავლებელი გაკვეთილს ხსნიდა, მერხის ქვეშით ქარგავდა ხოლმე. ის მასწავლებლის მაგიდის შემდეგ, პირველ მერხზე იჯდა

და ერთხელ მისი საქციელი შენიშნა რუსულის მასწავლებელმა ნიკოლა კანდელაკმა.

- სეფიაშვილო, აბრძანდი ზევით და მომიყევი ეხლა ის, რაც ახლა აგხსენი ! - ბრძანების კილოთი უთხრა მან თინას, თან მერხის ქვემოდან თინას გაკეთებული ხელსაქმე ამოიღო და თავის წინ მაგიდაზე დასდო თინა წამოდგა და სწაპა-სწუპით გაიმეორა მასწავლებლის მიერ ახსნილი გაკვეთილი. ნიკოლა განცვიფრებით შესცქეროდა მას და შემდეგ მოსწავლეებს მიმართა :

- ვის შეუძლია გაიმეოროს ახალი გაკვეთილი ? - კლასი ჩუმად



სურ. 264 აბრამის დედა თამარა. ვაჟი შაბთაი და უფროსი და თინა ბათ-  
იამში 1986 წ.

იყო.

- აი, შეხედეთ, თქვე ლენჩებო, სეფიაშვილი ხელსაქმესაც ასწრებს და გაკვეთილიც კარგად გაიგო, მიბაძეთ მას-ო, - უთქვამს.

რა თქმა უნდა, თინა წარჩინებული მოსწავლე იყო და მ კლასი ფრიადებზე დაამთავრა. კულაშის ებრაელთა ტრადიციის მიხედვით ის სკოლიდან გამოიყვანეს (მიუხედავად იმისა, რომ სწავლა წყუროდა) ჯერ ხელობის სასწავლებლად მიაბარეს და შემდეგ გაათხოვეს.

თინამ შესანიშნავად შეისწავლა კერვის ხელოვნება და დღესაც კი 70 წელს მიღწეულ ქალს, რიგში უდგანან კლიენტები ახალი მოდის, კონტა კაბის შესაკერად.

ის დათა მოშიკოს-ძე მინელაშვილზე გაათხოვეს აქვე კულაშში 1948 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ქმარშვილთან ერთად საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა და იქ ცხოვრობდა 1972 წლის იანვარში, ისრაელში ამოსვლამდე.

ჩემი სიძე დათა თავგადასავლების მოყვარული განხლდათ და თავს იმით იწონებდა ხოლმე ძმბიჭებში, რომ კულაშში მან პირველმა (ელია მირილაშვილთან ერთად) ჩამოიყვანა "ლიმუზინას" მსგავსი "ზიმ"-ის მარკის შავი ფერის ავტომანქანა, რომლითაც მთავრობის ხალხი დაყავდათ ხოლმე ადრე.

### იგონებს თინა

ბებია თეთრას ჰყავდა და ბესიონა და ძმა იონანანი (ხავიას, ნინას, მოშიას, ფილხაზას და შურას მამა). ამათგან მოშია ფოთში ცხოვრობდა და მისი შვილები იყვნენ იანკელი, ნინა და იონა. ბიძია ფილხაზას შვილები : ბურა, იცხაკი, სიმონი, შოთა, ციალა. შურას შვილები დათო და შოთა ... იონასა და ელიაუ მინელაშვილების შვილები : შალია, ნათელა, აბრამი, მოშე, მინეელი, რუსიკო ... ნინას არ ყავდა შვილები, ხავიას ...

ბაბუა დავითო გარდაცვლილა 1921 წელს, მაშინ მამაჩემი 14-15 წლის ჭაბუკი ყოფილა. ოთხი თუ ხუთი წელი რომ გავიდა ბაბუაჩემის გარდაცვალებიდან, მამაჩემი ბებია თეთრასთან და შალომისთან ერთად კულაშში გადმოსულა საცხოვრებლად. ეს იყო, როგორც ჩანს, 1926 წელს.

მათზე ადრე ჩვენი ახლო ნათესავებიდან ბანძიდან კულაშს გამოუ-თხოვებიათ ბაბუა დავითოს უფროსი და ბაჩიბაყი. მას ცოტა მოგვიანე-ბით ჩამოუყვანია თავისი ძმა ელო 1905 წელს. მაშიდა ბაჩიბაყი ცხოვრობდა ზეით ბაზართან იმ სახლში, სადაც იყო კულაშის პირველი ფურნე. ამავე სახლში უცხოვრია თავდაპირველად ელოსაც. ფურნე ყოფილა, იმ ადგილას, სადაც ჩემი ბავშვობის პერიოდში თავისი ორსართულიანი აგურის სახლი აიშენეს ფენიკო და კოკია სეფიაშვი-ლებმა. ადრე კოკია თურმე იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც ჩემი ბავშვობის პერიოდში ცხოვრობდა ელო და სონია სეფიაშვილების ოჯახი, ბაბალიაშვილების ქუჩაზე. კოკია იქეთ გადავიდა, ხოლო თავისი სახლი ელოს მიყიდა. კოკიას მეზობლად, ბაზრის მხარეს, მშვენიერი აგურის შელესილი სახლი ჰქონდა კულაშში სახელგანთქმულ, შეძლე-ბულ მაცხოვრებელ - გაბია ლეგიაშვილს.

ელოს კვალზე, დაახლოებით 1922 წელს, კულაშში ჩამოსახლებუ-ლა ბაბუა დავითოს ძმა მეირია პარტნოვი. ბებია თეთრასა და ბაბუა დავითოს 5 შვილი ყოლიათ : შალომია, სიფორა, იოსები (სოსო), აბელა

და შაბათა. კულაშში გადმოსახლების პერიოდში ბებიას ქალიშვილები უკვე დასახლებული ყოლია. მამიდა აბელა გათხოვილი იყო ზედმიწევნით პატიოსან კაცზე, მექუდე ბინო (ბენიამინ) ბარდნაშვილზე. მათი შთამომავალია ბათუმელი მხატვარი იუზა, აბრაშკა, დათიკო, მიშა და არიკა ბარდნაშვილები. უფროსი ვაჟის, იუზას და სარას შვილები არიან კომპოზიტორი სოსო ბარდნაშვილი, არქიტექტორი რუგენ და ინჟინერი მერაბ ბარდნაშვილები.



სურ. 265 ბაბუა ბენო ბარდნაშვილი. შვილები სარა და იუზა. შვილიშვილები რუბენი (კუსუ), სოსო და მერაბი

მამიდა სიფორა გაუთხოვებით საქმოსან იცნაკია აჯიაშვილზე. ბიძაჩემ სოსოს ქალი შეყვარებია, მაგრამ მშობლებს მისი მოყვანის უფლება არ მიუციათ და ისიც წასულა ბანძიდან. მან მთელი მისი სიცოცხლე თბილისში გაატარა და იქ ფოსტალიონად მუშაობდა. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში აბრამმა წამოიყვანა იქედან ღრმა მოხუცი და მასთან, ბათუმში გარდაიცვალა.

კულაშში ჩამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ 20 წლის შაბათა დანიშნულა ოსია ბოთერაშვილის ქალიშვილ თამარაზე და ქორწილი გადაუხდიათ 1927 წელს. დედაჩემი 15 წლის ყოფილა მაშინ. 1931 წელს დაებადა მათ უფროსი ქალიშვილი თინა. პირველ ხანებში შაბათა სეფიაშვილი მისი ცოლის ბებია ხანაიას სახლში ცხოვრობდა ქირით. სწორედ აქედან მოხდა მისი დაკავშირება ბოთერაშვილების ოჯახთან.

თამარას დედა ხებედია მირილაშვილი იყო გვარად და მათი მოძავალი სიძე შაბათა, დედამის ხანაიას სახლში ცხოვრობდა დროებით. ამის შემდეგ შაბათას მთელი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა იმ სახლში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა ელო სეფიაშვილი. შაბათასთან ერთად ამ სახლში ქირით ცხოვრობდა აგრეთვე კოკიაც. ვიდრე ახალ სახლს აიშენებდა. იმ პერიოდში შაბათას ორი შვილი ყავდა მხოლოდ, თინა და დავითი (დოდიკა, ბაჭუ). აქ იცხოვრეს მათ 1936 წლამდე.

ამის შემდეგ, ომის დაწყებამდე ადრე შაბათა სეფიაშვილმა ერთ-ერთ მეზობელ სოფელში შეისყიდა სახლი, დაანგრია და გადმოიტანა კულაშში. აქ ბონინის ქუჩაში, ხაიმო ბოთურაშვილის მეზობლად მისთვის მთავრობის მიერ გამოყოფილ საკარმიდამო ნაკვეთზე ხელახლა ააშენა ის. ამ სახლში დაიბადა ნანუ (რიბკა) 1937 წელს, იაშა 1939 წელს და აბრამი 1942 წელს. 1947 წელს დავინიშნე და 1948 წელს დავქორწინდი დათა (დავით) მოშიკოს ძე მიხელაშვილზე.

- იმ სახლში, რომელშიც თქვენ ცხოვრობდით ომამდე და ომის შემდეგ, სულ ორი ოთახი იყო. ერთი "ზალა" (დიდი ოთახი) და მეორე პატარა, მაგრამ განიერი ოთახი. როგორ ეტყოდით ამდენი სული ასე პატარა სახლში ?

- არა მარტო ვთავსდებოდით, არამედ სტუმრებსაც ვლებულობდით და საკმაოდ ხშირადაც. ყველა იმ ერთ ზაალაში ვეტყოდით.

- კარგად მახსოვს, თუ როგორ შემოიჭრებოდა ხოლმე ცივი ნიაფი (განსაკუთრებით ცივი ქარის დროს) იმ ღრეჭოებს შორის, რომელიც მუნის მასიურ ფიცრებს შორის იყო დარჩენილი კედლებში ან როგორ ჩამოდიოდა წვიმა სხვადასხვა ადგილას, იქ სადაც კრამიტი იყო დაზიანებული, თუ როგორ გაყენებდით ვედროების, ხის დიდი გობების, ემალირებული ტაშტებისა და სპილენძის ლახანკების მთელ წყებას სახლის ყველა იმ ადგილებში, სადაც წვიმა ჩამოდიოდა.

- განსაკუთრებით მძიმე პირობებში ვგარდებოდით ხოლმე ცივ შემოდგომასა და ზამთარში, თანაც მაშინ, როცა სტუმრები გვყავდა, ზოგჯერ წვიმა ზედ ლოგინზე ჩამოგვდიოდა.

- გახსოვს მამიდა სიფორას გარდაცვალება ? ეს იყო 1950 წელს.

- რა თქმა უნდა მახსოვს, ის უკანა პატარა ოთახში იწვა რკინის კრაოტში. მაშინ მე უკვე გათხოვილი ვიყავი და ჩემი პირველი ქალიშვილი ეთერი 5 თვისა მყავდა. საწყალმა შინაური საქმელი ითხოვა სიკვდილის წინ. არ აჭამეს, იმის შიშით, არ აწყინოსო და გარდაცვალების შემდეგ ყველას საჯავრო გაუნდა, ნეტავ გვეჭმია, თუ მაინც კვდებოდათ. ჩემი დანიშნულობის პერიოდში 1948 წელს გარდაიცვალა ბაბუა ოსია. ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა აგრეთვე მისი ძმა ბიძია რეფოიც - დათას, მორდენას (ხუნტუელიას ცოლის ბაბუა), ისნაკიას და ისთერიკოს (მიშიკო ჩოჩოიას სიდედრის) - მამა.

ბაბუა ოსიას ყავდა და მალქა, რომელიც დაქორწინებული იყო მარდახია ბოთერაშვილზე. მარდახია თავის მხრივ იყო ბიცოლა რიბკას, ხაისარას, გაბულოს, შაბათას და ეფრემას - მამა, ანუ ბიძია ბესოს სიმამრი. ფაქტიურად ბაბუა ოსიას და მალქა, ბიძია ბესოს მამიდაც იყო და სიდედრიც. გაბულო ადრე გარდაცვლილა და მას დარჩენია ქვრივი მეუღლე ხანა და ქალიშვილები-ლუსია და მარგო, რომლებსაც მამიდა მალქა ზრდიდა.

იცხაკია და ხაისარა ბოთერაშვილები იყვნენ თავის მხრივ ექიმ ილუშა ბოთერაშვილის, მიშიკოს, ნინას, თამარას, ქუცას (გაბიას შათიას მეუღლე) - მშობლები. ისხაკია და ხაისარა ბოთერაშვილებიც ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ.

დათა ბოთერაშვილის ვაჟები იყვნენ მიხეილი და რეფიკო. მიხეილი მას პირველი ცოლიდან (თეთრიას ლუბა, ბუჭაია და კიტაია მიხელაშვილების და) შეეძინა. ლუბას გარდაცვალების შემდეგ მან ცოლად შეირთო ხანა (მამიდა მალქას გაბულოს ქვრივი) და მისგან შეეძინა რეფიკო. ფაქტიურად, მამიდა მალქამ თავისი ვაჟის ქვრივი, რძალი ხანა შერთო მისივე ძმისშვილს.

ესლა მეორე მხრიდან, დიდ ბებია ხანაიას და მისი მეუღლე არონის შვილები იყვნენ : ნებედია, როზიკო, დათიკო და რეფეელ მირილაშვილები. ბებია ნებედიას შვილებზე ადრე გვქონდა საუბარი.

დეიდა როზიკოს ერთი ვაჟი ჰყავდა, საუკეთესო მკერავი მიხეილი და ქალიშვილი ფანია, რომელიც გათხოვდა მეზობლად მოსახლე მოშე აბრამიკოს ძე (წუნია) მიხელაშვილზე და ცნოვრობდნენ მიხელაშვილების ქუჩაზე, ზევით ბაზართან ახლოს.



ფოტო 1960 წ. კურორტი "მარბერი" ვიქტორ-ონიკ-ლევა

სურ. 266 ბესო (ბესიკო) და რიბკა

ბოთერაშვილები კურორტ წალვერში 1960 წ.

დათიკო მირილაშვილს მეუღლედ ჰყავდა რახელა, შესანიშნავი ოჯახის ქალი. მათი შვილები არიან : არონი, ეთერი, ნანი, ბესიკო, რეფიკო (ჩერჩილი) და სარა.

ბებია ნებედიას მკვიდრი ბიძაშვილი (მისი მამა არონის ძმის-შვილი) იყო კულაშში ცნობილი ფაბრიკანტი გაბრიელ მირილაშვილი (ცნობილი ბიზნესმენების მიშეკოს მამა და მისო და კუსას ბაბუა). კარგად მახსოვს 1947 წელს ბაბუა ოსია გაბრიელთან მუშაობდა ფაბრიკაში და როცა მისთვის უთქვამს, ჩემი შვილიშვილი თინა დავნიშნეთ, გაბრიელს იქვე დაზვიადან ახლად მოქსოვილი ორი სასაბნე ატლასი თავისი სარჩულებით გადაუჭრია და უთქვამს, წადი და ამით თინასთვის სამზითვო საბნები შეუკერეო. დღემდე, აგერ უკვე 50 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ კიდევ მაქვს შემორჩენილი ეს საბნები.

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე დიდ კლასში და დავამთავრე შვიდწლელი. მეტი სწავლის გაგრძელების უფლება დედაჩემმა არ მომცა და კერვის ხელობის შესასწავლად მიმავარა. ამის შემდეგ გამათხოვეს და ....

იონა - ბებია თეთრას ძმისშვილი და ბებია ნებედიას დეიდაშვილი და ობოლი იყო. ბებია თეთრას ძმა მოშინას პირველი ცოლი მაშო, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, დიდ ბებია ხანაიას და ყოფილა. მასთან ეყოლა ბიძა მოშინას იანკელი, ნინა და იონა. მაშოს გარდაცვალების შემდეგ მოშინა მეორე ქალზე დაქორწინებულა. დედინაცვლის დამოკიდებულება იონასთან არც ისე სახარბიელო ყოფილა და ბებიაჩემ თეთრას ის ჩვენთან წამოუყვანია. ფაქტიურად დედაჩემს მოუწია მისი შვილივით გაზრდა და დასახლება. ვიდრე კულაშში ვცხოვრობდით, დედაჩემ თამარასა და იონას შორის დედაშვილური დამოკიდებულება გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იონას შვილები უკვე დიდი ხნის მოსწრებულები ყავდა.

იონას გარდა კიდევ რამდენიმე ობოლი და გაჭირვებული დასახლებულა ჩვენს სახლში დედაჩემის მეშვეობით. ჩვენს ოჯახში გაიზარდა და დაქორწინდა აგრეთვე თინას უმცროსი ქალიშვილი იზოლდა. ის დაბადებითაც ჩვენთან დაიბადა და ვინაიდან იმ პერიოდში თინას ახლად შექმნილის გარდა კიდევ ოთხი წვრილი შვილი ყავდა, დედაჩემმა თინასთვის გაიოლების მიზნით იზოლდა თავისთან დაიტოვა გასაზრდელად. ჩემსა და იზოლდას შორის ასაკის სწავლობა ისეთი იყო, რომ მე ის ფაქტიურად ჩემს პატარა დად მიმანხნდა და ურთიერთდამოკიდებულებაც ასეთი იყო. დედაჩემი იზოლდას ძალიან მკაცრად ზრდიდა და უფროსებთან ქცევის წესებს და საოჯახო საქმიანობას ასწავლიდა.

მანსენდება ასეთი მომენტი. ყველაზე მოხერხებულ მომენტს დედაჩემი იზოს სათანადოდ "აღსაზრდელად" მაშინ პოულობდა, როცა



პატარა იზო სპილენძის დიდ მრგვალ ლახანკაში ყავდა მოქცეული და თავს ბანდა. იზოს ისევე, როგორც მის ტოლ გოგონებს გრძელი თმები ქონდა. დედაჩემი თმებს ხელზე დაიხვევდა და გასაპნის დროს ხანდახან მოქონრავდა ხოლმე, თან "ჭკუასაც ასწავლიდა". საწყალ იზოს საპნიანი თვალებით განძრევა არ შეეძლო და ძალაუნებურად იღებდა "განათლებას". მაშინ ნაღდად მეცოდებოდა იზო და ვფიქრობდი, კიდევ კარგი, რომ ბიჭი ვარ, თორემ რა მეშველებოდა გრძელი თმა რომ მქონოდა, მე ხომ იზოზე მეტი ცელქი ვიყავი ბავშვობისას. ესლა, ჩემს ასაკში შემიძლია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დედაჩემის "წყალობით" იზოლდა სანიმუშო ოჯახის ქალი დადგა და შესანიშნავად უძღვება თავის შვილებსა და შვილიშვილებს, მის მეუღლე, დაუზარელ, მშრომელ შოთასთან ერთად.



### დოდიკა (ბაჭუ)

თინას შემდეგ მშობლებს ჩემი უფროსი ძმა დოდიკა (ბაჭუ) შეეძინათ. ეს განსაზღვრავდათ დაუდგრომელი ბავშვი, რომელიც ერთ ადგილას მიჯაჭვას ვერ იტანდა და არც სკოლის ჩარჩოებს

შერჩენია დიდხანს, მიუხედავად მისი დიდი ნიჭიერებისა. სწავლაზე მეტად მას ფულის შოვისკენ უფრო ჰქონდა მიდრეკილება. თმის დამთავრების პერიოდში არსებული დუნჭირი ცხოვრების პირობებში, გასაკვირი არაა ახალგაზრდას ასე ეფიქრა. მეთოხე კლასამდე ძლივს მიაღწია. კლასიკური განათლების მიუღებლობის მიუხედავად, დოდიკას ყოველთვის გააჩნდა საქმოსნობისკენ მიდრეკილება და ნოვატორული ნიჭი. რა არ უცდია მას ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში, წყლის გაყიდვა

სურ. 267 აბრაამ საპირის ბიძა (დედის ძმა) ალიოშა (არონია) იოსების ძე ბოთერაშვილი - ბათუმის ფოსტის მე-9 განყოფილების გამგე. მეუღლე ესთერთან და შვილებთან (შალიკო და ციალა) ერთად წაღვერში 1951 წ.

ბაზარზე. კამფეტის ჩამოსასხმელი ყალიბების დამზადება და მათი მეშვეობით საწუბური მამლების ჩამოსხმა. ერთხელ დედაჩემს ამ მიზნით ღომის გასაკეთებელი ქვაბი გამოთაროვა თურმე და შიგ შაქრის მოდუღება გადაწყვიტა კამფეტის დასამზადებლად. შაქარმიწვარი, გაშავებული ქვაბი, რა თქმა უნდა, ღომის გასაკეთებლად უკვე აღარ გამოდგებოდა და ოჯახი კინაღამ მშვიერი დატოვა. მერე მამაჩემი აიძულა მისთვის ქუდის შეკერვის ხელოვნება ესწავლებინა. თავისი გაიტანა და ქუდის ხელოსანი გახდა, მაგრამ მათი გაყიდვის უფლებას არაფინ



სურ. 268 თინა და დათა მიხელაშვილები შვილებთან მერი, იზო, ისაკი და სოსო ერთად კურორტ კისლოვოდსკში 1969 წ.

აძლევდა უწლოვანების გამო. ახლა მამაჩემს შეუჩნდა, სამტრედიის ბაზარში პატენტი აიღე და ქუდის სახელოსნო და გასაყიდი დუქანი დავდგათო. თქვა და გააკეთა. მთელი დღის განმავლობაში საკერავ "მაშინას" უჯდა და ქუდებს კერავდა. არც მათი გასაღების შნო და მარიფათი აკლდა. მამაჩემი მასთან შედარებით "მძიმე პარახოდი" იყო, ამიტომ მათ შორის წშირად იმართებოდა დისკუსიები თემაზე : თუ როგორ შეიძლებოდა მეტი ქუდების გასაღება ბაზარზე, სადაც დიდი კონკურენცია არსებობდა.

შემდეგ ბიძაჩემების კვალს ისიც მიყვა და საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. მანამდე კი დაქორწინება მოასწრო სთხუშელ ლაღა

იონანანის ასულ შამქლაშვილზე. ბათუმში "ლარიოკი" გაცხნა საკოლ-  
მეურნეო მოედანზე და წლების განმავლობაში საკმაოდ დიდი თანხა  
იშოვა ... მაგრამ დანარჯა კიდევ. თუმცა ყველაფრის შემდეგ მშვენიერი  
სახლი დარჩა საკუთრებაში. ბევრი სათავგადასავლო ამბავი გადაუვლია  
მას, ვიდრე ისრაელში ამოვიდოდა 1972 წელს.

## გვესაუბრება დოდიკა სეფიაშვილი

- რას მოიგონებდით თქვენი წინაპრების შესახებ ?

- ბაბუა დავითოს მამა, იცნაკი ლენსუმიდან ვადმოსულა საც-  
ხოვრებლად ბანძაში. აქ დაწვრილშვილებულა. ბებია თეთრას (ესთე-  
რის) გადმოცემით ბანძაში 1900-იანი წლების მიჯნაზე ბევრი აჯია-  
შვილები ცხოვრობდნენ. (ჩემი ბებიაც აჯიაშ-  
ვილი გახლდათ გათხოვებამდე). აჯიაშვი-  
ლებს ყურადღება მიუქცევიათ იმ ფაქტისათ-  
ვის, რომ ბაბუა დავითო იყო ღრმად მორწმუ-  
ნე ანაღვანდის, კარგი ხასიათის მქონე,  
განათლებული და თორის ღრმა მცოდნე,  
ისინი დაინტერესდნენ ამ ანაღვანდის  
დასიძებით და შერთეს მას ბებია თეთრა.  
ბებიას მშობლები იყვნენ შაბათა და რიბკა  
აჯიაშვილები. ბებიას მამის სახელი დაურქ-  
მევიათ მამაჩემისათვის (შაბათა სეფიაშ-  
ვილი).



სურ. 269 დოდიკ (ბაქუ)  
სეფიაშვილი

ბაბუა დავითო იყო რაბი და დიდი შო-  
ხეტი. ის უფლებამოსილი იყო ჰალახის წე-  
სებით დაეკლა როგორც ფრინველი, ასევე  
წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი. ბებიას მონათხრობის მიხედვით,  
ერთხელ მსხვილფეხა საქონლის დაკვლის დროს ბაბუას ხელი  
აკანკალებია. ამ შემთხვევის შემდეგ ბაბუას თავის თავისთვის გაუ-  
არმებია და აუკრძალა მსხვილფეხა საქონლის დაკვლა და თავისი  
გადაწყვეტილება ბოლომდე შეუნარჩუნებია.

ამის შემდეგ ის ხაზნობდა და სეფიაშვილების ლოცვას ედგა სა-  
თავეში. ბაბუაჩემს პირველი ქალიშვილი შეეძინა სიდორა, რომელიც  
1948 წელს გარდაიცვალა, მას მოყვა შვილები : შალომია, იოსები  
(ოსო), აბელა და შაბათა (მამაჩემი).

- ჩვენი სახლის შესახებ რას იტყვოდი ?

- ჩვენი პირველი სახლი მამაჩემმა თავის ვრცელ ეზოსთან ერ-  
თად შეიძინა დაახლოებით 1936 წელს. კარგად მახსოვს, რომ იმ  
სახლში დაიბადნენ ჩემი და ნანუ, იაშა და შენ. მე და თინა არ

დავბადებულვართ მხოლოდ იმ სახლში. ეზოში მაშინ იდგა რამდენიმე ძირი ალვის და ეკლის ხე. გარდა ამისა იყო ბევრნაირი ხეხილის ხეები. ამ სახლში ვიცხოვრეთ ჩვენ დაახლოებით 1949-1950 წლამდე. შემდგომში მამაჩემმა დაანგრია ის სახლი და მის ადგილას ორსართულიანი სახლი ააშენა. პირველი სართული აგურით იყო ნაშენი, მეორე კი ხით. ფაქტიურად ძველი სახლის კედლის ფიცრები გამოიყენეს ახალი სახლის კედლების ასაგებად. ჩვენი სახლი რაჭველმა ოსტატმა გენომ ააშენა.

- ბიძია ოსო შესახებ რას იტყვოდი ?

- ბიძია ოსო ჯერ კიდევ ომამდე წასულა კულაშიდან თბილისში. ის ფოსტაში მუშაობდა იქ მრავალი წლების განმავლობაში. სიცოცხლის ბოლო წლებში პენსიაზე გასვლამდე ოსო რუსთავეში გადასულა საცხოვრებლად და აქვე მუშაობდა ფოსტალიონად. მე პირადად ბავშვობაში ბიძია ოსო თვალთაც კი არ მყავდა ნანახი. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ ამანათებს უგზავნიდა თბილისიდან დედამისს, ბებიას თეთრას.

- მამაჩემის შესახებ რას მოიგონებდი ?

- მამაჩვენი შაბათა 1906 წელს დაბადებულია ბანძაში. ის ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ყოფილა თურმე. სწავლობდა თორას. ისწავლა მაშინდელი გიმნაზიის ორი კლასი და თვითგანვითარებით ძალიან დიდი კლასიკური ცოდნა შეიძინა. გონებრივი განვითარებით ის დღევანდელ უმაღლესდამთავრებულებს უკან მოიტოვებდა. კითხულობდა ბევრნაირ ჟურნალ-გაზეთებს, ჰქონდა სწრაფი ათვისების უნარი და ლამაზი ხელწერა. მის მიერ შედგენილ ტექსტებს, ადვოკატიც კი ვერ დაიწუნებდა.

მამაჩემი დაუფლებული იყო თორის ისეთ განძს, როგორცაა "გემარა" და "კაბალა". ის ხშირად ებაეჭებოდა ხოლმე თორის საკითხებში



სურ. 270 ბენიამინ (ბინო) ბარდანაშვილი

ხანამ იცხაკ მიხელაშვილს (კულაშის მთ. რაბი) და არაერთხელ გამარჯვებული გამოსულა ამ ბაეჭობაში. ხშირად მოდიოდნენ მასთან ხანამ შებეთაი მიხელაშვილი, ხანამ მორდენაი მირილაშვილი, ხანამ აარონ ბოთერაშვილი და სხვები. ასეთ ხალხთან მეგობრობდა ის და ხალხიც პატივს სცემდა. ხშირად უთქვამთ ხოლმე თორის მცოდნე ხალხს, რომ შაბათა სეფიაშვილი ებრაული "დინ"-ების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე იყო.

მამაჩემი თავისი პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს. პროფესიით ის მექედე იყო. ქედის კერვის ხელობა მას 15-16 წლის

ასაკში შეუსწავლია ბათუმში, თავისი დის - აბელას მეუღლე ბენო ბარდანაშვილთან. ახალგაზრდა ყმაწვილი ბანძიდან ჩასულა ხელობის შესასწავლად ბათუმში ბენოსთან და რამდენიმე თვეში დაუფლებია მას. ბანძაში დაბრუნებულ ყმაწვილს ბანძის ბაზარი თვალში არ მოსვლია და თავისი ხელობის სრულყოფილად გამოსაყენებლად კულაშში გადმოსულა საცხოვრებლად. იმ ხანებში ბაბუა დავითო ახალი გარდაცვლილი იყო. ბანძიდან კულაშში გადმოსახლებულნი იყვნენ უკვე, მისი მამიდები ლიზა და ბაჩებაყი, ბიძები ელო და



სურ. 271 მახინჯაურის უნივერმალში 1955 წ. მარცხნიდან მარჯვნივ სონია ნამთალაშვილი, ლილი ბერიძე, ლ. აფაქიძე და დოდიკ სეფიაშვილი

მეირია. ისიც მათ კვალს დაადგა.

მამაჩემმა თავისთან ერთად თან ჩამოიყვანა ბებია თეთრა, ძმები შალოშია და თსო, კულაშში გადმოვიდა საცხოვრებლად აგრეთვე მამიდა სიფორა და მისი მეუღლე ისხაკია აჯიაშვილი, რომლებიც ახალ სახლებში, (კომუნალურ ბინებში) ცხოვრობდნენ ამ უკანასკნელში ხანძრის გაჩენამდე (1933 წ.), მერე კი საცხოვრებლად ბათუმში გადავიდნენ.

მამაჩემმა საცხოვრებლად ბინა დაიქირავა კულაშში, ეუდას მათიას სახლში და თავისი ხელობით მუყაითი მუშაობა დაიწყო. შალოშია მას ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ყველაფერში. მალე სახელი გაითქვა, როგორც სამტრედიის რაიონის საუკეთესო ქუდის ხელოსანმა. "ვაენნი" ქუდების შესაკერად მამაჩემთან მოდიოდა მთელი რაიონის

ხელმძღვანელობა და მოწინავე ინტელიგენცია. მასთან კონტაქტის დროს ისინი რწმუნდებოდნენ, რომ შაბათა არა მარტო კარგი ოსტატი იყო, არამედ მეტად ტკბილი მთუბარი და განათლებული კაციც.

ერთი პერიოდი სამტრედიის და კულაშის ბაზარს ზუგდიდის ბაზარმა აჯობა და მამაჩემი დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ იქ გადავიდა. მეც იქ დავიბადე 1933 წელს.

ჩამოვიდნენ თუ არა კულაშში, ბიძია შალომია იქვე დაქორწინდა კიკოს ლუბაზე. მათ ვაჟიც შეეძინათ, რომელსაც დიდხანს არ უცოცხლია და გარდაიცვალა. ამის კვალობაზე ცოლ-ქმარი ერთმანეთს გასცილდა. აწ განსვენებული ბებია თეთრა მიუხედავად მომხდარი ამბისა, კარგ ურთიერთდაშოკიდებულებას ინარჩუნებდა ყოფილ რძალთან.

კულაშში მოღვაწეობის დროს შაბათა, ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოსანი, მორწმუნე და განათლებული, 19 წლის ჭაბუკი შენიშნეს ბოთერაშვილებმა (ბაბალიაშვილებმა) და იქვე დაისიძეს. დედაჩემი თამარა იოსების ასული ბოთერაშვილი (დაიბადა 1912 წელს) 14 წლის ქალიშვილი ყოფილა, მამაჩემზე რომ დანიშნეს. გადმოცემის მიხედვით დედაჩემი ერთ-ერთი ყველაზე უღამაზესი ქალი ყოფილა კულაშში. მათ ერთი წლის შემდეგ იქორწინეს (1927 წ.). პირველი ჩემს მშობლებს ქალიშვილი შეეძინათ - თინა (1931 წ.), მეორე შვილი კი მე გახლდით, უფროსი ვაჟი.

მამაჩემის მაგალითზე იცნაკ გულოსაც მისცეს კულაშელმა ბაბალიაშვილებმა ქალი (დათუა აბუაშვილმა).

ბაბუაჩემი თინა მაშინ შეძლებულ ვაჭრად ითვლებოდა თურმე კულაშში. 1930-იან წლებში ის გააკულაკეს და გადასახლებას ძლივს გადაურჩა. ყველაფერი ჩამოართვეს, რაც გააჩნდა სახლ-კარისა (ორსართულიანი სახლისა) და (ფართო) ეზოს გარდა. თუ რაიმე ჰქონდა გადამაღული, თურმე არაფერი შეარჩინეს. მოგვიანებით თავის სარჩენად ფოსტალიონად დაიწყო მუშაობა და 1950 წელს გარდაიცვალა.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე მამაჩემმა ბევრი მოსწავლე აღზარდა, ბევრს ასწავლა ხელობა და სპეციალისტი გახადა. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს. კოკია გაბრიელის ძე სეფიაშვილი, დათიკო (ბაზიელი) მირილაშვილი, ფალავანდი, (ბოკიას ძმა), ელია ხოტოველი (მილიონერი), ბესიკო ყობოს ძე მინელაშვილი, შოთა (ჩაჩია) მოძღვრე-შვილი, ისაკო მოშენაძის ძე მინელაშვილი (ცანცქელი ბიჭი), ბიძია ისრელა იოსების-ძე ბოთერაშვილი, მე, ბიძია შელომიას და სხვებს.

**- ვიდრე საკუთარ კარ-მიდამოს შეიძენდა, კიდევ სად ცხოვრობდა მამაჩემი ?**

- ბებია ხანაიას სახლში. ბებია ხანაიას მეუღლე (დათიკო მირილაშვილის მამა) მდიდარი ვაჭარი ყოფილა. მას უზარმაზარი სახლი ჰქონია კულაშში ზეით ბაზრის წინ - ცენტრში. ისევე, როგორც სხვა

მდიდრები, ისიც გაუკუღლაკებიათ და ყველაფერი წაურთმევიათ. იმ სახლში ცხოვრობდა ერთი პერიოდი მამაჩემი თავისი ოჯახით. საგარაუდოა, რომ სწორედ იქ შენიშნა ბებია ხანაიამ მამაჩემის კარგი კაცობა და ურჩია თავის ქალიშვილ ხებედიას, ეს ბიჭი არ დაეკარგა და მისი უფროსი ქალიშვილი თამარა, შაბათასთვის მიეთხოვეინა.

1940-იანი წლების ბოლოს ეკონომიურმა ხელმოკლეობამ აიძულა დათიკო მამისეული უზარმაზარი სახლი გაეყიდა და მის ადგილას პატარა ორსართულიანი სახლი წამოეჭიმა. უფრო მეტიც, მან საშუალება მისცა ვალიკო ზამთარაძეს თავისი საკუთარი დუქანი ჩაედგა მის წინა ეზოში. ეს დუქანი ერთხანს არტელებისთვის იყო მიქირავებული. შემდგომი ათეული წლების განმავლობაში ამ დუქანში ვალიკოს სადალაქო ჰქონდა გახსნილი და პირადად თვითონ მოღვაწეობდა შიგ. ასე დაიღია ბებია ხანაიას უზარმაზარი ქონება კომუნისტების ხელში.

**- პატარაობისა რა გახსოვს ?**

- 1936 წელში კულაშში ელექტროდენი გამოიყვანეს. მის შუქს რომ შევცქეროდით პატარა ბავშვები, ერთხმად გაფეხიროდით : -"ოტოტონი აინთო, ოტოტონი აინთო" ... მეტი არაფერი მახსოვს. სათამაშოები არ გვქონდა და ბურთი რომ გვეთამაშნა, ამისთვის ქათმის ბუშტს ვბერავდით და იმით ვთამაშობდით. ბიჭები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ხოლმე კბილებით სიმძიმეების აწვევაში. ამხანაგს ქაძარში ვწვდებოდით კბილებით და მალლა ვწვევდით. ეს იყო ჩვენი მაშინდელი გართობა. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, 7-8 წლის ასაკში ტყავის ძველ ფენსაცმელებს ვბოულობდით, ვშლიდით და დაგროვილი ტყავისგან ბურთებს ვკერავდით. ჩვენს მიერ შეკერილი



სურ. 272 ვანი 1952 წ. მარცხნიდან: შოთა მიხაკოს ძე მიხელაშვილი (ბუჰალტერი), დოდიკ სეფიაშვილი

ტყავის ბურთი ძვირად ფასობდა და ზოგჯერ დროით ვაჭირავებდით ხოლმე კაპიკებად. ჩვენი ქუჩის ბიჭები შალია ხასანია, შალიკოი, შემდგომში ჩვენი სიძე, ერთად ვთამაშობდით ხოლმე. ზოგჯერ სახლიდან ზეწრებს და "ადეალებს" გამოვიტანდით, ეზოში სარებზე გავჭიმავდით და ხელოვნურ სცენას ვაწყობდით. თითქოსდა თეატრალურ წამოდგენას ვაკეთებდით ბავშვების წინაშე. ათ-ათ ან ოც-ოც კაპიკს მოვატანინებდით პატარა ბავშვებს და "თეატრალურ წარმოდგენას" ვუშართავდით. რამდენჯერ გამიხვრეტია საწყალი ბებიანემის მიერ სიმწრით შექმნილი ადეალები ან ჯვალოს ტომრები.

ხან ოლეუას გამოვიყვანდი სცენაზე, ხან მის ძმა შებეთაის და ასე მიდიოდა "წარმოდგენა". მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობისას საქმელი არ გვაკლდა, ბევრი რამ არ გვქონდა, მაგალითად ფესსაცმელი და ტანსაცმელი. ამიტომ ბავშვები ხშირად გავდიოდით "საშოვარზე". ასე მაგალითად, ვყიდდით შებეთაი ხოტოველის ან ნამთალიას გამომცხვარ შოთ პურებს. გაბო კუზიანის (მეკამბეტეს) კამფეტებს და ალვას, ძმარიანსა და წნილებს. მ წლის ასაკში ჩემს ირგვლივ მყავდა შემოკრებილი პატარა ბავშვები და მათ ვხელმძღვანელობდი. ვურიგებდი გასაყიდ საქონელს და მოგებულნი თანხიდან მათაც ვაძლევდი და მეც ვიტოვებდი. მე პირადად, რასაც ვყიდდი, იმიდანაც მრჩებოდა მოგება და ბავშვების გაყიდულიდანაც.

გაბიას შოთია (ექიმი, ლეგიაშვილი) იყო ჩემი ამხანაგი და მისი მეშვეობით გაბოსთან პროტექცია მქონდა. გაბო და გაბია ნათესავეები იყვნენ და შოთიას რჩევას გაბო უსმენდა. ის კი ყველა ბავშვებიდან რეკომენდაციას მე მაძლევდა. გაბო კუზიანი თიხის ჩანახაზე მიწყობდა კონებად დაწნილ ძმარიანს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა კულაშლებში. გამოტანილი არ მქონდა გასაყიდად, რომ იქვე იცლებოდა ჩანახი. მოთხოვნა მეტი იყო წნილზე, ვიდრე გაბოს შეეძლო მათი მოწოდება.

გაბო ამავე დროს ამზადებდა კამფეტებს და ალვას. მე ამ საკითხში ყველაზე დახელოვნებული გამყიდველი ვიყავი. ალვას მოყვარული ბავშვების დიდი კლიენტურა მყავდა. გაბო პოდნოსზე მიწებებდა ხოლმე ალვას. მე კიდევ მის ჩუმად რამდენიმე ალვას პოდნოსს ქვემოდან ამოვაწებებდი ხოლმე. საბოლოოდ გაუყიდავი არც ერთი არ მრჩებოდა, გაბოც კმაყოფილი იყო და მეც. გაბო ნავაჭრი თანხის 20 პროცენტს ვაძლევდა ხოლმე.

ასე გაგრძელდა 10-11 წლის ასაკამდე. სკოლაშიც ვსწავლობდი და ვაჭრობას სკოლის შემდეგ ვეწეოდი. სკოლაში სწავლის პერიოდში ჩემი თავიდან არ გამოდიოდა, რა გამეკეთებინა იმისთვის, რომ მეტი ფული მეშოგა. ათასნაირ კომბინაციებს ვაწყობდი თავში. ზოგი მათგანი ნამდვილად ფანტასტიკური იყო და ასევე ფანტაზიად რჩებოდა ხოლმე.



- სკოლის პერიოდიდან, თუ გახსოვს რაიმე საინტერესო ?

- მოგიხსნობ იმაზე, თუ როგორ გადავიყვანე ჩემი თავი მეოთხე კლასში. როგორც მინვდი, სკოლაში წერელებს დავდიოდი და არაფერს ვსწავლობდი, ამიტომ მესამე კლასში დამტოვეს ისევ. შემთხვევით წლის დამთავრების ქაღალდი მშობლებთან მე თვითონ გამატანეს. რაგარი მისატანი იყო მამაჩემთან ეს ქაღალდი. გარკვევით ეწერა მასში : - " დატოვებულია მესამე კლასში". ავიღე ეს ქაღალდი და სიტყვები ასე გადავასწორე : - "გადაყვანილია მეოთხე კლასში". მივუტანე მამაჩემს. მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო და იქვე გამომიჭირა ტყუილში. თურმე რომაული ციფრი მეოთხეს მაგივრად მეექვსე დამი-



სურ. 273 ბორჯომ ბარკი 1957 წ. დოდიკ სეფიაშვილი

წერია. ვინაიდან ცუდად ვსწავლობდი, ჯთხი რომაული ხუთიანის უკან დამისვია. იცოცხლე მამაჩემმა მცემა ქამრით, უფრო მოტყუების ცდისათვის. მამაჩემი სამხედრო ქამარს ატარებდა, ფართო იყო, ამხელა ბალთით, მტრისას მისი მოხვედრა.

სკოლაში სწავლის მაგივრად კომბინაციებზე ვფიქრობდი. ამხანაგები მაფასებდნენ და ყველანაირად მიცავდნენ. ჩემი ამხანაგები იყვნენ სკოლაში შალიკო ხუჭუა, გურამ შენგელია - შალიკო შენგელიას, კულაშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ვაჟი. ნიჭი მქონდა, მაგრამ სწავლისადმი განწყობილი არ ვიყავი. თავს კი არავის

დაფანაგვრინებდი.

10 წლის რომ გავხდი, სამტრედიის ბაზარში დავიწყე სიარული წყლის გასაყიდად. ჩემთან ერთად მიმყავდა კულაშელი ბიჭებიც. ერთხელ ასეთი ინციდენტი შემემთხვა. თმის პერიოდში ყველაფერი დეფიციტი იყო. ჩვენ, ბავშვები ვყიდდით სიგარეტებს, ასანთს, წყალს და საერთოდ ყველაფერს, რის გაყიდვაც შეიძლებოდა ბაზარზე. იმ დღეს ფენშიშვილი წაგვადით კულაშიდან სამტრედიაში. ფენშიშვილი მიქვია, თუნდაც წულები გვცემოდა, წულებს მაშინ იონხანან მოძღვრი-შვილის ისაკო კერავდა. მათ წულების საკერავი საამქრო ჰქონდათ ბიძია რეფო ბოთერაშვილის (ბაბუა თსიას ძმის) სახლის ქვემოთ, სადაც უფრო მოგვიანებით სამიკიტნო ჰქონდათ გახსნილი ქართველებს. მაშინ უკეთესი ფენსაცემელი არ იყო. კაჭკით წასასვლელი ფული კი ჩვენ არ გვქონდა.

იმ დღეს ჩემთან ერთად წამოვიდნენ შალიკოს ძმა მიშია მინელა-შვილი და ოლუა ბოთერაშვილი (შებეთაის ძმა). მიშიას მაისურა ეცვა და მასში ასანთები ეყარა გასაყიდად. ასანთს ცალობით ვყიდდით და საკმაოდ კარგად ვიგებდით. ზაფხული იყო. ალბათ ასანთის თაგები ერთმანეთს გაეჩახუნა და ერთ-ერთი ასანთი აენთო. აქედან სხვა ასანთებს გადაედო და ჩემს თვალწინ საშინელება მოხდა, ჩვენი ამხანაგი ჩვენს თვალწინ ცოცხლად იწვოდა. უცბად გონს მოგვეგე და დოქს ვტაცე ხელი. მასში არსებული წყალი ეგრევე დავასხი ალმოკიდებულ მიშიას. მეორე ხელით მაისური შემოგვლიჯე ტანიდან. თუ მიშია დღეს ცოცხალია, იმ წამებში ჩემს მოქცევას უნდა უმაღლოდეს. სიკვდილს გადაურჩა.

სამტრედიის ბაზარში წყალს ვყიდდით. იქვე ბაზრის მანლობლად ცხოვრობდა ერთი ქართველი, რომლის ქის წყალი ყველაზე მეტად მოსწონდათ ბაზარში მოსულ გლეხებს. ამ კაცის ღრმა ჭა ქვით იყო ამოყვანილი და არაჩვეულებრივად კამკამა წყალი იყო. ამ კაცს ფულს გუნდიდი და ჩემს გარდა ეზოში არავის უშვებდა. იქედან ამოღებულ წყალს მე ბიჭებს ვაძლევდი და მათთან წილში ვიყავი.

ერთხელ ისაკო მოძღვრიშვილთან მივედი, რომელიც ჩვენი მეზობელი იყო და შევჩივლე: - "შენ შეკერილ წულაში წყალი შემივიდა-მეთქი"

- ნუ გეშინია-ო დამამშვიდა - როგორც შევიდა ასევე გამოვა-ო.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში და თმის წლებში იონხანან მოძღვრიშვილს და მის ვაჟებს ისაკოს, მოშეს და ელიაუს წულების სახელთსო ჰქონდათ, რეფო ბოთერაშვილის სახლის ქვემოთ. მთელი სართული მათ ეკავათ. გარდა ამისა ბაზარში ჰქონდათ წულის გასაყიდი ლატოკები. 2 თუ 3 ლატოკი ჰქონდათ. დაამუშავებდნენ წულას და მე-რე გაჰქონდათ ის გასაყიდად სამტრედიის ბაზარზე. იკერებოდა

როგორც რეზინის, ასევე ტყავის წულებიც. გარდა ოფიციალური მუშებისა, ათობით ებრაელი თავიანთ სახლებში კერავდა წულებს იონხანისათვის. ერთ-ერთი მათგანი იყო ჩვენი მეზობელი შებუთაი.

წულების მოღის გასვლის შემდეგ მათ დაიწყეს ნაკლის მქონე ფენსაცმელების შესყიდვა ბაქოში, მათი შეკეთება და ხელახალი გაყიდვა. ისეთ კარგ ქუსლებსა და ქვესაგებს უკეთებდნენ ფენსაცმელებს, მის შეხედვას არაფერი სჯობდა. სამტრედიის კვირაში სამჯერ იყო ბაზრობა - კვირას, ოთხშაბათს და ხუთშაბათს.

ამის შემდეგ შემოვიდა ლოსის ფენსაცმელების მოდა. ლოსი ეს გახლდათ უხეში, დაუმუშავებული ტყავი. 1945-46 წლის შემდეგ კი დაიწყეს ლაქის ტუფლების დამზადება.

თვითონ ბიძია იონხანის სამტრედიის ბაზარში ღილითა და საღებავებით ვაჭრობდა. საღებავებს მაშინ "ბოიას" ეძახდნენ, ღილას კი "სინკა"-ს. მინაელი ბაზრის მთელ ტერიტორიაზე დადიოდა და ყიდდა საღებავებს. მინაელს უღამაზესი ხმა ჰქონდა. მას რომ მუსიკა ესწავლა, მისგან შესანიშნავი მომღერალი დადგებოდა. მინაელი ბევრ ფულს მოულობდა, მაგრამ ამასთანავე ძალიან პურმარილიანი ბიჭი იყო და ამხანაგებში ყველას უყვარდა. სიმღერასთან ერთად მინაელმა კარგი ხუმრობები იცოდა და მის გვერდით მდგომნი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყვნენ და ხარხარებდნენ. მინაელი ჩემი ამხანაგი იყო. 10-11 წლის რომ ვიყავით, მინაელი დაიჭერდა ხელში ღილასა და საღებავებს და ბაზარში სიმღერით მოუწოდებდა კლიენტებს ეყიდნათ მისგან. მისი ხმით მოჯადოებულები ხშირად იძენდნენ მისგან საქონელს.

იონხანს კიდევ ერთი ვაჟი ჰყავდა, იოსები, რომელიც წყალში



სურ. 274 ბორჯომ პარკი 1957 წ.

მარცხნიდან: დოდო სეფიაშვილი, დედის ძმა  
ალიოშა ბოთერაშვილთან

დაინრჩო და ვერაფრით ვერ გადაარჩინეს.

- **კამფეტების კეთება რომ დაიწყე სახლში და დედაჩემის "კასრულები" რომ დაწვი, ის როგორ იყო ?**

- ცამეტი წლის რომ გაგნდი, მე და სიმონ აჯიაშვილმა შეკამპეტე რუსი დავათვრეთ და რაც კამფეტების დასამზადებელი ყალიბები გაანჩნდა, ყველა მოგვცა. წამოვიღეთ სახლში, შევიძინეთ შაქრის დიდი რაოდენობა და მის გადასადნობად სათანადო ქურჭლის ძებნა დავიწყე სახლში. რაც შესაფერისად მომეჩვენა, ავიღე და ცეცხლზე შევდგი, ისე, რომ დედაჩემმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. შაქარი რომ მოვაღულე, ქვების ძირზე მიიწვა და ვერაფრით ვერ მოვაცილე. ეს ქვები საქმლის გასაკეთებლად გამოუსადეგარი ვაჩნდა. შაქრის სირობი უკვე მქონდა, კამფეტების გასაკეთებელი ყალიბები : მამლები, ტრაქტორები, ციყვები და სხვა მქონდა, დავიწყეთ ჩამოსხმა, რაც ყალიბში ისხმოდა, ისხმოდა, რაც არა და იატაკზე იღვრებოდა. ტყუილად ივარგებოდა ძვირადღირებული ცხელი შაქრის სირობი. ისევ სახლში დავტრიალდი და ბებია თეთრას ალუმინის ქვაბი ვიპოვე. ჩაქუჩით გავლუნე და სიროფის ჩამოსახსნელად წვერი გავუკეთე. რა თქმა უნდა, საქმლის გასაკეთებლად ის უკვე აღარ ივარგებდა. აგრე რიგად გაკეთებული (ჩამოსხმული) კამფეტები გასაყიდად გავიტანეთ და ცოტაოდენი ფული ვიშოვეთ. ეს ახირება 3-4 თვე გვეყო მხოლოდ. ამ ხნის განმავლობაში დედაჩემს საქმლის გასაკეთებელი ქვები აღარ დარჩა, ყველა შაქრის გადასადუღებლად შევინძარე.

- **მერე რა გააკეთე?**

- 14 წლის ასაკში უკვე ვიცოდი ქუდის შეკერვა. ჩემი და თინა რომ დაინიშნა (1948 წ.) მამაჩემს გუთხარი : - "სამი-ოთხი თვის განმავლობაში გვერდით ამოვიდგები და თინას დასახლებაში დაგეხმარები, თუ ქორწილისთვის კოვერკოტის კოსტუმს შემიკერავ-თქო" - იმ დროს ჩემი ხნის ბავშვებს ჩასაცმელი არ ჰქონდათ, მე კი მოდური კოსტუმის შეკერვას ვითხოვდი. მიყვარდა კარგი ჩაცმა-დახურვა. კოვერკოტის კოსტუმთან ერთად კარგი პერანგიც უნდა ეყიდა ჩემთვის. მამაჩემმა სიტყვა შემიხრულა და მეც არ დავრჩენილვარ ვალში, თავდადებით ვეხმარებოდი.

ქუდის საკერავი რამდენიმე "მაშინა" ერთდროულად მუშაობდა. კერვას ვერ ვასწრებდით, ისე იყიდებოდა ქუდები. მე მეორე ხელი ვიყავი მამაჩემისთვის. ასზე მეტ ქუდს ვკერავდით დღეში. საკერავი მანქანები კულაშშიც გვქონდა და სამტრედიაშიც.

სამტრედიადან მამაჩემი ისევ კულაშში დაბრუნდა და სახელოსნო კოლია ზამთარადის მეზობლად აიღო, იქ სადაც შალია პარიკმახერი მუშაობდა ადრე. იმ აგურის სახლში წინა მხარეს ერთდროულად მუშაობდა მამაჩემი თავის სახელოსნოში, შალია პარიკმახერი, რუბენი

და დათბა თავის სადალაქოში და კოლია ზამთარაძე თავის სადალაქოში. ჩვენი სახელოსნო შუაში იყო. სამტრედიაში თავისი დუქანი მამაჩემმა კოკიას დაუტოვა. უფრო ადრე კულაში ქუდების სახელოსნო გვექონდა ყობია ექიმის სახლში. ჩვენ სამტრედიაში გადავედით, ის ადგილი კი კოკიას დავუტოვეთ.

თინას საქორწინოდ მშობლებმა ცხაკაიაში გამიშვეს ხალხის დასაბატიყებლად. იქ გასაყიდად გამოტანილი ისეთი ნესგები ვნახე, ადრე მისი მსგავსი რომ არსად მენახა. ავირჩიე მათ შორის ყველაზე დიდი და სურნელოვანი და გადავწყვიტე საქორწინოდ სუფრის დასამშვენებლად გამომეყენებინა. წასვლა-წამოსვლა ფული თითქმის არ მიჯდებოდა, ვინაიდან მატარებლით უბილეთოდ ვმგზავრობდი. ცხაკაიდან დაბრუნებისას ჩვეულებრივად ნესვით ხელში შევევარდი მოსკოვ-თბილისის მატარებელზე, რომელსაც სამტრედიაში უნდა გაეგლო. რევიზორებსა შემნიშნეს და დაჯარიმება მომინდომეს. მე ფული არა მაქვს-თქვა ვუთხარი. ნესვი მოეწონათ და მისი ჩამორთმევა უნდოდათ.

- დის ქორწილი მაქვს და ეს ნესვი იქ უნდა გავჭრა, ამიტომ ცოცხალი თავით ამ ნესვს არავის მივცემ-თქო, ბავშვურად დავიჟინე. 15 წლის ყმაწვილის ეგრეთი შემართება მოეწონათ რევიზორებს და ისე ჩამომაცილეს სამტრედიაში, სულ გზას მილოცავდნენ. ძალიან გაეხარდა მამაჩემს, ჩემს მიერ მოტანილი ნესვის დანახვა. ქორწილში ყველა სტუმრებზე უფრო ლამაზად მე მეცვა. ნამდვილი ხათანივით ვიყავი გამოწყობილი.

**- რა ეცვათ ხალხს უნი ბავშვობის პერიოდში ?**

- ყველაზე კარგი ჩამცმელები იცვამდნენ "გალიფე" (ჩექმაში ჩასატანებელ) ან ჩვეულებრივ შარვლებს, აზიაცკებს და ინდიგოს ან კოვერკოტის კოსტუმ-შარვლებს. იყო ადგილობრივი და ლონდონის ინდიგო, რომელიც ნუთჯერ უფრო ძვირად ფასობდა. ზაფხულობით



სურ. 275 გაგრა კოლონადის პარკი 1958 წ. ლოდიკ სეფიაშვილიმალაზიაში მუშაობის დროს

იცვამდნენ კრემისფერ ჩიჩონჩას. ვისაც საშუალება ჰქონდა, იძენდა საწვიმარ ლაბადას ("პლაშის") და შალის პალტოებსაც. ქალები იცვამდნენ შტამპოვკას, ჩითს, კრემჟორუეტს, შიფონს, კრევედიშინის (სუფთა აბრეშუმის ქსოვილი), შანტლაკის, ხავერდის, ბარხატის, შალის, ფანელის და სხვა კაბებს. უფრო მოგვიანებით შემოვიდა ბაილონისაგან დამზადებული ტანსაცმლის და ფინური ფენსაცმელების მოდა.

- **შერე რა გააკეთე ?**

- მეთხუთმეტე წელში რომ გადავდექი, სამტრედიისში წავიდი და თფიციალურად დავიწყე მუშაობა "ტორგში" - მიშა ელაშვილთან. ის მაძლევდა გასაყიდად "ლევად" შემოტანილ კასრულებს (ქვაბებს). ელაშვილებს კასრულების ქარხანა ჰქონდათ და საქონლის ნაწილს "ლევად" ასაღებდნენ. მიშა ელაშვილი მთხოვდა ქვაბები სახელმწიფო ფასში გამეყიდა. მე კი ვიცოდი, რომ მაღაზიები ფასებსაც ამახინჯებდნენ ხოლმე. იაფიან კასრულს შედარებით უფრო ძვირად ყიდდნენ. მიშა საქონლის გაყიდვაში ფულს მაძლევდა, მე კი ფასების დამახინჯებით დამატებითი შემოსავალი გავინიხე. მოკლედ რომ ვთქვა, ორ კვირიანი გამოსაცდელი ვადა წარმატებით გავიარე და მომცეს უფლება სამტრედიის ბაზარში დამოუკიდებელი ლატოკი გამეხსნა. მეტრიკის (დაბადების მოწმობის) საფუძველზე მეკალათედ გამაფორმეს და ბაზარში "ლაგკის" გახსნის უფლება მომცეს. მე თვითონ ბავშვი ვიყავი და ჩემს მისახმარებლად ჩემი ძმა იაშა მიმყავდა ხოლმე. ის 9 წლისა თუ იქნებოდა მაშინ. იმ დროს მოდაში იყო ძალიან, ნარმის ქსოვილი. "ლაგკაში" გასაყიდად ნარმა მომქონდა ხოლმე. მქონდა ჩითის ქსოვილიც, მაგრამ ნარმაში მეტი მრჩებოდა. ფასსაც ვამახინჯებდით და ნარმის გაზომვის დროს მეტროზე მისი გადაჭიმვა შეიძლებოდა. ამით მეტი მოგება გვრჩებოდა. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა.

ქსოვილის გასაზომად მაშინ მეტროებს ვხმარობდით. იყო ხის და რკინის მეტროები. რკინის მეტროს ხმარება აკრძალული იყო, (ის მეფის რუსეთის დროინდელი გახლდათ) ვინაიდან მასზე ქსოვილი იჭიმებოდა. მე სწორედ ამიტომაც რკინის მეტროს ვხმარობდი. ერთხელ მეტროზე ნარმის გადაჭიმვის დროს, რკინის მეტრო გახსლტა და თვალში მოხვდა ვანიდან ჩამოსულ მყიდველ ქალს. ატყდა ერთი ალიაქოთი. ქალს თვალი გადმოუვარდა და სისხლად იცლებოდა. ძალიან შევშინდი. კვირა დღე იყო. ჩემდა საბედნიეროდ ბაზრის კომიტეტი ვანელი მჭაგანაძე იყო. ლარიოკები ყოველთვიურად ვცემდით ხოლმე მას პატივს, ამიტომ ჩვენს ინტერესებს იცავდა ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა. ბიძია მიშას (ბახვას) და მიშა ელაშვილს თავი საძებრად გაუხდათ. კანონით მცირეწლოვანი ვიყავი და ჩემი გაფორმება არ

შეიძლება, ამათ კი მხოლოდ მეტრიკის საფუძველზე გამაფორმეს.

- ბავშვს შემთხვევით მოუხდა ქალო, ძალით კი არ უნდოდა - ამ-  
შვილებდა ვანელ ქაღს მჭავანაძე. როგორც იქნა შესძლო დაზარა-  
ლებულის დაშოშმინება და სასჯელისაგან მიხსნა.

ჩემს გვერდით ლარიოკში მუშაობდა შიმშონა ლევიაშვილის ვა-  
ჟი - შემუელა. მისი ლარიოკი "ორსის" ორგანიზაციას ეკუთვნოდა.

მე-16 წელში რომ გადავდექი, სამუშაოდ "საქვაჭრობა"-ში გადა-  
ვედი. აქ ჩემი გამგე იყო ბიძია ბესო ბოთურაშვილი. ბიძაჩემის მაღაზიაში  
ვვაჭრობდი ფართლით, კალოშებით და სხვა. ძირითადი შემოსავალი  
ფასების დამახინჯებაში იყო.

ცოტა ხნის შემდეგ სამტრედია დავტოვე და სამუშაოდ ბათუმში  
წავვედი. იქ სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი წყლის კიოსკთან, რომე-



სურ. 276 ბათუმის ნავსადგური

ლშიც ქალი მუშაობდა. დავინახე, რომ ამ ქაღს ახალგაზრდები აწვა-  
ლებდნენ. მე თავი გამოვიდე მის დასაცავად და ის ხულიგნები გავეყარე.  
ქალი მადლობის ნიშნად კიოსკიდან გამოვიდა და ვინაობა მკითხა.  
როცა გაიგო სამუშაოს ვეძებდი, დამპირდა :

- მე ჯორბენაძის ქალი არ ვიყო, თუ შენ კარგ სამსახურში არ  
მოგაწყო. - თურმე მისი ვაჟი ჟორა "ბათუმ ვაჭრობ"- ის მუშათა კო-  
მიტეტის თავმჯდომარე ყოფილა. ამ ქალმა თავისი სიტყვა შეასრულა  
და სამუშაოდ მოვეწყე უნივერსიტეტში, რომელიც საკოლმეურნეო მოე-  
დანზე მდებარეობდა. მისი დირექტორი იყო შოთა გოგუაძე. მე ლატოკი  
ჩამაბარეს მაღაზიის წინ მოლოტოვის ქუჩაზე. თუ რაიმე კარგი სა-  
ქონელი შემოვიდოდა უნივერსიტეტში, მე მაძლევდნენ გასაყიდად.

## ნანუ (რიბკა)

მესამე შვილი გახლდათ, ჩემი მეორე და ნანუ (რიბკა), რომელიც 1937 წელს დაიბადა. ნანუც ნაადრევად გაათხოვეს და 1954 წელს "დროულად ჩააბარეს პატრონს" - შალიკო შაბათას-ძე მიხელაშვილს, რომელიც პირველი - უფროსი სიძის ბიძაშვილი გახლდათ.

შალიკო პატარაობიდანვე ვაჭრობას მისდევდა და დაქორწინების ასაკში (23 წლის) საკმაოდ გამოცდილი ვაჭარი გახლდათ. მან უკვე გაიარა პატარა ვაჭრობის ეტაპი და რუსეთის ქალაქებში სიარული დაიწყო, საიდანაც ჩამოჰქონდა ის მოდური საქონელი, რომლის წყალობითაც კულაში "პატარა მოსკოვის" სახელწოდებით იყო მონათლული.

თავის ჩამოტანილ ან გამოგზავნილ საქონელს, შალიკო ან თვითონვე ყიდდა, ან სხვა ქორ-ვაჭრებთან ასაღებდა ბითუმად და თვითონ ისევ რუსეთისაკენ ან ბალტიისპირეთის ქვეყნებისაკენ იღებდა გეზს.



სურ. 277 ნანუ მიხელაშვილი

შალიკოს მამა შაბათა 1942 წელს ფრონტზე საბრძოლველად გაიწვიეს და იქედან აღარ დაბრუნებულა. უკანასკნელი წერილი მას სეფასტობოლიდან გამოუგზავნია, რომელშიც თჯანს რაღაცას ანიშნებდა. ეს რაღაცა იმედს აძლევდა ნათესავებს, რომ შაბათა ომის ქარ-ცეცხლს გადაურჩა და სადღაც რომელიღაც უცხო ქვეყანაშია გადახვეწილი. საქართველოში ყოფნის დროს იმედოვნებდნენ, შესაძლოა მის კვალს ისრაელში მივაგნოთ. ერთი სული ჰქონდა თჯანს, როდის ამოვიდოდნენ ისრაელში და მის კვალს მოძებნიდნენ. ასეც მოხდა. საქართველოდან დაძრულ ალიის დიდ ტაღლას ამოყვანენ ისრაელში და იქვე

დაიწყეს თჯანის უფროსის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ ....

მეუღლის გარეშე დარჩენილი დედა შაშა ოთხ შვილს ზრდიდა. თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ომის დროინდელი კულაში და ოთხი პატარა ბავშვიანი ქალი, მაშინ მიხვდებით, თუ რაოდენი გაჭირვება გამოიარა ამ თჯანმა. კიდევ კარგი, რომ მათ ხელს უწყობდა ბებია რიბკია (ბაბას დია) - შაბათას დედა.

## იაშა

მეოთხე შვილი გახლდათ, იაშა საკმაოდ ნიჭიერი და გამჭრიახი



გონების მქონე ახალგაზრდა, რომელიც დუხჭირი პერიოდის გამო უნივერსიტეტის კედლებს გარეთ დარჩა, თორემ მისი ნიჭის პატრონი კაცი დიდად ასახელებდა ჩვენს თემს. იაშას (იაკობს) ძალზე ფიცხი ხასიათი ჰქონდა და ადვილად ბრაზდებოდა ხოლმე. ვაი იმას, ვინც მასში ბრაზს გამოიწვევდა. დაუფიქრებლად და დაუნდობლად მიაყენებდა მნიშვნელოვან ზიანსაც კი. არაერთხელ დაუტოვებია მას სამახსოვრო ნიშანი იმ ამხანაგების თუ ნათესავების სხეულზე, ვინც მასში ბრაზი გამოიწვია.

ამასთანავე ის ჯიუტი და ცელქი ბავშვიც გახლდათ. ერთხელ კოწია მასწავლებლისთვის (ის ამავე დროს სკოლის დირექტორიც იყო) ასეთი თინი მოუწვია. თხრილში ბაყაყი დაუჭერია, დაჭმუჭნილ ქალაღლში გაუხვევია და კლასში მასწავლებლის მაგიდაზე დაუგდია. მორიგე მოსწავლე მკაცრად გაუფრთხილებია, ქალაღლისთვის ხელი არ ეწლო და არც კოწიასთვის გაემხილა, ვინ დასდო ის მაგიდაზე. საკლასო ოთახში შემოსულ კოწიას, რა თქმა უნდა, იქვე შეუმჩნევია მაგიდაზე დაგდებული დაჭმუჭნილი ქალაღლი და მისი აღება მუნდომებია ... ამ დროს ისკუბა თურმე ბაყაყმა და კოწიას სახეში შეახტა. ბავშვები სიცილით იგუდებოდნენ, კოწია კი ძლივს გადაურჩა გულის ინფარქტს. რა თქმა უნდა, მასწავლებელმა იქვე აუღო ალღო, თუ ვისი ნახელავი იყო ეს და იაშას ჩანთის გარეშე მოუწია სახლში დაბრუნება, თან მეორე დღით მშობელი უნდა მიეყვანა სკოლაში. ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა კლასში და ამგვარ თინებს ხშირად პატიობდნენ.



სურ. 278 იაშა სეფიაშვილი

მეორეს მხრივ იაშა ამხანაგურ ბიჭად ითვლებოდა და ბავშვობიდან სიბერემდე მეგობარ-ამხანაგები მუდამ გარს ეხვევნენ და ახვევიან. მან ჯერ კოწიას კლასი (ნინოშვილის სახელობის ოთხწლიანი სკოლა) დაამთავრა. ხოლო შემდეგ ვანო სტურუას სახელობის საშუალო სკოლაში გააგრძელა მეცადინეობა და ამ სკოლის 8 კლასი დაამთავრა.

ბათუმში უფრო მოგვიანებით "ექსტერნად" გააგრძელა სწავლა და საშუალო განათლება მიიღო. უფრო მოგვიანებით კი სავაჭრო ტექნიკუმშიც დაამთავრა "საქონელმცოდნეობის" განხრით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იაშას ცუდ პერიოდში მოუწია ბავშვობა. ის 1939 წელს დაიბადა და სკოლაში სწავლის წლები, ომის დამთავრების პერიოდს დაემთხვა. უდიდეს ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა მაშინ კულაშის ხალხი და ჩვენი ოჯახიც. სკოლაში სწავლის პარალელურად იაშას მამისათვის მხარში ამოდგომა მოუწია.

## გასაუბრება იაშა სუფიაშვილთან

- რა გახსოვთ თქვენი ბავშვობის პერიოდიდან ?

- არ გვქონდა სათამაშოები, იყო ძალიან დიდი გაჭირვება, არ გვქონდა საკმარისი ტანსაცმელი, შუშა და ნავთი ზამთარში სახლის გასათბობად, არ გვქონდა საკმარისი საკვები, მშვიერი არ ვიყავით, მაგრამ ყველგან იგრძნობოდა საკვების უკმარისობა, სხვათა შორის, თმის პერიოდში უკეთესი იყო ცხოვრება, ვიდრე მის შემდეგ. თმი რომ დამთავრდა, მე ნ წლის ვიყავი, მახსოვს, იმ პერიოდში ლობით თუ ვინმეს ჰქონდა სახლში და ცოტაოდენი ქაღი, შეძლებულად ითვლებოდა. მთელი კულაშის მოსახლეობა ძირითადად ქაღის ფქვილზე ცხოვრობდა. პური ხან იყო, ხან არ იყო, დიდი რიგები იდგა ხოლმე, ზოგჯერ პურის საყიდელი ფულიც არ გვქონდა. არც მაღაზიაში ნაყიდი პური ვარგოდა. ჩემის აზრით, კულაშის მოსახლეობის 60 % ქაღის ფქვილით ინახავდა თავს. სიმინდი უფრო იაფიც იყო და შედარებით იოლად იშოვებოდა. ადგილობრივ გლეხობას შემოჰქონდა გასაყიდად კულაშის ბაზარში. უფრო ხშირად ქაღის ფქვილს ვყიდულობდით ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ სიმინდსაც ვიძენდით, ვარჩევდით, ვასუფთავებდით და მიგვქონდა წისქვილში დასაფქვაგად.

- რომელი წისქვილი გახსოვს კულაშში ?

- წისქვილიც იყო და მატორიც. პირველ ხანებში სიმინდი დასაფქვაგად შალელაშვილებისკენ მდებარე წყლის წისქვილზე დაგვქონდა, უფრო მოგვიანებით, მე რომ წამოვიზარდე, მატორებიც გაიხსნა. დათა ბოთურაშვილის მატორი იყო მეზობელი ქუჩის დასაწყისში, მიხელია ფიფას სახლში. მეირა ბათაშვილის არტელსაც ჰქონდა მატორი სასაფლაოს მეზობლად. ვისაც დასაფქვაგად საჭირო თანხა არ ჰქონდა, მემატორე მისგან "მინდს" იღებდა. მინდი, ეს იყო დასაფქვაგი საქონლის ნაწილი, რომლის ოდენობასაც, როგორც წესი, მემატორე განსაზღვრავდა ხოლმე.

- ღელეზე თუ დადიოდით ხოლმე ?

- რა თქმა უნდა, ჩვენთან ბოინის ღელეზეც დავდიოდით, მაგრამ მე და ჩემი ამხანაგები ძირითადად ვერეთ წოდებულ გიორგას ღელეზე დავდიოდით ხოლმე. ეს ღელე კოწიას კლასისკენ მიმავალ გზაზე იყო, ხიდს რომ გადახვიდოდით, ერთი ასიოდე მეტრის დაშორებით. იქ წყალი უფრო ღრმა იყო და ღელე უფრო ფართო. თავდაპირველად ბოინის ღელეზე დავდიოდით, მაგრამ დროთა განმავლობაში ღელემ ბევრი ქვა და ღორღი ჩამოიტანა და წყლის სიღრმემ თანდათანობით იკლო. წემოთსხენებული საბანაო ადგილების გარდა იყო კიდევ რამდენიმე სხვა ადგილი, სადაც ჩვენ საბანაოდ დავდიოდით ხოლმე. ასე მაგალითად, ჯვარცხმის სკოლაში რომ გადავყდი (მეხუთე კლასი-

დან) იქაურობა გავიცანით უკეთესად და აქ უკვე ნამდვილ მდინარეში ვბანაობდით და არა ლელეზე.

სკოლაშდელ ასაკში ძირითადად ჩვენი ქუჩის ბიჭები ვიკრიბებოდით ხოლმე ერთად : იოსანანის ბიჭები - დათიკო და მინაელი, გაბრიელას ეუდა და სხვები. ვთამაშობდით ფეხბურთს ...

- **ეუდამ როგორ მოიტეხა ფეხი ?**

- პატარა ბიჭები ჩვეულებრივად ვკინკლაობდით. იოსანანის მინაელი, რომელიც ასაკით ჩვენზე უფროსი იყო, ეუდას გამოეკიდა და ეს



სურ. 279 საქორწინო ბარათის ნაწილი. იაშა და სიმა სეფიაშვილები

უკანასკნელი სახლისაკენ გაიქცა. გაქანებული კარის ზღუდეს დაეჯახა და მუხლი დაეშალა. ცუდი მკურნალობის გამო ვერ შესძლეს დროულად ფეხის გამართვა და ეუდა ინვალიდად დარჩა. ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. მაშინ აღბათ ათი წლის თუ ვიქნებოდი. (1949 წ.).

- **ერთი წუთით ისეგ თქვენს ბავშვობას დაგუბრუნდეთ, რას თამაშობდით ხოლმე ბავშვები, ფეხბურთს ?**

- რა უნდა გვეთამაშნა, ლუნა-პარკები მაშინ არ იყო და ... გავბერავდით ინდაურის ჩიყვებს და ბურთად ვიყენებდით. ზოგჯერ ქსოვილის ნაჭრებისაგან შეგკერავდით ხოლმე ბურთის მაგვარ რაღაცას და იმით ვთამაშობდით. უფრო მოგვიანებით, ნამდვილი ბურთებიც გამოჩნდა აქა-იქ.

- **კინოში თუ დადიოდით ?**

- ჩემს ბავშვობაში კულაში ხის შენობაში იყო კინო-თეატრი

საბჭოს გვერდით. იქ კინოებსაც უშვებდნენ და კონცერტებიც იქვე იმართებოდა. ბუჭუნია მიხელაშვილი იქ არტისტობდა. შეგძრებოდით ხოლმე ბავშვები შენობის უკანა მხარეს მდებარე ხვრელიდან და სცენაზე მყოფ მსახიობებს ვუცქერდით. თუ წარმოდგენა არ მოგვეწონებოდა, მსახიობებს კენჭებს ვესროდით ხოლმე. ბილეთების საყიდელი ფული რომ არ გვექონდა, ჩვენი ბიჭები შენობის უკანა მხრიდან ვიპარებოდით ხოლმე დარბაზში და ამიტომ მის ყველა ხვრელს კარგად ვიცნობდით.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩის კლუბის ადგილას ქვითვირის შენობა ააგეს კინოთეატრისთვის.

**- სკოლაში სწავლა დაწყებით სკოლაში დაიწყეთ, ვინ იყვნენ იმ პერიოდში კოწიას კლასის მასწავლებლები ?**

- თვითონ კოწია სტურუა, პროკოფ კანდელაკი, ანტონინა მიქელაძე ... მეტი აღარაფინ მახსოვს. კოწიას კლასში სწავლის პერიოდიდან ის მახსოვს, რომ ეს იყო ჩის დანჯღრეული შენობა, რომლის ბოლოში ცნოვრობდა თვით კოწია - სკოლის დირექტორი. სკოლის იატაკი ჩის ფიცრებით იყო მოგებული და მისი ქრაჭუნის მიხედვით ვხვდებოდით ბავშვები, თუ როდის გამოდიოდა ხოლმე კოწია სამასწავლებლოდან. კარგად მახსოვს ის ფაქტი, რომ მთელ კლასში სადაც მე ვსწავლობდი მოსწავლეებს მხოლოდ ერთი ფანქარი გვექონდა და იმით ვწერდით რიგრიგობით. რვეული თუ ვინმეს ჰქონდა, ეს ნამდვილი სასწაული იყო. მეცადინეობა ძირითადადში საკლასო დაფაზე მიმდინარეობდა, რომელზეც თეთრი ცარცით ვწერდით. კლასში ძლიერ მოსწავლედ ვითვლებოდი, მასწავლებლის მიერ ახსნილ გაკვეთილს იქვე ვიმახსოვრებდი და ჩემთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა მისი ადგილზევე გაპეორება.

**- რამდენადაც ვიცი, მასწავლებლებსაც (ძირითადადში კოწიას) ძალიან აბრაზებდით ?**

- რა გითხრა, იყო ხოლმე შემთხვევა, როცა კლასში კოწიას შემოსვლამდე რამდენიმე მოსწავლეს დავაშინებდით და ვეტყოდით, მერხებს ქვემოთ დამალულიყვნენ.

- რა არის ეს ? იყვირებდა კოწია შემოსვლისთანავე, ნახევრად ცარიელ კლასს რომ დაინახავდა. საკლასო ჟურნალს ამოიღებდა, რომ დაედგინა, თუ ვინ არ ესწრებოდა გაკვეთილს. ამ მომენტში დამალულები თავს ამოყოფდნენ და კოწია განცვიფრებული რჩებოდა. ერთი ორჯერ რომ გავაკეთეთ ასე, კოწია მიხვდა ჩვენს თინებს და დაიძახა :

- შაბათას ბიჭო, გამოდი გარეთ, შენი ნამამაძალღარია ყველაფერი ეს ...

ბიჭები დღედაღამ იმაზე ვფიქრობდით, რაიმე ახალი მოგვეფიქრებინა

ნა, რომლითაც კლასსაც გაავაცინებდით და ჩვენც გავერთობდით. ჩემთან ერთად სწავლობდა მაშინ შალიკო ელიშაყაშვილი (ელიავი), მისი ბიძაშვილი იოსებ ატანელი, ნანია შოფერი - მირილაშვილი, შალიკო სეფიაშვილი, ხახამ ბენციონ მიხელაშვილი ...

- შალიკო ბუაც თქვენთან ერთად სწავლობდა ?

- თუ მაგას სწავლა ქვია, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მოვიდოდა ხოლმე, გააკეთებდა რაღაც ხულიგნობას და დაიკარგებოდა ... ხშირად გაიღანებოდა ხოლმე. სუსტ ბავშვებს რომ დაიჭერდა, წიგნებს და რეჟულებს უხევდა ან ტალახში გადაუყრიდა. ჩვენ ბიჭებთან არაფერი გაუდიოდა. სუსტ ბავშვებსაც ჰყავდა პატრონი, რომ გამთარკვევდნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე, შალიკო იღანებოდა ხოლმე, მაგრამ მისი გამოსწორება არ იყო. რამდენიც არ უნდა გეცემა, სულ სისხლიც კი დიოდა, მაგრამ მისი თვალდანი ცრემლი არ გადმოვარდებოდა. არც ჭკუას სწავლობდა, მეორე წუთში ისევ იმავეს იმეორებდა.

- სკოლაში წასვლის წინ რას ჭამდით ხოლმე ?

- სად იყო საჭმელი, თუ სადმე ჭადის ან პურის ნატეხი იყო დარჩენილი, მადლობა უნდა გეთქვა. ცხონებული ბებია თერთა წვალობდა ხოლმე, ხან ლობიოს მოადულებდა, ხან როცა ძროხა გყავდა, ხაჭო-ნაღები ან

ყველი მოიძებნებოდა სახლში. მშვიერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ სარჩევიც არ გვქონდა. მამაჩემი ხელთსანი კაცი იყო და ოჯახი მეტნაკლებად მომარაგებული ყავდა. როცა ძროხა არ გყავდა, ჩვენსავე ქუჩაზე ახლოს ცხოვრობდა ბებიაჩემი ნებედია. იმას ძროხა მუდმივად ყავდა და ხშირად მოჰქონდა ჩვენთან ყველის ნაწარმი. იმ პერიოდში კულაშში იყო ბევრი ისეთი ოჯახი, სადაც ბავშვებს მთელი დღის განმავლობაში კუჭი არ უძღებოდათ. დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა ხალხი. საერთოდ ყველაფერი გვაკლდა. ერთ საბონს ნაჭრებად აქცევდნენ და ისე იყიდებოდა. იმით უნდა გაგერეცხა სარეცხი, დაგებახა



სურ. 280 იაშა და სიმა  
სეფიაშვილები

ტანი და ყველაფერი. საპნის თავისი ფორმით აგურს გავდა და აგურით მკვრივი იყო. ენლა რომაა საპნის ათობით სახეობა, ასე კი არ იყო ... სარეცხის გამოსათეთრებლად ხშირად გამოიყენებოდა ხოლმე თხიერი ნივთიერება "ლივოტკა". ამ ნივთიერებასაც ზომით ყიდულობდნენ, ვინაიდან საჭირო რაოდენობის საყიდელი თანხა არ გააჩნდათ. "ლივოტკას" ბებიჩეში თეთრაც ყიდდა ხოლმე. იყვნენ კულაშიში ოჯახები, რომლებიც თავს "ლივოტკის" გაყიდვით ირჩენდნენ.

- ფაქტონები თუ გახსოვს კულაშიში ?

- ფაქტონით რომ არ გაესეირნა ფურიშიში, ის ბაღანა, რა ბაღანა იყო ...

- 1950 წელს დაწყებითი სკოლიდან ჯვარცხმის საშუალო სკოლაში გადახვედი სწავლის გასაგრძელებლად. აქ სწავლობდი რვაწლეულის დამთავრებამდე - 1953 წელს. ხომ არ გახსოვს შენი მასწავლებლები აქ ?

- მახსოვს სკოლის დირექტორი - კოლია შენგელია, დამრიგებელი ეთერი კალანდარიშვილი, ის ამავე დროს ქართულ ენასაც გვასწავლიდა. სხვები აღარ მახსოვს.

- ვინ სწავლობდა თქვენთან ერთად ქართველი ებრაელებიდან ?

- პაპუს ვაჟი გარი ბოთერაშვილი, მინაელ "სუფსა", ყობია (ობოლი), სიმონა იაკობაშვილი, სიმონკა მინელაშვილი, ბუთუია კოკიაშვილი, დანიელა მეირას ძე ბათაშვილი, ჩემზე უფროსები იყვნენ ასაკით ილუშა ხაი მინელაშვილი ...

- ჯვარცხმის სკოლაში სწავლის პერიოდისა თუ რაიმე საინტერესო შემთხვევა გახსოვს ?

- ხშირად იყო ხოლმე ჩხუბი ჯვარცხმაზე ბურთის გატანის დროს. ერთხელ გავიგეთ, რომ ნინუაკუთხელ ბიჭებს ჩვენი ბიჭების გალახვა გადაუწყვეტიათ და ამისათვის ყველაზე შესაფერის დროდ ბურთი გატანა აურჩევიათ. როგორც წესი, ბურთის გატანის დროს სეირის საყურებლად 6-7 ბიჭი მოვდიოდით. თურმე ნინუაკუთხელებს 15-მდე ბიჭი შეუგროვებიათ და ცემას გვიპირებდნენ. თავის დაძვრენა გაქცევით შეგვეძლო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მეორე დილით სკოლაში ვეღარ მივიდოდით. იქ ჩვენ შეფეხებად ვითვლებოდით და სიტყვის შებრუნებას ვერავინ გვიბედავდა. წამოხტა სიმონა თხაური (იაკობაშვილი) და გვითხრა :

- დაიცათ ბიჭებო, მგონი მე რაღაცა მოვიფიქრეთ - და სასწრაფოდ სახლისაკენ გაიქცა. ის იქვე ახლო-მახლო ცნოვრობდა დაბაღ (ბელეტაჟ) სახლში. თურმე მის მამას, იცნაკ "მანტიორს" სახლის ქვეშ სადღაც რევოლვერი ქონია გადამაღული. სიმონას იმის მოტანა უნდოდა. ჩვენ გვეგონა მასიურ რკინის ჯოხს, ან სარს მოიტანდა.

- ჯერ ვნახოთ, საქმე როგორ წავა და თუ გაგვიჭირდა, ეს


ვინმართოთ - თქვა სიმონამ და დასატრიალებელ თოფიანი რევოლვერი ამოაძრო ქსოვილის ნახვევიდან.

- ერთი მხრიდან შეგვეშინდა იარაღის დანახვის, მეორეს მხრივ კი იმედი მოგვეცა. ამ ჩვენი მსჯელობისა და მზადების პროცესში შპიონი ჩვენგანაც გავიდა და ნინუაკუთხელებისთვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენ იარაღი გვქონდა. იმ პერიოდში იარაღის უკანონოდ ტარება იშვიათი მოვლენა იყო, თუ ვინმეს აღმოუჩენდნენ, 20 წლიანი პატიმრობა

არ ასცდებოდა. შეშინდნენ ნინუაკუთხელები და აღარ გამოჩენილან. კულაშელ ებრაელებს ისეთი სახელი ჰქონდათ გაფარდნილი, რომ კულაშში შემოსული არა ებრაელი, რომელიც ვინმეს გალანგას მთინდომებდა, თვითონ გაულახავი იქედან ვერ წავიდოდა. ჩვენი ამხანაგებიდან ყველაზე კარგი, მონერსებულები და სწრაფი ჩხუბში სიმონკა მისეულაშვილი იყო. თვალის დახამსამებაში რომ დაარტყავდა თავს ვინმეს, რკინის კაცი რომ ყოფილიყო, ვერ გაუძლებდა. სიმონა თხაურიც მაგარი მონხუბარი იყო.

**- რამდენი ხნის იყავი, ვაჭრობა რომ დაიწყო?**

- ათი წლის ასაკიდან. მას შემდეგ, რაც მამაჩემი ავად გახდა. თჯახი ეკონომიურ შევიწროებას განიცდიდა. არდადეგებზე ჩვენ ხშირად მივდიოდით ხოლმე ბათუმში ჩვენს მამიდასთან, ამიტომ ქალაქს პატარაობიდანვე ვიცნობდით. ვაჭრობა რომ დავიწყე, ეს ძალიან გამომადგა. 11 წლის რომ გავხდი, დავინახე, რომ კულაშში პური არ იშოვებოდა, ამასთანავე



БОРЖОМИ ПАРК

სურ. 281 ბიძა ბესო ბოთერაშვილი (მარცხნივ) და დისშვილი იაშა სეფიაშვილი ბორჯომ-პარკში 1965 წ.

ვიცოდი, რომ ბათუმში პური თავისუფლად იყიდებოდა მაღაზიებში. პურის გამოსაცხობი ქარხანაც ძალიან ახლოს იყო რკინიგზის სადგურთან. გადავწყვიტე პურით ვაჭრობა დამეწყო. ბათუმში 1 კგ პური 30 კაპიკად იყიდებოდა, კულაშში კი მას მანეთად ვყიდდით. პურზე ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე კულაშელი ბიჭი ვაჭრობდა. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და გენმარებოდით კიდევც.

თუ ცუდი ამინდი არ იდგა და არ ციოდა, სამტრედიის სადგურში რომ მივიდოდით, ვაგონის სახურავზე ავძვრებოდით და ბათუმიამდე ისე ვმგზავრობდით, ერთი მანეთი რომ მოგვერჩინა. მატარებლის გამცილებლისთვის (პრაგადნიკისთვის) მანეთი უნდა მიგვეცა, თუ ვაგონში შევიდოდით. სამგზავრო ბილეთი სამტრედიიდან ბათუმიამდე იმ პერიოდში 2 მანეთი ღირდა.

**- კი მაგრამ, საშიში არ იყო ვაგონის სახურავზე მგზავრობა ? ხომ შეეძლო რევიზორს ან პრაგადნიკს დაეჭირეთ ?**

- მეტი არაა ჩემი მტერი, ჩვენი დამჭერი არავინ იყო. როგორც თაგვები ისე დავძვრებოდით მატარებლის სახურავზე, ვიდრე ვინმე გამოგვეკიდებოდა, ჩვენ უკვე ორთქმავალთან ან პირველი ვაგონის ჩამოსასვლელთან ვიყავით. იქამდე შეჩვეული ვიყავით მატარებლის სახურავზე მგზავრობას, რომ დროის გაყვანის მიზნით მგელობიას (ერთმანეთის დაჭერას) ვთამაშობდით ხოლმე. თვალის დანამხანამებაში შეგვეძლო ვაგონის სახურავზე ასვლა, ვაგონის სათბობი ღუმელის მილის მეშვეობით, ან იქედან გაქრობა. რა თქმა უნდა, სასიფათო იყო გაქანებული მატარებლის სახურავზე სირობილი ბავშვებისათვის, მაგრამ მაშინ ამას ვინ დაგიდეგდათ.

მაგონდება ერთი შემთხვევა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ელმაგლებისათვის ელექტრონაზების გაყვანა დაიწყო. სადღაც ლანჩხუთთან მატარებელი დასახლებულ რაიონში გადიოდა. ჩვენ ჩვეულებრივად მატარებლის უკანა ვაგონის სახურავზე ვიყავით და ვთამაშობდით, ამიტომ ყურადღება არ მიგვიქცევია იმისთვის, რომ მატარებლის სვლის მიმართულებით ერთ ადგილას ელმაგლის ხაზის დამჭერი მასიური რკინის ძელი იყო ჩამოვარდნილი, რომლის მხოლოდ ერთი ბოლო იყო მიმაგრებული ანძას. ქარი ამომრავებდა ამ რკინას და სიკვდილის საფრთხეს უქმნიდა ვაგონის სახურავზე მყოფ ბავშვებს. საშიშროება მეზობლად მოსახლე ქართველმა ქალებმა შენიშნეს და ყვირილი ატეხეს. ჩვენამდე მათი ყვირილის მიზეზი მაშინ დავიდა, როცა იმ დაზიანებულ ანძას რამდენიმე ათეული მეტრით მივუახლოვდით. წამის რალაც ნაწილში ქვემოთ დავეშვი და გადავრჩით.

ერთხელ ბათუმის მილიციამ შეგვნიშნა, ვაგონის სახურავზე რომ ვმგზავრობდით და დაგვიყარაულდა, როცა მატარებელი სადგურში შევიდოდა, მათი აზრით მაშინ დაგვიჭერდნენ. ჩვენ ნიშანი დროულად



მივიღეთ და მილიციონერები ხელცარიელნი დარჩნენ. გაქანებული მატარებლიდან ჩამოვხტივით. ასევე შეგვეძლო დაძრულ მატარებელს შევხტომოდით. დაიძრებოდა თუ არა მატარებელი ადგილიდან, მის პარალელურად გავქანდებოდით, როცა ჩვენი სინქარე გათანაბრდებოდა, მაშინ შევხტებოდით და თვალის დახამხამებაში ვაგონის სახურავზე ვიყავით.

- კი მაგრამ, როგორ იქცევოდით, როცა საქონელი მოგქონდათ ?

- უბრალოდ, საქონელს ტომრებით ვამაგრებდით ვაგონის მილებზე და ჩვენ თავისუფალი ვრჩებოდით.



სურ. 282 ამ წიგნის ავტორის ძმების იაშასა და დოდოკას ოჯახების სრული შემადგენლობა წალვერში 1970 წ.

- პურებს სად ყიდულობდით ?

- ათობით მალაზიასთან გვქონდა კავშირი. უფრო მოგვიანებით ხალხი გავიცანით და პური პირდაპირ ფურნიდან გამოგვქონდა და ზოგჯერ უფრო იაფადაც.

- რამდენი ცალი პური მოჰქონდა თითო ბიჭს ?

- დაახლოებით ასი ცალი. ერთ ტომარაში 30-მდე პურს ვტენდით. ვინაიდან პურით სავსე ტომრების თრევა ერთდროულად არ შეგვეძლო, რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე პარკში ადგილი შევარჩიეთ და მატარებლის გასვლამდე იქ ვმაღავდით. როგორც ჩანს, ვილაცამ შეამჩნია, პურებს რომ ვმაღავდით და არაერთხელ მოგვპარეს სიმწრით შექმნილი და აქ მოთრეული პურები. ქკუა ვისწავლე და მოვილაპარაკეთ, რომ ერთერთი ჩვენთაგანი ახლომახლო რჩებოდა პურებით სავსე

ტომრების სათვალთვალოდ. ასეთივე წესს ვიყენებდით ვაგონის სახურავზე საქონლის ატანისას. ერთი ბედის ბავშვებს გაჭირვება გვაერთიანებდა. რევიზორებს რომ გადავრჩენილიყავით, მილიციაც დაგვდეგდა. პატარებელი სამტრედიაში რომ ჩავიდოდა, პურით საფსე თორტომარას ერთმანეთთან გადავაბამდით და მხრებზე გადავიკიდებდით 11 წლის ბავშვები. აქაც ერთმანეთს ვენმარებოდით საქონლის კაჭკებამდე მიტანაში.

ყოფილა შემთხვევა, რომ ადგილობრივ ქართველებს შევცოდებდითვართ ასე პატარა ბავშვები ასე მძიმე ტვირთს რომ ვწიდავდით და ხელი გაუშართითათ კაჭკებამდე მათ მიტანაში. შეკაჭკეები ჩვენი კულაშელი ებრაელები იყვნენ და ისინიც გვემარებოდნენ. კულაშში ჩამოტანილ პურს გასაღება უნდოდა. დილაადრიან უნდა გაგვეტანა ქუჩა-ქუჩა ან ბაზარში გასაყიდად და მერე სკოლაში წასვლა უნდა მოგვესწრო. რამდენჯერ ხდებოდა, რომ სიმწრით ჩამოტანილ საქონელს ვერ ვასაღებდით. მაშინ პური სახლში მიგვექონდა და იქ ვიყენებდით. რამდენჯერ მომხდარა, რომ კულაშელი მილიციონერი დაგვეგვინებია და პურები ტალახიან თხრილში გადაუყრია. ერთხელ მე პირადად გამომიკიდა ვალიკო გაბედავა, შეშინებული ბებია ხებედიას სახლში შევევარდი და სხვენზე დავიმაღლე. გაბედავა ბებიაჩემს მივარდა :

- სადაა ის ბაღანა, აქ რომ შემოვარდა-ო ? ...

- რა ბაღანა, რის ბაღანა, შე გასამწარებულო, ცალი ფეხი სამარეში მიდგია, რა დროის ჩემი ბაღანაა, სადაა ჩემს სახლში ბაღანათ - შეუტია თურმე ბებია ხებედიამ.

- რამდენჯერ დადიოდი ხოლმე კვირაში ბათუმში, სწავლაში ხელი არ გეშლებოდა ?

- რა თქმა უნდა, რომ გვეშლებოდა, მაგრამ მასწავლებლები გვიგებდნენ, თჯახს რჩენა ნომ უნდოდა. კვირაში ერთჯერ ან ორჯერ მიხდებოდა ხოლმე გაკვეთილების გაცდენა. სამაგიეროდ არდადეგებზე ყოველდღე დავდიოდი პურის ჩამოსატანად ბათუმში.

12 წლის რომ გავხდი, გუდაუთაში წავედი თბლიგაციებით სავაჭროდ. იმ წელს მამაჩემი უმუშევარი დარჩა. ფესახის დღესასწაული ახლოვდებოდა. გაზაფხულის თვეები (მარტი-აპრილი) იდგა. ფესახისთვის მზადება კულაშში ერთი-ორი თვით ადრე იწყებოდა. უნდა გვეყიდა სიმინდი, ხორბალი მაცის გამოსაცნობად და კიდევ ბევრი სხვა რამ, რომლის დამზადებასაც დრო სჭირდებოდა. მამაჩემს კი კაბიკი ფული არ ებადა. არც თჯახში არაფერი გვექონდა. შემთხვევით ყურში მომწვდა, რომ ცოტა ფულის გაკეთება შეიძლებოდა თბლიგაციების ყიდვა-გაყიდვით, ნ კაბიკად ნაყიდ თბლიგაციას 9-10 კაბიკად ვყიდდით და რაღაც გვრჩებოდა. იყვნენ მსხვილი ვაჭრები, მაგალითად ფეფია მოძღვრიშვილი, რომელიც ჩვენგან იძენდა საქართველოს

სწვადასწვა კუთხეში მოკრეფილ თბლიგაციებს.. ხდებოდა ხოლმე, თუ ბედი გაგიღიმებდა, ნაყიდ თბლიგაციაში მოგებაც ამოსულიყო. ამ საქმეზე ჩვენი სიძე შალიკო მუშაობდა მაშინ. გუდაუთაში მან წამიყვანა. აქაური ბაზრის ერთ-ერთ კუთხეში დაგდექი და ჩამოსული გლეხები-საგან თბლიგაციების შეძენა დავიწყე. იმ პერიოდში ამ ბაზარში საკმაოდ შეძლებულ კაცად ითვლებოდა ილუშა ტურფიაშვილი. მთელი გუდაუთა მას ეკავა ხელში. მალაჩიები ჰქონდა ბაზარში. მე რომ შემაძინია, გაბრაზდა :

- ეს ბიჭი, აქ ვინ შემოუშვა საფარნასოდ-თ ? ...

იქვე ბაზარში ვაჭრობდა კარგი ადამიანი, ბესიკო ბუნელია, შალიკო მიხელაშვილი, ჩვენი სიძე და მისი ძმა მიშია. ბაზრის სამი კუთხე ამათ ეკავათ. ბესიკომ მითხრა :

- მეოთხე კუთხე თავისუფალია, წადი და იქ ივაჭრე-ო. თან იმედი მომცა - ნუ გეშინია, ხელს ვერავინ გახლებს-ო. ილუშა ტურფიაშვილიც ბესიკომ "დაამშვიდა" :

- ეს ბიჭი შაბათა სეფიაშვილის ბიჭია, ვაჭირვებაშია ჩავარდნილი, ასე პატარა ბაღანა ჩამოვიდა და თუ კაცი ხარ, ხელი არ შეუშალო-ო.

- შაბათას ბიჭი თუ არის, ღმერთმა ხელი მოუმართოს-ო - უთქვამს ილუშას და მართლაც უბატონოდ ჩემთვის ხმა არავის გაუცია.

- დავიწყე თუ არა მუშაობა, 500 მანეთიანი მოგება ამომივიდა პირველივე შემოწმების შემდეგ. წიგნები თან გვქონდა, ამიტომ შეძენილი თბლიგაციების შესამოწმებლად შორს წასვლა არ მჭირდებოდა. ფესახის დასაყენებელი ფული გამოგზავნა გამჩნმა.



სურ. 283 სიმა და იაშა სეფიაშვილები კურორტ კისლოვოდსკში 1959 წ.

- კი მაგრამ, გლეხები თვითონ ვერ ამოწმებდნენ თბლიგაციებს ?  
- მათ საერთოდაც კი არ იცოდნენ, რა ქალაქები იყო ეს, წარმოდგენა ჰქონდათ ბუნდოვნად, რომ ეს ფასიანი ქალაქები იყო. ზოგიერთებს უხაროდაც კიდევ :

- ქალაქში ფული ევიღე, ურია მოვატყუე-თ ....

- **შემდგომში ბათუმში წახვედი, ხომ არ შეგიძლია განმარტო, რატომ გაგიწია გულმა კულაშიდან ბათუმისაკენ ?**

- ბავშვობისას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ზაფხულობით ყოველთვის ბათუმში დავდიოდით. გვიყვარდა ბავშვებს ეს ქალაქი. იმ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი უფროსი ძმადოდიკა. მეც იქეთ გამიწია გულმა. ჯერ დოდიკას ვეხმარებოდი პირველ ხანებში. ის ბათუმში ცხოვრობდა, ხოლო მანინჯაურში მუშაობდა ძველ უნივერსიტეტში. პირველად მინის ნაწარმის, ხოლო შემდეგ რკინაკავეულის სექციაში მუშაობდა. საბოლოოდ დოდიკა ფენსაცმელებისა და ქსოვილების სექციაში დამკვიდრდა. ცოტა ხნის შემდეგ მე მოსწავლედ ამიყვანეს უნივერსიტეტში.

- **ამის შემდეგ, რამდენადაც ვიცი, მამაჩემის დასახმარებლად წახვედი ბორჯომში, რას აკეთებდი იქ ?**

- თექვსმეტი წლის ასაკს რომ მივაღწიე, 1955 წლის ბოლოს ბორჯომში ჩავედი. გავიგე, რომ მამაჩემი ავად იყო და სისტემატიური მუშაობა არ შეეძლო. გადავწყვიტე მხარში ამოვდგომოდი მას. მამაჩემს იქვე უნივერსიტეტის მახლობლად ჰქონდა ოთახი ნაქირავები. ზოგჯერ ერთი საათითაც ვერ გადიოდა სამუშაოდ ავადმყოფობის გამო. ისე თუ გამოივლიდა ხოლმე სექციის დასახედავად, მერე ჩავდიოდა და იწვა ხოლმე საწყალი. მის მაგივრობას მე ვწვედი.

ბორჯომში ჩასვლის შემდეგ დავინახე, რომ სექციას, რომელშიც მამაჩემი მუშაობდა, კარგი პოტენციალი ჰქონდა. ეს იყო სპეციალიზებული ფენსაცმელების სექცია უნივერსიტეტში. უამრავი მყიდველები გვყავდა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ბორჯომში დასასვენებლად ჩამოსული დამსვენებლები 10-10 წყვილობით ფენსაცმელს ყიდულობდნენ. ოღონდ საქონელი მიგეწოდებინა და მყიდველი განუწყვეტლივ იყო. ლაგის ფენსაცმელები იყო მაშინ მოდაში და მას ყველა იძენდა. სწორი მუშაობით აქ კრავი ბიზნესის გაკეთება შეიძლებოდა. ძირითადად ჩვენ "ლევი ტავარ"-ით ("შემარცხენე გზით" - უკანონო გზით შემოტანილი საქონელი) ვვაჭრობდით. გაყიდული საქონლის ნაცვლად ახალი "ლევი" საქონელი შემოგვქონდა, რომელსაც შედარებით დაბალ ფასში ვყიდულობდით. განსხვავება იყო ჩვენი მოგება. იმ პერიოდში სხვები ფასების დამანინჯებითაც შოულობდნენ ფულს, ჩვენ კი ამის გაკეთება არ გვჭირდებოდა.

- **რომელ წელში იყო ეს ამბავი ?**

- ესლავე მოვიგონებ, 1956 წელში გარდაიცვალა მამიდა აბელა (ბარდნაშვილი) ბათუმში, ბორჯომში მე 1955 წელს ჩავედი - 16 წლის ასაკში. აქ გავიცანი კასპელი ბიჭები, ადგილობრივი ფენსაცმელების კომბინატიდან. ისინი ლაკის ფენსაცმელების ძალიან ლამაზ მოდელებს ამზადებდნენ. სომხები იყვნენ. მოვილაპარაკეთ და დავიწყეთ მუშაობა. ბორჯომში მათთვის ერთ-ერთი საუკეთესო ბაზარი იყო. აქ უამრავი რუსეთის მოქალაქე ჩამოდიოდა დასასვენებლად და მათი პროდუქციის ძირითადი გამსაღებლებიც ისინი იყვნენ. ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა. ბორჯომიდან ჩვეულებრივად ხაშურის გავლით ჩავედი კასპში (მანძილი



სურ. 284 კულაშელი (ბათუმელი) ბიჭები ბათუმის ზღვისპირა პარკში .  
1972 წ. მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ბესო მიხელაშვილი. იაშა სეფიაშვილი.  
შოთა ელაშვილი. რაფიკა ბოთერაშვილი. შოთა მიხელაშვილი. ლალია მიხე-  
ლაშვილი. მიხაელ მიხელაშვილი. აბე ელაშვილი. გარიკა ელაშვილი

დაახლოებით 70-80 კმ-ია) და შევხვდი კომბინატის ბიჭებს. ვიყიდე საქონელი და ისინი დამეხმარენ მის ტომრებში მოთავსებაში. შემდეგ მატარებლამდე მიმაცილეს და ვაგონში შემატანინეს საქონელი.

დაიძრა თუ არა მატარებელი, რაღაც ტანმა მიგრძნო, რომ ვიღაც მითვალთვალებდა. უფრო მოგვიანებით შევნიშნე, რომ მითვალთვალე ერთი კი არა, რამდენიმე კაცი იყო, რომლებიც ვაგონის სხვდასხვა კუთხეში იდგნენ. მე მათთვის არ მიგრძნობინებია, რომ ჩემთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა მათი მიზანი. მათ, როცა დაინახეს ბავში ვიყავი და თანაც მარტო, გათამამდნენ და არ ერიდებოდნენ ისე

აშკარად მოქმედებდნენ. ერთმანეთს თვალებით ელაპარაკებოდნენ და ვაგონის სწვადასწვა კუნჭულში მიმალულ ჩემს საქონელზე მიუთითებდნენ. 7 ტომარა საქონელი მქონდა სწვადასწვა ადგილას მიმალული. ისინი კომბინატის სომეხმა ბიჭებმა შემოიტანეს ვაგონში. დაგრწმუნდი იმაში, რომ ესენი ენლა მხოლოდ იმას ელოდებიან, ამ ტომრებს დავეპატრონო და მერე მტაცებენ ხელს. ბორჯომ-ბარკში მატარებელი ღამის თორმეტ საათზე შედიოდა. ვიცოდი, რომ სადგურზე მამაჩემი უნდა დამხვდეს და დამეხმაროს საქონლის უნივერსიტეტში შეტანაში. ბოლო სადგურს რომ ვუახლოვდებოდი, შორიდანვე შევნიშნე ბაქანზე მდგომი მამაჩემი. მე მატარებლის ერთ-ერთ წინა ვაგონში ვიყავი და მოვახერხე მისთვის დამტვრეული ებრაულით შენიშნებინა, რომ აყვანილი ვიყავი და ახლოს არ გამკარებოდა. წარმოიდგინეთ თავი იმ ღამის როლში, რომელმაც იცის, რომ მის შვილს საფრთხე ემუქრება. გაფითრებული სახით გვერდზე მიიმალა, მაგრამ თვალს არ აცილებდა ბაქანს. ელოდა მოვლენების განვითარებას.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გადავწყვიტე ჩემს ქონებას დავპატრონებოდი და რაც მოხდებოდა, მოხდებოდა. ამდენი ქონების დაკარგვას, გული არ მაძლევდა. ფული გადახდილი კი მქონდა, მაგრამ საბუთის ნატამალი არ გამაჩნდა. მიუხედავად ამისა, გაჩერდა თუ არა მატარებელი, მოვაგროვე ჩემი ტომრები და ვაგონიდან გადმოვნიდე თუ არა, იქვე დამადგნენ თავზე. მილიციის მუშაკები იყვნენ. მეკითხებიან, ვინა ვარ, არ ვბასუნობ.

გამოიძახეს მილიციის მანქანა, დააწყვეს ზედ საქონელი, ჩამსვეს შიგ და თავი მილიციის რაიონულ განყოფილებაში ამომაციოფინეს. ეს ის ბერიოდი იყო, როცა მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილეს კარგად ვიცნობდი. ერთი-ორჯერ ბურ-მარილიც კი მქონდა ნაქამი მასთან ამ 16 წლის ბაღანას. ფულსაც ვაძლევდი ხოლმე და ამ საფუძველზე იმედი მომეცა. ჩემი საქმე რომ რაიონულ მილიციაში ყოფილიყო, არაფერი მიჭირდა, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ მე რესპუბლიკური მილიციის თბერებმა დამაკავეს. კამერაში შემაგდეს. ჩემი ტვინი კომპიუტერივით მუშაობდა.

- "იქნებ მამაჩემმა შესძლოს, რომ კომბინატის ბიჭებს ფაქტურა ამოაწერინოს ამ საქონელზე"- უცბად გამიელვა თავში. საჭირო იყო დროის მოგება.

- მე არაფრის თავი არა მაქვს, მეძინება ... ვეუბნები გამომძიებლებს და თავს ვიკატუნებ.

- ვისია ეს საქონელი ? - მეკითხებიან.

- ჩემია - ვბასუნობ.

- სადაა საბუთები ?

- ხვალ დილით გაჩვენებთ ...

შუაღამის ორ საათზე დაკითხვის დროს მილიციაში მორიგი მილიციონერის გარდა არაფინაა. მე იმედი მაქვს, რომ დილით, როცა მილიციის უფროსის მოადგილე სამუშაოზე მოვა, იქნებ რაიმეში დამეხმაროს. თბერებს გული საგულეს ჰქონდათ. დაჭერილი ვიყავი, საქონელი დაკავებულია ... თვითონაც თბილისში ეჩქარებათ, დაწერეს რალაც ოქმი და მორიგე მილიციონერს ჩააბარეს.

გათენდა დილა. მოვიდა სამსახურში მილიციის უფროსის მოადგილე, მორიგე მთახსენა ჩემი დაკავების ამბავი. არ განარებია. ეგონა, მისმა რწმუნებულებმა დამაკავეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გაფრთხილებული ჰყავდა, ახლოს არ გამკარებოდნენ.



სურ. 285 საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმის კურსდამთავრებულები. ებრაელებიდან აქ წარმოდგენილი არიან: იაშა სეფიაშვილი. შოთა მეგრელიშვილი. შალია ჯანაშვილი და მ. ელაშვილი

- იაშა, რა გინდა შენ აქ? - შეკითხება.

- მე აქაურებს არ დაფუკავებივარ, თბილისელებმა დამაკავეს, ფაქტურა საქონელთან ერთად ტომარაში ჩავაგდე და მისი ძებნის თავი არა მქონდა შუაღამისას, მეძინებოდა, დილაძდე კი იმათ არ დაცადეს და აქ მომიყვანეს - ვუთხარი, თუმცა სრული სიმართლე არც

მისთვის გამომხელდა.

- შენ არასრულწლოვანი ხარ, ამიტომ შენი დაპატიმრების სანქცია პროკურორმა უნდა გასცეს. ამისთვის, როგორც წესი, ის აქ უნდა მოვიდეს, დაგკითხოს და ამის საფუძველზე გასცეს სანქცია. მე ჩემი მხრიდან ვუცდები, რაიმეში დაგეხმარო, მაგრამ დიდ იმედს ვერ მოგცემო - მითხრა.

- ერთი რამ მაინც ხომ შეგიძლია გამიკეთო - ვსთხოვე მას - პროკურორი რომ მოვა მასთან მართო დამტოვო ცოტა ხნით ?

დამპირდა, ამას გაგიკეთებო და მართლაც შემისრულა სიტყვა. ვიცოდი, რომ პროკურორი ახალი გადმოყვანილი იყო ამ რაიონში და დავრჩი თუ არა მართო პროკურორთან, ჯიქურ ვატაკე ჩემი წინადადება. ჯერ, რა თქმა უნდა, თითქმის მთელი სიმართლე ვუთხარი, მერე კი ჩემი გეგმის განსახორციელებლად დახმარება ვთხოვე. თან ისეთი წინადადება მივეცი, ნამდვილად დაფიქრდა.

- მაინც, რა უთხარი ასეთი ?

- მე არსად გაფორმებული არა ვარ, უნივერსიტეტში მამაჩემი მუშაობს, პასპორტი არა მაქვს - ვუთხარი - ამიტომ რაც არ უნდა მითხრაო, როგორადაც არ უნდა დამკითხოთ, ყველაფერზე უარს განვატყნადებ, ახალგაზრდა ვარ და დიდხანს ციხეში არავინ დამაჯენს, ამიტომ ჯობია ჩემი წინადადება მიიღოთ, გამიშვით აქედან და თქვენს კაბინეტში ვისაუბრობთ. თუ ასე მოიქცევით, გაგაბედნიერებთ, თუ არა და, ამ რაიონში მართო ხელფასის შემყურე დარჩებით ბოლომდე - მეოქვი, ვუთხარი.

პროკურორი განცვიფრებული შემომცქეროდა და თვალებს ვერ უჯერებდა, თუ როგორ უბედავს ებრაელის 16 წლის ბიჭი რაიონის პროკურორს გარიგებას. რომ შევამჩნიე ყოყმანობდა, დავუმატე.

- იმის შიში არა გაქვთ, რომ სადმე გაგეპცეთ, ჩემი ვინაობაც იცით და მისამართიც, ჩემს დაკავებას ყოველთვის შესძლებთ, ამიტომ გამიშვით აქედან, ეს საქმე მოვაგვარო და თქვენს ბედს ძალიან არ დაჰყვეს ... - ვარწმუნებდი.

- არ მატყუებო ? - შემეკითხა.

- თუ არ იცი, გაგონილი მაინც გექნებაო, რომ ებრაელისაგან ღალატი არ წარმოდგება.

-კი, ეს მართალია, მეზობლები მყავს ებრაელები და ვიცი, რომ მათი სიტყვა-სიტყვაა ...

- მაშინ მიმიღეთ თქვენს კაბინეტში და ყველაფერს გეტყვით ... ვუთხარი.

ცოტა ხნით რაღაც საბუთები შეაგსო და შემდეგ მეუბნება :

- ჩემთან აქედან მილიციის მანქანა მოგიყვანს, ჩვენ საუბარს არავინ არ დაესწრება და იქ მითხარი, თუ რაიმე გაქვს სათქმელი-ო.



ასეც მოხდა. ერთი საათის შემდეგ მის კაბინეტში შემოყვანეს. მილიციონერს უთხრა, გარეთ გასულიყთ. დავრჩით მარტო.

- თქვენ ახალი ჩამოსული ბრძანდებით ბორჯომში, ამ ქალაქში 10 თუ 15 მაღაზიაა ისეთი, რომელშიც ებრაელები მუშაობენ, თუ მათ მფარველობას დაპირდებით, ყოველთვიურად ჩამოგვრიბავ ფულს და ჩემი ხელით მოგართმევთ ხოლმე, მუდმივი შემოსავალი გაგინდებთ ხელფასზე უკეთესი-მეთქი ... თუ ჩვენთან იქნები, დიდხანს შერჩები ამ სამსახურს, ხოლო თუ შენი რჯულის ხალხთან დაიკავებ საქმეს, ორ კვირაში გაგაუბედურებენ ისევე, როგორც დაეპართა ეს სხვებს თქვენს მოსვლამდე.

ბორჯომში მართლა ასე ხდებოდა, ძალიან ღარიბი რაიონი იყო ბორჯომის რაიონი. ფული მხოლოდ გაჭრობაში იშოვებოდა, მეტი არსად. ებრაელებს მილიციის და პროკურატორის შიშით ხელის განძრევა ეშინოდათ. თუ ამ კაცთან საქმეს დავიჭერდი, ვიცოდი, რომ მთელი ებრაელობა ხელის გულზე მატარებდა.

- მართლა გააკეთებ მაგას, რასაც მპირდები ? - შეკითხება.

- რა თქმა უნდა,- ვპასუხობ.

- მაშინ ეხლა მისმინე. შენ ცოცხალი ბიჭი ჩანხარ, მარტო ის ფაქტიც კი საკმარისია, საერთოდ რომ გაბედე ჩემთან ამ თემაზე საუბარი, ამიტომ მჯერა შენი, ეხლა საქმე იმაშია, ამ შენ დახლართულ საქმეს როგორ ვუშველოთ ?

- არ იღარდოთ, გამიშვით აქედან და ერთ დღეში ყველაფერს მოვაგვარებ.

თუ არ მენდობით, მაშინ ერთი სიკეთე გამიკეთეთ. მამაჩემი დაიბარეთ თქვენთან, ვითომ დასაკითხავად და რამდენიმე წუთი მარტო დამტოვე მასთან და ყველაფერს მოვაგვარებ.

- კარგი, ეს ადვილი გასაკეთებელია ჩემთვის. მართლაც დაუძანა მამაჩემს. შეგვანვედრა. მამაჩემს ვუთხარი, კასპში უნივერსიტეტის ერთ-ერთი სექციის გამგე, ოსი ბიჭი კოწია გაეგზავნა იმ სომეხ ბიჭებთან და საქონელი "გაუბრაგებინა". ფაქტურა ამოეწერა და ჩამოეტანა, თან იქაურები გაეფრთხილებინა, რომ თითქოს ფაქტურის ჩემი ასლი უბრალოდ მათთან მაგიდაზე დამრჩა ... კოწიას ყველაფერში გენდობოდით. იმ სომეხ ბიჭებს ნათქვამი ჰქონდათ ჩემთვის, რომ საქმი-



სურ. 286 იაშა სეფიაშვილი

როების შემთხვევაში მათ თავისუფლად შეეძლოთ "ლევი" საქონლის "გაპრაგება". საერთოდ არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც კომბინატიდან გასულ საქონელს თავისი ფაქტურა მიყვებოდა თან. თუ საქონელი მშვიდობით მიაღწევდა ადრესატამდე, ეს ფაქტურა იხეობდა და უქმდებოდა. ამით დროებით "პრაზი" საქონელი ისევ "ლევი" ხდებოდა. ეს პროცედურა ფული ჯდებოდა. კომბინატის ბიჭებმა ჩემს შემთხვევაში უბრალოდ ფულის ეკონომია გააკეთეს.

თუ მე ბორჯომში საქმის მოგვარებას მოვახერხებდი, მათ კასპში ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ, ასე რომ, საშიშროება არ ემუქრებოდათ.

- გაუშვით ეხლა მამაჩემი - გეუბნები პროკურორს და გუხსნი ჩემს გეგმას.

- ფაქტურა ნამდვილად მქონდა, მაგრამ როგორც ჩანს იქ დამრჩა კასპში, ან მატარებელში დაგკარგე, მამაჩემი წავა კასპში და იმ ფაქტურის ასლს ჩამოიტანს და ყველაფერი წესრიგში დადგება - ვუთხარი. რა თქმა უნდა, თპერაციის ყველა დეტალი მისთვის არ ამინსნია.

რამდენიმე საათის შემდეგ კასპიდან მართლაც ჩამოიტანეს ფაქტურა და პროკურორს წარუდგინეს. გამოიტანეს დაკავებული საქონელი, აღწერეს, დაითვაღეს და ფაქტურას შეადარეს. ყველაფერი ზუსტად დაემთხვა. შეაყენეს თქმი და გამათავისუფლეს ჩემს საქონელთან ერთად. იმავე დღესვე შევიტანეთ ფენსაცმელები უნივერსიტეტში და მიმოქცევაში გავეუშვი.

დაპირებისამებრ მოკლე ხანში მივართვი პროკურორს ჩამოკრებილი თანხა და მას ძალიან დაგუანლოვდი. რაიონში ავტორიტეტულ პიროვნებად ვიქეცი. ამ ამბის შემდეგ ერთ წელზე მეტი დავრჩი ბორჯომში და ებრაელი ბიჭები რასაც და რამდენსაც სურდათ, იმდენს აკეთებდნენ.

ჩვენც კარგი ფული ვიშოვეთ იმ წელს.

- ჩვენი ახალი სახლის შესახებ რას იტყვი ?

- მისი მშენებლობა მამაჩემმა 1951-52 წლებში დაიწყო. ფინანსების უკმარობის გამო მისი გადახურვა ძლივს შესძლო. სახლის მხოლოდ ერთი თუ ორი ოთახი იყო მხოლოდ დამთავრებული. მშენებლობის დამთავრება მაშინ შეეძლოთ, როცა მე წავიდი ბორჯომში მამაჩემის დასახმარებლად. იქედან სამშენებლო მასალები გამოვგზავნეთ და და მშენებლობა სადღაც 1956 წელს დავაამთავრეთ. ძირითადად მის სამუშაოები იყო დასამთავრებული, ამიტომ ჩვენ ბორჯომიდან ძირითადად მის მასალა გამოვგზავნეთ.

- მერე რა გააკეთეთ ?

- მამაჩემმა ცოტა ფული დააგროვა, სახლი მოაწყო და მეტი მუშაობა აღარ შეეძლო. ის კულაში დაბრუნდა, მე კი გულმა ისევ ბათუმისაკენ გამიწია. პირველ რიგში ისევ მანინჯაურის უნივერსიტეტში

დავბრუნდი. იმ პერიოდში რაფიკა ბლანჯი (ბოთერაშვილი) მუშაობდა იქ ტრიკოტაჟის განყოფილების გამგედ. იქვე ქსოვილების სექციაში მუშაობდა გაბო ჩლაქიშვილი. ორივეს სურდა მასთან მემუშაგნა. რაფიკამ შემოსავლის ჰმ პროცენტი შემომთავაზა, თუ მასთან მივიდლოდი სამუშაოდ. კარგი მუშა ვიყავი და გაბომ რომ გაიგო, იაშას 30 პროცენტი შესთავაზესო, იქვე არც აცია და არც აცხელა 40 პროცენტი შემომთავაზა და დამპირდა, ჩემთან ორჯერ მეტ ფულს გააკუთებ, ვიდრე სხვასთანო.

მიუხედავად ყველაფრისა, მე რაფიკატან დავრჩი. ერთი იმიტომ, რომ ისიც ჩემსავით ახლგაზრდა იყო და უბეთ გაფუგებდით ერთმანეთს, გაბო მამისტოლი კაცი იყო და მათან მუშაობისას მუდამ მორიდებული უნდა ვყოფილიყავი. მეორეს მხრივ, მე და რაფიკა ერთი და იმავე სოფლიდან ვიყავით წარმოშობით, გარკვეულად გენათესავებოდით კიდევ ერთმანეთს, ყოველივე ამის გამო მასთან ვარჩიე ყოფნა. გაბოს კი მადლობა მოვანსენე ნდობისთვის და ბოდიში ჩემი გადაწყვეტილების გამო. დირექტორი კარგი თვალთ მიცქერდა და როცა ადგილი გათავისუფლდა, ერთერთ სექციაში, სადაც ჩემი უფროსი ძმა მუშაობდა, სექციის გამგეობა შემომთავაზეს. დაფინიშნე ჭურჭლეულის სექციის გამგედ. ჩემთან ერთად მუშაობდა ილუშა კიკანიშვილი (კიკანიკაშვილი). დაახლოებით ერთი წელი ვიმუშავე იქ. საკმაო ფული ვიშოვე და ბათუმში ყაზბეგის ქუჩაზე პატარა სახლი შევიძინე. მაშინ ახალი დაქორწინებული ვიყავი.

სახლის ჩემს სახელზე ვადმოსაფორმებლად ქალაქის საბჭოში რომ მივედი, იქ მომაკითხა ბიძაჩემმა ბესიკომ, შურა აჯიაშვილმა და არონ მიხელაშვილმა (ჩვენი უფროსი სიძის, დათას ძმამ). მათ შემომთა-



სურ. 287 იაშა სეფიაშვილი ისრაელის თავდაცვის არმიაში

ვაზეს, მივსულიყავი მათთან მაღაზიის გამგედ.

ჩემი ძირითადი სამსახურიდან მცირეხნაინი შვებულებით ვიყავი გამოსული სახლის გასაფორმებლად და მოსაწყობად. გინდა თუ არა, ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ, არ მომეშენენ.

უნივერსიტეტის დირექტორმა - ჯემალ წუწუნავამ თავი ქვას შეუშვირა, სანამ ცოცხალი ვარ, შენი გათავისუფლების ქალაქზე ხელს არ მოგაწერო. თანამდებობით მასზე უფროსი, რაიკოთპერატივის თავმჯდომარე ბოცვაძეც წინააღმდეგი ვაჟიდა, როგორც ჩანს ჯემალმა დარეკა მასთან.

- ჩემთან იყავი მოსწავლედ, შენს აღზრდაში ჩვენმა ორგანიზაციამ ამდენი ფული დახარჯა და ახლა ჩვენს მიტოვებას აპირებ-ო - საგონებელში ჩამაგდეს - ხე ჩვენ დაგრგეთ და ნაყოფი სხვებმა მოკრიფონ ?

მიგვიჩივებოდა თანამდებობის და გუთხარი : იქედან არ მათავისუფლებენ და საბუთი თუ ვერ მოგიტანეთ, სამსახურში თქვენ ვერ მიმიღებთ-მეთქი.

- არა უშავს, მე შენ მაინც დაგნიშნავ და ალიოშა ბოცვაძემ ელოდოს, ვიდრე შენ მასთან გაგიშვებ-ო - მიპასუხა ზიამ ...

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ზია მაღალი თანამდებობის პირთან მივიდა და მოახსენა იმის შესახებ, რომ მას მე ვუნდოდი, ბოცვაძე კი არ მიშვებდა. იმან წელი მისცა და გამაფორმეს. დავიწყეთ მუშაობა. ერთი პერიოდი შურა გავიდა საქმიდან და მის წილში მე შევედი. მერე შურა უკან დაბრუნდა და ისევ გავერთიანდით. საბოლოო ჯამში ნელ-ნელობით ყველა გაიკრიფნენ და ამ მაღაზიაში ძველებიდან მარტო მე დავრჩი.

- რატომ ?

- ბევრი ფული იშოვეს და ეშინოდათ დარჩენა, რაიმე ფათერაკს არ გადაყროდნენ. მეც მინდოდა წასვლა. მით უმეტეს გაგიგე, რომ ფემია ბერიძემ საოლქო კომიტეტში ჩააწყო საქმე და მას მაღაზიის გამგის თანამდებობაზე უშვებდნენ ჩვენთან. ფემი, მე და გურამ აბესალოძის ძე ჩიკაშუა ამხანაგები ვიყავით ქალაქიდან. ზია თანამდებობაში გამომიძახა და მიიწვია.

- შენ უნდა დარჩე, თუ არა და არც ფემი აპირებს მაქ მოსვლას შენს გარეშე-ო.

საბოლოო ჯამში ფემიმ და გურამიმ შეხვედრა დაბინიშნეს და შემომთავაზეს, მათთან ვყოფილიყავი ამხანაგად ამ საქმეში. მე ჩემს ყოფილ თანამშრომლებთან მივედი და მათი აზრი ვიკითხე. მათ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და დავიწყე გურამისთან და ფემისთან მუშაობა. შემდგომში გამყიდველი ქალები ავიყვანეთ და ჩვენ მარტო საქმეს ვხელმძღვანელობდით.

რამდენიმე წლის შემდეგ გურამი დააწინაურეს და "ტორგ-

მორტრანსის" დირექტორად გადაიყვანეს. ეს გახლდათ 4 თუ 5 მაღაზნიის გაერთიანება. მე საკმარისად ვიშოვე ფული და სიმართლე გითხრა, გურამის წასვლის შემდეგ იქ დარჩენა აღარ მინდოდა. გადავედი მეორე ჭურჭლეულის მაღაზიაში. პირველად "ბათუმპრომტორგში" ვირიცხებოდი თანამშრომლად, ეხლა კი სხვა საგაჭრო ქსელში "აჭარკოოპკავშირში" გადავედი სამუშაოდ. ეს მაღაზია გეოგრაფიულად ბათუმის საკოლმეურნეო მოედნის ტერიტორიაზე მდებარეობდა. იქ ჩემთან ერთად ჩვენი ბიძაშვილი რაფიკა და ძველი პოლკოვნიკი, საშა ნოვიკოვი მუშაობდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ბათუმის ცენტრალური უნივერსიტეტის მშენებლობა მთავრდებოდა. ვაჭრობის მინისტრი აჭარაში



სურ. 288 აბრამ საპირის ოჯახში (მარცხნიდან)  
სიმამრი მიშა (ერთი) მეირის ძე ბოთერაშვილი. ვაჟი  
შაბთაი და ძმა იაშა

იმ დროს არჩილა თოიძე გახლდათ. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მოვიდნენ არჩილა თოიძე და გრიშა თოიძე, "ბათუმ პრომტორგის" დირექტორი და ამავე დროს საგაჭრო ტექნიკუმის დირექტორი. ეს ტექნიკუმი მქონდა მე პირადად დამთავრებული და იქ ყველა მიცნობდა. დამიძახეს. მინისტრს ახლოდან არ ვიცნობდი.

- უნივერსიტეტის დირექტორი უბვე დაგნიშნე, მაგრამ ყველა დანარჩენი თანამდებობა, რასაც აირჩევ, შენი იყოს და სამუშაოდ უნივერსიტეტში უნდა წახვიდეო.

- ათასგვარი საგაჭრო ურთიერთობები მაქვს მოსაგვარებელი და

ერთი კვირა მაინც მომეცით დასაფიქრებლად-მეთქი.

- უნივერსიტეტის დირექტორთან, ჯემალ ჭყონიასთან ნამუშევარი ხარ და იცნობ, ასე რომ, მუშაობას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგე-ო ...

რა გზა მქონდა, მინისტრს უარს ხომ ვერ ვეტყვოდი, მით უმეტეს ჯემალს დიდი სურვილი გამოუთქვამს ჩემი უნივერსიტეტში სამუშაოდ მიღებისა. დავიწყე მუშაობა. პირველ ხანებში მთელი უნივერსიტეტის საქონლით მომარაგებაზე ვზრუნავდი. ამ პერიოდში გაჭრობის საშინისტროს კოლეგია ამტკიცებდა სექციის გამგეების კანდიდატურას. ვიდრე კოლეგიაზე გავიდოდი, არჩილ თოიძეს ვუთხარი, რომ მე გალანტერია-ტრიკოტაჟის გაერთიანებული სექცია მინდოდა. ეს სექცია ნ განყოფილებისაგან შესდგებოდა. შტატი 35-40 კაცის შემადგენლობისა იყო ამ სექციაში. კოლეგიაზე წამოდგა "ტორგის" დირექტორის მთავი კადრების დარგში და ჯერ დადებითად დამახასიათა, მერე კი გალანტერია-ტრიკოტაჟის სექციის ორ ნაწილად გაყოფა შესთავაზა კოლეგიას და სეფიაშვილმა ერთ-ერთი მათგანი აირჩიოს თავისი სურვილის მიხედვით-ო.

არჩილამ მოითხოვა : - ერთი ამ ახალგაზრდასაც მოვეუსმინოთ, რას იტყვის-ო.

- ჩემი წინადადებაა ამ თანამდებობაზე სამუშაოდ თვით კადრების განყოფილების გამგე, ოსეპიანი წავიდეს მეთქი. - მადლობა მოვასხენე კოლეგიას და მე წავედი-მეთქი, ვუთხარი მათ.

კოლეგიის შემდეგ მინისტრს გაუღანძვია ოსეპიანი, ასეთი კარგი მუშაკი, რატომ უარყავით. ოსეპიანი ტორგის კადრების განყოფილების უფროსი, ტორგში 250-ზე მეტი მაღაზია შედიოდა მაშინ, თვითონ მოვიდა ჩემთან ბოდიშებით, მე შეგონა სიკეთეს გიკეთებდი, ხელფასი იგივე გექნებოდა, პასუხისმგებლობა კი ნახევარიო.

- მე ეს ორი სექცია გაერთიანებულად იმიტომ ავირჩიე-მეთქი ვუთხარი, რომ ორთავე სეზონების მიხედვით მომუშავე სექციებია და როცა ერთ მათგანში მუშაობა ჩავარდება, მას მეორე სექცია ამოწვებს მეთქი..

მეორე კვირაში კვლავ გაიმართა კოლეგია და ჩემი წინადადება დამტკიცდა. საინტერესო ის იყო, რომ სიტყვაში ისევ ოსეპიანი გამოვიდა და თქვა :

- ხელახალი გადახედვისა და შემოწმების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ ამხანაგი იაშა სეფიაშვილი მართალია და საქმის სასარგებლოდ ჯობია, მისი წინადადება მივიღოთო.

ვინაიდან ოსეპიანს საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა, მისმა სიტყვებმა იმოქმედა და დამამტკიცეს. ვმუშაობდი უნივერსიტეტში ისრაელში ამოსვლამდე. აქ, აშკელონში დავსახლდი 1972 წლის მაისში.

- მოდიტ ეხლა, 1961 წელი გავიხსენოთ, როცა მე (ამ წიგნის ავ-

ტორი) კვბ-მ დამაკავა. იზოლირებაში ყოფნის დროს საერთოდ არ ვიცოდი, რა ხდებოდა გარეთ. თუ შეგიძლია გაიხსენო დაწვრილებით, რა მოხდა თქვენთან ? შეგავიწროვეს ? დაკითხვებზე დაგიბარეს, თუ რა ?

- შენს მიერ ხრუშჩოვისადმი მიწერილ წერილზე ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვქონდა. შენ ჩვენთვის არ გაგიმხელია განზრახვა, ვინაიდან იცოდი, რომ შაგის დაწერის უფლებას არ მოგცემდით. იმ პერიოდში ფემისთან და გურამისთან ერთად ვმუშაბდი ქურჭლეულის ძალაწიაში,



სურ. 289 აბრამ სეფიაშვილი ბათუმში 1971 წლის ზამთარში საკუთარი სახლის შესასვლელის წინ დედასთან (თამარა) და შვილებთან (შაბთაი და ნანა) ერთად

აბანოს გვერდით. ერთ მშვენიერ დღეს სტუმრებთან კარგად შეზარ-ხოშების შემდეგ სამსახურში რომ მივედი, ერთ-ერთი თანამშრომელი ქალი მეუბნება :

- შენთან ერთი კაცი რომ მოდის ხოლმე ხშირად კვბ-დან, იმან გიკითხათ და გთხოვათ სასწრაფოდ დაუკავშირდეთ-ო.

საუბარი ეხებოდა ჩემს კარგ ნაცნობს, სახელად სოსოს, რომელსაც

კვბ-ს განყოფილების უფროსის პოსტი ეჭირა. ტელეფონი მისი არ მქონდა. გამიკვირდა, ასე სასწრაფოდ რატომ მეძებს-თქო და საერთო მეგობრების მეშვეობით ძალე აღმოვაჩინე.

- იაკობ, შენმა ძმამ წერილი რომ დაწერა, თუ იცა რაიმე ამის შესახებო - მეკითხება. პირველ რიგში თავში დოდიკას სახელმა გამიელვა, შენ საერთოდ არ გამსსენებინარ :

- რისი წერილი, ჩემ ძმას სად შეუძლია წერილების წერა, სამი კლასის განათლება ძლივს აქვს - შევეპასუხე ...

- რას ჩმანავ - ჯიბეში ხელი ჩაიყო, რაღაც ქაღალდი ამოიღო და წაიკითხა - სეფიაშვილი აბრამ შაბათას-ძე ...

ენლა კი მოვეგე გონს. დაწვრილებითი ამბები გვითხე. როგორც კი შენი წერილი კვბ-ს ჩაუფარდა ხელში, ბათუმის კვბ-ს უფროსს გენერალ ჩიქოვანს იქვე გაუქანებია ის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივან თხილაიშვილთან. საუბარს ესწრებოდნენ თხილაიშვილი, ჩიქოვანი და ჯემალა ცივაძე, ადრე აჭარკოთბკავშირის თავმჯდომარე, რომელსაც იმუჟამად საოლქო კომიტეტში ადმინისტრაციული განყოფილების გამგის თანამდებობა ეკავა. ფაქტიურად საოლქო კომიტეტში მის გარეშე კაცი ვერ დაინიშნებოდა.

- ბატონო - უთქვამს ჩიქოვანს - ბათუმში გყავს ერთი გვარი : სეფიაშვილები, რომლებიც ვაჭრობაში მუშაობენ, ეტყობათ იმდენი ფული იშოვენ და ისე გაძღნენ, რომ ენლა საქართველო აღარ ყოფნით და ისრაელში წასვლას ითხოვენ-ო.

თხილაიშვილს ამის გაგონების შემდეგ უთქვამს :

- მაგათი სინსილა არ დატოვოთ, ქალაქში-ო.

სოსო ბარაღელურად კვბ-ს საიდუმლო განყოფილებასაც განაგებდა, ამიტომ მითხრა :

- შენ ძმას ხომ დავიჭერთ და დავიჭერთ, არც შენ და არც სხვებს კარგი დღე არ დაგადგებათ, ამიტომ სასწრაფოდ დატრიალდი, თუ რაიმეს გააკეთება შეგიძლია. დრო ხვალ დილაამდე გაქვს, ამის შემდეგ ეს საქმე სხვა განყოფილებაში გადადის და ვერაფერს დაგეხმარები-ო. თან დაუმატა :

- მე, რაც შემიძლება გაგაკეთებ, ამიტომ გთხოვ ჩემთან კავშირი არ დაამყარო და თუ როგორმე შეგიძლია, დღეიდან ორი კვირის განმავლობაში სადმე გადაიკარგე, საძებრად ხალხს გამოვუშევ, მაგრამ გავაფრთხილებ, რომ შენი ძებნით ძალიან თავი არ მოიკლან-ო. ამ საქმის მოგვარება მე არ შემიძლია, ამისთვის პატარა კაცი ვარ. თხილაიშვილთან მიმსვლელი თუ არაგინ გყავს, ამ საქმეს ვერ უშველი-ო.

ის იყო და მეორე დღეს შენც წავიყვანეს და დოდიკაც (უფროსი ძმა). საწყალი დოდიკა თურმე ნ საათის განმავლობაში იყო დაკითხვანე.



ლიბონივით დაწურეს თურმე, მაგრამ არ დაუბატიმრებიათ. მე საქმის ამხანაგებს მოვუხმე და მდგომარეობა გაგაცანი.

- მე უნდა წაგიდე, ჩემი გულისთვის თქვენ რატომ უნდა დაიღუპოთ - ვუთხარი - ამიტომ განცხადებას დავწერ და წავაღ მეთქი.

ვიდრე ამხანაგებს შევხვდებოდი, ჩემთან გურამ ჩიკაშუას მამა აბესალოში მოვიდა და როგორც საქმიანმა კაცმა მიჩნია :

- ეს ამბავი საერთო საქმეს რომ ეხებოდეს, ჩემი შვილი გურამი შენთან იქნებოდა ბოლომდე, ეს საქმე შენი პირადი საქმეა და ჩემი ერთად ვაჟი რატომ უნდა შეეწიროს ამ საქმეს. სჯობია ამ ცოტახნით



სურ. 290 დ-რი შაბთაი საპირი და მისი ბიძა იაშა სეფიაშვილი (მარჯვენით) ჩამოცილდი მაღაზიას და გვერდზე გადაექი-თ. მართლაც ასე მოვიქეცი, მაგრამ გურამმა კატეგორიულად განაცხადა :

- სადაც შენ იაშა, მეც იქ ვიქნები-ო.

ფემიამაც იგივე გაიმეორა :

- შენ არსადაც არ წახვალ, ცოტა ხნით თუ გინდა, მოერიდე და გვერდზე გადაექი, მაგრამ საქმის სრულყოფილებიანი წევრი დარჩები, ჩვენ ყველაფერს ვეცდებით, მხარში ამოვიდგეთო.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფემიას ბიძაშვილის ქმარი იყო. მისი ძმა ისაკი გაზეთ "საბჭოთა აჭარის" რედაქტორის პოსტზე იდგა.

- ხომ იცი, ჩემ ძმას როგორ უყვარხარ, მოსვენებას არ მივცემ, იმასაც ჩავრეგ - მპირდებოდა ფემია ბერიძე.

სახლში დაბრუნებულს მითხრეს, რომ ზია თავართქილაძე მეძებდა. შევხვდი. ამანაც იგივე მითხრა.

- გამაფრთხილეს, რესპუბლიკა დატოვოს, თორემ ყველას აგვაფეთქებენ-ო. ზიამ მოსინჯა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან თავისი კავშირები, მაგრამ უშედეგოდ. თხილაიშვილს კაციშვილი ვერ მიეკარა.

- რა ვქნა ბიჭო, რა დღეში ვარ - თავი მისკლება ფიქრებითა და ნერვიულობით - უეცრად გამახსენდა, რომ ჯეძალა ცივაძე იყო კარგად გეგეშიძესთან - საქართველოს ცეკა-ს მდივანთან. კგბ-ს სწორედ ის უკეთებდა კურირებას. ეხლა ჯეძალასთან როგორი მისასვლელია. ის ყველაფრის საქმის კურსშია. ჩვენ ერთსა და იმავე ქსელში ნამუშევარი ვიყავით და ჯეძალა კარგად მიცნობდა. აზრი დამეზავდა, ჯეძალასთან ჩვენი სიმონა ელაშვილი გამეშვა. ისინი სკოლის ამხანაგები და კარის მეზობლები იყვნენ. სიმონას დავაგვალე ჯეძალასთან მისულიყო და გაეგო, თუ რაიმეს გაკეთება შეეძლო. რაც არ უნდა გთხოვოს, შემსრულებელი ვარ-მეთქი, ვუთხარი.

სიმონა იმწუთშივე წავიდა ჯეძალას სანახავად. ოთხი საათი იყო მასთან სახლში. გაიხსენეს ბავშვობა. სკოლაში ისინი ერთსა და იმავე მერხზე ისხდნენ. ჯეძალა ხშირად თხოვდა ხოლმე სიმონას, თუ რაიმეში დაგჭირდებოდა, გამომიყენე-ო.

- სიმონ, ეს ძალიან მაგარი საქმეა, მე მაგის გაკეთება არ შემიძლია. თხილაიშვილთან აჭარელის საქმე რომ იყოს, მივიდოდი, მაგრამ ებრაელზე ვერ მივალ. სამაგიეროდ სხვა გზიდან ვეცდები. 48 საათი მომეცე, წვალ თბილისში ცეკაში მივდივარ და ვნახავ, თუ რის გაკეთება შეიძლება-ო.

ჯეძალის წასვლას თბილისში 4 დღე დააგვიანდა. ბიჭებს სადღაც ქალაქგარეთ ვხვდები ხოლმე. ტყე-ტყე დავდივარ, ვიძალეები. იქიდან ზია თავართქილაძე მეძებს, უნდა განცხადება დაგწერო და სამსახურიდან წავიდე. ზიასთან გურამ ჩიკაშუა მივიდა და პირში მიანახლა :

- ზია, შენ იაშას განცხადებას ელოდები? ჩემი აზრით შენ უფრო ადრე მოგიწევს სამსახურიდან წასვლა, ვიდრე იაშას-ო - გირჩევ, ცოტა აცადო, თავისი საქმე მოაგვაროს - უთხრა და წამოვიდა.

როგორც იქნა, დაბრუნდა ჯეძალა თბილისიდან. სიმონა იქვე დაეცა მას თავზე.

- ვნახე გეგეშიძის რეფერენტი, ყველაფერი ჩავაწყვე და საქმე ისე წარიმართება, რომ გეგეშიძე დაურეკავს თხილაიშვილს და ყველაფერს მოაგვარებს. რაც შეეხება გეგეშიძის რეფერენტს, ალბათ მოგესხენება, თბილისში მჯდომ კაცს როგორი აბეტიტი ექნება-ო.

- იაშა, ეს საქმე მხოლოდ ერთი პირობით გაკეთდება, თუ ეს საიდუმლოდ დარჩება მხოლოდ შენთან, ჩემთან და ჯეძალასთან. თუ

ამ გარიგების შესახებ რაიმე გახდა ცნობილი შენი ძმისათვის, იცოდე ეს საქმე ჩაიშლება და მას ვერაფერ ვეღარ გააკეთებსო. მივეცი პირობა და აგერ უკვე 40 წელია საიდუმლო შევინახე კიდევ. დატრიალდა სიმონა.

ისევ წავიდა ჯემალა თბილისში და ორი დღის შემდეგ დაბრუნდა. ამხანაგებიდან ჩემთან კავშირში გურამი იყო მხოლოდ. ორი დღის შემდეგ გურამი მეძებს თურმე, დაატყავა ყველაფერი. შევხვდი, როგორც იქნა.

- ბიჭო, რაღაც სასწაული მოხდა - მეუბნება - ზიამ მოირბინა ჩემ-



სურ. 291 ურორტი მახინჯაური 1956 წ. სურათზე პირველ რიგში მარცხნიდან რაფიკა ბოთერაშვილი (ბლანჯი), დოდიკ (ბაჭუ) სეფიაშვილი (აბრაამ საპირის უფროსი ძმა), მარჯვნიდან გაბო ჩლაქიშვილი, იაკობ (იაშა) სეფიაშვილი (აბრაამ საპირის მეორე ძმა)

თან და სულმწარედ მთხოვა, იაშა მომიძებნეთ, სასინარულო საქმე მაქვს მასთანო.

მე გურამისთან არაფერი მქონდა ნათქვამი ჯემალისთან ურთიერთობაზე. საქმის გაკეთების შესახებ მან არაფერი იცოდა.

- ბრძანება მოვიდა, რაც არ უნდა გააკეთოს იაშა სეფიაშვილმა კაცის მკვლელობის გარდა, მის თავზე ბუზმა არ უნდა გადაიფრინოს, ხელი არაფერზე არ ახლეთ - უთქვამთ ზიამ თავართქილამისთვის. გურამი გახარებული იყო.

ბათუმში გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რომ ებრაელთა დაბატონება მოელოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ისეთ აუთოტაჟს გამოიწვევდა, მთელი მსოფლიო ფეხზე დადგებოდა :

- დახეთ, საქართველოში ებრაელებს როგორ ავიწროებენო.

თხილაიშვილისათვის ცეკადან დაურეკიათ და დამუქრებიან :

- ბარტიდანი თუ არ გინდა გაგრიცხოთ, შენი აღძრული საქმე, შენვე სასწრაფოდ მიჩქმალე, ვიდრე სუნი აუდინდებოდეს, რა მოხდა, ახალგაზრდა ბავშვა წერილი დაწერა, ქვეყანა ხომ არ დაუქცევია. მერე რა, რომ წასვლა მთინდომა, ამიტომ შეყარე ქვეყანა-ო ?

თხილაიშვილი ააკანკალეს თურმე. ამ უკანასკნელმა კი თავისი ქვეშემრდომები ააკანკალა.

- სასწრაფოდ მოძებნეთ, მოიყვანეთ, ბოდიში მოხადეთ ... გაყვიროდა თურმე ის.

- გურამი, თუ გინდა ჩემი ძმა იყო და მეგობრად დარჩე, იაშა უნდა მომიძებნო და ჩემთან მოიყვანო - სთხოვა გურამის წია თავართქილაძემ.

მივედი. წიამ შორიდანვე შემნიშნა და ფეხზე წამოხტა. გამოქანდა ჩემსკენ და გადაძახვია, თითქოსდა ათი წლის უნახავი ვყავდი.

- რა მოხდა შე კაცო, რა შეიცვალა გუშინდელს მერე, ადრე ქვეყანა იქცეოდა, ისე მეგონა - გაგვიღე მე - ახლა რა მოხდა ასეთი ...

- რა ვიცოდი ბიჭო, ჯერ ისე დამემუქრნენ, სამსახურიდან გააგდებო, ენლა კი მირეკავენ, მაგის თავიდან ბანალი არ ჩამოვარდეს, თორემ საკუთარი თავით პასუხს აგებო, მე თვითონ ვერაფერი გამოვიდა რა ხდება - მიპასუხა კოლონერატივის თავმჯდომარემ, რომელსაც მისი ქცევით გაკვირვებული თანამშრომლები შემოსცქეროდნენ, - ახლა შეგიძლია მიაწვე და ფული იშოვო - მეუბნება.

მე ამას მის გარეშეც მივხვდი. ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**- 1962 წელს მე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს, თუ შეგიძლია გაიხსენო მამაჩვენის მდგომარეობა ჩემი სახლში არ ყოფნის პერიოდში და მისი გარდაცვალების მომენტი ?**

- მიუხედავად დაავადებისა და ხელმოკლედ ცხოვრებისა, მამაჩემს არ უყვარდა შვილების შეწუნება. სხვა მამებივით არ დაუძახებდა შვილებს და არ მოთხოვდა, თჯახში სახარჯოდ საჭირო ფული მოეტანათ. ისე გაილაპარაკებდა ხოლმე, იქ ქორწილში გვაქვს შესაწვევი, აქ გადასახადი უნდა გადავინადლო. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო მისახვედრად, რომ ფული სჭირთდათ. მერე ცუდად გახდა. სიკვდილის წინ (1964 წ) დიდხანს არ უავადმყოფებია. ქვები ჰქონდა თირკმლებში და თებრაცია გაუკეთეს. გულმა უღალატა და გარდაიცვალა.

**- თუ შეგიძლია, უფრო დაწვრილებით მოყვე ამის შესახებ ?**

- მამაჩემი სამტრედიის რაიონულ საავადმყოფოში იწვა, ქირურგი-

ულ განყოფილებაში. მისი ექიმი ტყეშელაშვილი იყო. თბერაცია მშვიდობით გადაიტანა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ თბერაციას რაღაც გართულება მოჰყვა. ტყეშელაშვილმა დამიძახა და მითხრა :

- შენ ცოცხალი ბიჭი ხარ, იქნებ შელატინი იშოვო, როგორც წესი, ის სამხედრო ჰოსპიტალებში იშოვება-ო.

ტყეშელაშვილი თბერაციამდე ნახული მყავდა, ფულიც მივეცი და გავაფრთხილე : - მამაჩემს არაფერი დააკლო, რაც დასჭირდება აგერ ვარ-მეთქი. როცა შელატინის მოტანა მთხოვა, იქვე ბათუმში დავბრუნდი. სამხედრო ჰოსპიტალის უფროსი ჩემი კარგი მეგობარი იყო და ავუხსენი : მამა მიკვდება თუ შეგიძლია, შელატინი მიშოვო-



სურ. 292 აბრაამი (მარცხნიდან პირველი) მეუღლესთან. პირმშოსთან და ჯარის მეგობარ (უკრაინაში სკოლის დირექტორ) ნიკოლაი პოლიუკთან ერთად ბათუმში 1968 წ.

მეთქი. იქვე დატრიალდა და მოშირბენინა. რაფიკა მანლდა თან, ჩემი ბიძაშვილი. ჰოსპიტალის უფროსმა კონიაკი გახსნა და შემოგვთავაზა, მაგრამ არ დავრჩენილვართ, ყოველი წუთი ძვირფასი იყო ჩვენთვის. გარეთ გამოვედით. თუ გახსოვს, სამხედრო ჰოსპიტალი ბათუმში სასტუმრო "ინტურისტის" მანლობლად იყო. ეზოში შესასვლელთან ჩემი კარგი ნაცნობი მძღოლი შეგნიშნე "ვოლგით", რომელიც სასტუმრო "ინტურისტს" ეკუთვნოდა. მანქანაში ვილატა ყავდა. რომ დაგვინახა,

მანქანა გააჩერა და ჩვენთან მოვიდა. ავუსხენი სიტუაცია და ვუთხარი, რომ მანქანა მჭირდებოდა სასწრაფოდ.

- ჩემი თავი გენაცვალოს-ო - მითხრა და მგზავრს სთხოვა, მანქანა დაეტოვებინა, ვინაიდან სასწრაფოდ სამტრედიაში უნდა გამგზავრებულყო. დაგვჯექით მანქანაში და გავქანდით. ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს მანქანით ბათუმიდან სამტრედიაში ასე სწრაფად ჩავსულიყავით. ერთ საათსა და ორმოც წუთში სამტრედიის საავადმყოფოსთან ვიყავით (საერთოდ მგზავრობას საკუთარი მანქანით 2.5 საათი სჭირდებოდა).

შევედი თუ არა საავადმყოფოს ეზოში, შორიდანვე შევნიშნე განყოფილების გამგე, ქირურგი ტყეშელაშვილი და მისკენ გავქანე. მივუახლოვდი თუ არა, იქვე სინარულით მივანახლე :

- ბატონო ექიმო, ვიშოვე ჟელატინი-მეთქი.

სხვა დროს ექიმი რომ დამინახავდა ხოლმე, ხელს მომხვევდა და მეგობრულად შევეყავდი კაბინეტში. ესლა კი ჩემმა მისვლამ პირიქით შეაცბუნა და ხელები ჩაშალა. მე აზრზე ვერ მოვედი. რა ხდებოდა არ ვიცოდი. მამაჩემის სიცოცხლეს საფრთხე თუ ეშუქრებოდა, ექიმს ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

- ეე, რა გითხრა ჩემო ბიჭო, გულმა ვერ გაუძლო-ო - ამოიხვნეშა ... არ ვიცი როგორ გითხრა, ძალიან მეძნელება თქმა, გულმა უღალატა ... ძლივს ამოღერდა.

- როგორ თუ უმტყუნა ? ვერ გავიგე მე.

- ბატონი შაბათა აღარ არის ... მითხრა თავჩაქინდრულმა.

გავოგნდი. აქეთ რაფიკამ მოშვიდა ხელი, იქეთ ჩემი ნაცნობი შოფერი ამომიდგა და მამშვიდებენ.

- 10-15 წუთიც კი არაა გასული, რაც შაბათას ბიძაშვილები მოვიდნენ და მამაშენის გვამი გაიტაცეს, რომ არ გაგვეკავითა-ო - დაუმატა ტყეშელაშვილმა.

იმავე მანქანით სამტრედიიდან კულაში გავქანდით. იყო ერთი წვილ-კვილი. საწყალი მამაჩემი 57 წლის ძლივს იყო. დედაჩემმა თავი მოიკლა, მიცვალებულს არაფითარ შემთხვევაში არ დაგმარნავ, თუ ჩემი უმცროსი ვაჟი მის გასვენებას არ დაესწრებო. სასწრაფოდ ანზორი უნდა ჩამოიყვანოთო. საწყალი ილუშა ლევიაშვილი და ექიმი ილუშა ბოთერაშვილი დაგვეჩმარა ამაში.

- იაშა, შენ ამაზე არ შეწუნდე - მითხრეს - ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ და სამხედრო კომისარიატს ფეხზე დავაყანებთ-ო.

მართლაც რამდენიმე საათში შეძლეს ყველა საჭირო საბუთის შეგროვება და შენს სამხედრო ნაწილს აცნობეს. ამის შემდეგ შენს ვაჟკაცობაზე იქნებოდა დამოკიდებული, ჩამოუსწრებდი თუ არა მამაჩემის დასაფლავებას. შენ მართლაც მოახერხე ეს და ლენინაკანიდან

24 საათში ჩამოხვედი. დანარჩენი შენთვისაც ცნობილია. მამაჩემი პირველ აპრილს დილის ათ საათზე გარდაიცვალა. ის მეორე დღეს შეუდღის სამ საათზე დაკრძალეს.

- 1989 წელს კულაში სპეციალურად ჩავედი, რათა მამაჩემის საფლავი მომეძებნა, სამწუხაროდ კვალსაც კი ვერ მივაგენი, საფლავის ქვაც კი ვერ ვიპოვე ...

- ვიცი, რომ ის დაბალი ხარისხისა იყო. უფრო მოგვიანებით ფინანსურად რომ მოვძლიერდი, დავაპირე მისი გამოცვლა, მაგრამ ნახებმა შემაჩერეს, გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ საფლავს ერთ კენჭსაც კი ვერ მიუმატებო. ასეთი ყოფილა ჩვენი წესი.

## ჩემი პირადი ისტორია

ოჯახში ყველაზე ნაბოლარა შვილი მე ვიყავი. კულაშის სასოფლო საბჭოში, მამის ბიუროს თანამშრომლებმა, მამაჩემს, როგორც თანამშრომელს ურჩიეს, ჩემთვის ოფიციალურ სახელად ანზორი გაეტარებინა, ვინაიდან მათი აზრით ამ სახელით გაცილებით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობებს წაგაწყდებოდი ცხოვრებაში, ვიდრე ებრაული სახელით - აბრამი, რომელიც მე მიწოდეს ბრით-მილის დროს. მამაჩემმა მიიღო მათი რჩევა და მე ანზორი დამარქვა. ამ სახელს გატარებდი მე საქართველოში ისრაელში ამისვლამდე. დედამამიშვილები დღემდე ამ სახელით მომმართავენ. მშობლებიც ამავე სახელს მეძახდნენ.

სხვათა შორის, ამ სახელმა ბევრჯერ ამაცოლა ფათურაკს საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს. მე ერთადერთი ჯარისკაცი ვიყავი საქართველოდან, სამხედრო ნაწილში, სადაც ბენდერიდან (დასავლეთი უკრაინა) გამოგზავნილი იყო სულყველა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ სძულდათ ბენდერებს ებრაელები, მათ ეს სიძულვილი გენებში ქონდათ გამჯდარი და არც ფარავდნენ. მე მათ თვალში ქართველი ვიყავი, რაც ნაკლებად სახიფათო იყო.

მომდევნო წლებში ჩვენთან მოვიდა ერთი უკრაინელი ებრაელი,



სურ. 293 აბრამ სეფიაშვილის ავტობიოგრაფიი 1959 წ. "ფოტო ანზორი"

სახელად ნაუმი. 19 წლის ჩია ბიჭი. ის გრეგნულადაც ასევე გამოიყურებოდა, იყო სუსტი და ბეჩავი, ახალბედობის პერიოდის გავლის დროს ყველა ცდილობდა ის გაეკილა და დაეცინა მისთვის. მეორეს მხრივ უკრაინელ ვაჟკაცებთან შედარებით ის მართლაც არარაობად გამოიყურებოდა. წვრთნის დროს ტურნიკზე რომ აიყვანდნენ, იქიდან კარტოფილის ტომარასავით ვარდებოდა. ყველამ იცოდა, რომ ის ებრაელი იყო. მისთვის თავის გამოდება ნიშნავდა მთელი ბატალიონის მტრად მოკიდებას. ერთხელ უკრაინელებმა ძალიან გადააჭარბეს, დაცინვას მათ მუჯღუგუნებიც მიაყოლეს და არსებობდა იმის საშიშროება, რომ ნაუმს სამხედრო ჰოსპიტალიც კი ვერ უშველიდა. ვედარ მოვითმინე და მასთან ყველაზე ახლო მდგარ, ებრაელთა ყველაზე მეტად მოძულე უკრაინელს აპერკოტი (ქვემოდან დარტყმა ნიკაპში) გუთავაზე. მოკრივე ვიყავი და ეს დარტყმა ჩემი ყველაზე ძლიერი ილეთი იყო. უკრაინელი მიწაზე გაიშნლართა გრძნობადაკარგული, მე კი ნაუმის გვერდით დავდექი გამომწვევად. ბიჭები მიწაზე გაშნლართულს მივარდნენ მოსაბრუნებლად, თან ჩემი მიმართულებით მტრულ მზერას ისროდნენ. არ შემშინებია. მათი ლიდერის დამარცხებამ ძალია მომცა, შემძლო სიკვდილამდე დამეცვა თავი. მათ ჩნები არ ინდომეს და გაბრუნდნენ. ეს მომენტი ნაუმისადმი დამოკიდებულებაში შემობრუნების მომენტი გახდა. ყველამ იცოდა, რომ მისთვის რაიმეს დაშავება ჩემი გამომწვევა იქნებოდა. მათ კარგი გაკვეთილი ჰქონდათ მიღებული, მათი ძმაკაცი სამი კვირის განმავლობაში ნორმალურად ვერ ღეჭავდა და მართლ ცარიელი სუბით იკვებებოდა დანგრეული ნიკაპის გამო. სასიკეთო შეიქმნა ეს მომენტი ჩემთვისაც. ყველა ცდილობდა ჩემთან დამეგობრებას და სამხედრო სამსახურის დამთავრების მომენტში (რადიო ლაბორატორიის მეთაური გახლდით) თავიანთ არათფიციალურ ატამანადაც კი მაღიარეს.

ბევრი ტანჯვა გავიარე სამხედრო სამსახურის დროს, განსაკუთრებით კი პირველ წელს. "ჩერეზ დენ, ნა რემენ" ასეთი იყო იქაური სამსახურის პრინციპი. ყოველ მეორე დღეს ყარაულში მივყავდით, როცა ნორმალური ძილის საშუალება არ მქონდა, დარჩენილ პერიოდში კი წვრთნა, განგაშები და არა მშვიდი ატმოსფერო, სიკვდილს ინატრებდა კაცი. ვმსახურობდი სომხეთის სასაზღვრო ქალაქ ლენინაკანის სამხედრო გარნიზონში 1962-1965 წლებში. ვიყავი სპორტსმენი, მოკრივე ჩვენი გარნიზონისა და არმიის ჩემპიონი კრივში ჯერ მსუბუქ (60 კგ), ხოლო შემდეგ პირველ ნახევრად საშუალო წონაში (63.5 კგ). რამდენჯერმე მონაწილეობა მივიღე ამიერკავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი) სამხედრო შენაერთების ჩემპიონატში (პირველობაზე). ამ შეჯიბრებების ჩარჩოებში ვიყავი ერევანში, თბილისში და ქუთაისში, რაც ჩემთვის ფაქტიურად სახლში შვებულებით ყოფნას ნიშნავდა.



ამომყვანი გაჭირვებიდან შე ვიყავი, ყველას ვენმარებოდი, ციბრუტივით ვტრიალებდი და ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ კლასისა და ჩემი პედაგოგების ღირსება დამეცვა. ამიტომ მპატიობდნენ ისინი ცელქობას და ხშირად ეტყოდნენ ხოლმე ჩემს თანაკლასელებს :

- ანწორ სეფიაშვილი, ავადმყოფობასაც ასწრებს, ცელქობა-უკუღმართობასაც, მაგრამ სამაგალითო მოსწავლეა, არ გირჩევიანთ მას მიბადითო?

მეორეს მხრივ, დაწყებით სკოლაში სწავლის პერიოდი იყო ყველა-სთვის და ჩვენთვისაც დიდი ეკონომიური გაჭირვების პერიოდი. შემიძლია ვთქვა, რომ დილით სკოლაში წასვლის დროს არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა დედაჩემს არაფერი ებადა იმისთვის, რომ სკოლაში გაეტანებინა. იყო შემთხვევები, სკოლაში მშვიერი წავსულვარ. ხშირად კი გამხმარი ჭადის ნატუნს გამატანდნენ და ეს იყო და ეს. ამაზეც კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი. ჩემი ძმები სარჩოს საშოვრად დადიოდნენ და ამასთან დაკავშირებით ათასგვარი ფათერაკი გადახდენიანთ თავს. მე, როგორც ნაბოლარა და ყველაზე უმცროსი, სწავლას ვაგრძელებდი.

მესამე მხრივ, ეს იყო ძალიან მძიმე და საშიში პერიოდი ებრაელებისათვის, განსაკუთრებით კი 1952 წელს, როცა სტალინის ბრძანებით ებრაელი ექიმები დააპატიმრეს მოსკოვში. ამ მხრივ პარადოქსალურად უნდა ჩაითვალოს სცენა, რომელიც ჩემს თვალწინ ვათამაშდა 1953 წლის 5 მარტს ... და სამუდამოდ დარჩა ჩემს მენსიერებაში. მეოთხე კლასში ვიყავი მაშინ. კლასში მასწავლებელი შემოვიდა ცრემლიანი თვალებით და თან ტირილს ვერ იკავებდა. დიდხანს ვერ შესძლო ხმის ამოღება. გაოგნებული ბავშვები თანაგრძნობითა და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ მასწავლებელს და მისგან მოულოდნენ მიზეზის ახსნას. ბოლოს როგორც იქნა ამოღებდა :

- სტალინი გარდაიცვალა-ო. - ჩვენი მზე და ბელადი-ო. ჩვენი ბავშვური გაგებით ჩვენც განვიცადეთ ეს მოვლენა. თუმცა ჩვენთვის, ებრაელებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ რეპრესიები ებრაელთა მიმართებაში ჯერ დროებით შეაჩერეს, შემდეგ კი მთლიანად შეწყვიტეს.

კოწიას კლასი გახლდათ ერთსართულიანი, ძველი ხის შენობა, რომელიც ასე ერთი მეტრის სიმაღლის სვეტებზე იყო შემოსკუპებული. შენობის მარცხენა ნაწილში საკლასო ოთახები იყო მოთავსებული, შუაში იყო სამასწავლებლო, სადაც პედაგოგები იკრიბებოდნენ ხოლმე შესვენებებზე. შენობის ბოლო მარჯვენა ნაწილში კი თვით სკოლის დირექტორი კოწია ცხოვრობდა. შენობის წინ იყო საკმაოდ დიდი ეზო, რომელიც ორი მხრიდან აბუაშვილების ქუჩითა და მიწაბოგირაზე მიმავალი გზით იყო შემოსაზღვრული. ამ ეზოში ვთამაშობდით ხოლმე

ჩვენ ბავშვები, გაკვეთილების დაწყებამდე და მათ შორის.

შენობის უკანა მხარეს მოთვსებული იყო ფენისადგილი მოსწავლე-თათვის და მასწავლებლებისათვის (რომელიც გასაღებით იყო დაკეტილი). ფენისადგილი მიწაში ამოთხრილ დიდ ორმოზე იდგა და ხის დროებით ნაგებობას წარმოადგენდა. მას თავზე თუნუქის სახურავი ჰქონდა გადაფარებული და გაწაფხულის მზიან ამინდში ადამიანს შიგ დიდხანს გაჩერება არ ძალუძდა. თუ ამას დავეუმატებთ ბუჩუბის მუდმივ შემოტევას, დაინახავთ, თუ როგორი "სიამოვნება" ელოდათ იქ შესულებს.



სურ. 295 აბრაამ სეფიაშვილისა და მისი სკოლის ამხანაგის ვალიკო კიკაჩიეიშვილის (მარცხნივ) შეხვედრა 1989 წელს. ვალიკო, რომელიც 4 წელი სწავლობდა აბრამთან ერთად ერთსა და იმავე კლასში რიუინაშვილის ქუჩაზე დასახლებულა ებრაელების მიერ კულაშის დატოვების შემდეგ

სკოლის ეზოს გადაღმა იწყებოდა დიდი მინდორი, რომლის მარჯვენა მხარეს იმყოფებოდა ქვითკირით ნაშენი, ფუნდამენტალური შენობა, რომელიც რევოლუციამდე თავად მიქელაძის საკუთრება ყოფილა, ახლა კი მასში კულაშის სააგადმყოფო იყო მოთავსებული.

თვით კოწია ანჩხლი, მყვირალა, მაგრამ ამავე დროს ძალიან გულკეთილი ადამიანი იყო. ყოველგვარი გაჭირვების დროს მოსწავლეები მასთან მივრბოდით დახმარების მისაღებად და არა დამრიგებელთან.

კოწია მოსწავლეებთან ძალიან ამხანაგურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. პატარა სკოლის ნამდვილი და კარგი დირექტორი გახლდათ. დღის ნებისმიერ დროს ჰქონდა მას დრო მოსწავლეებისათვის. სარგებლობდნენ რა ამით მოსწავლეები, მოსვენებას არ აძლევდნენ. მე კი დღეისათვის ასე მგონია რომ, როგორც მზრუნველ მამას, კოწიას ეს სიამოვნება კიდევ.

სკოლის შესასვლელთან, კიბის თავთან ეკიდა დიდი, ხელით დასარეკი ზარი, რომელსაც წკრიალა და მაღალი ხმა ქონდა. მოსწავლეთა შორის დიდ პატივად ითვლებოდა ზარის დარეკვა. ხშირად მხვდებოდა ასეთი პატივი და მეც ვამაყობდი. მეოთხე კლასში რომ გადავედი, ზარს ერთი წუთით გვიან ვრეკავდი (თუ კოწია არ იყო სახლში, ვინაიდან კოწიას გამუდმებით ხელში ეჭირა ჯიბის საათი და გამუდმებით აკონტროლებდა სწავლის რეჟიმი არ დარღვეულიყო).

ზარის დარეკვის დრო რომ მოვიდოდა, მერხზე ვერ ვჩერდებოდი, რომ მასწავლებელს დროულად გავეშვი ზარის დასარეკად. განარბული ვიყავი, თუ დანიშნულ დროზე 1-2 წუთით ადრე მივცემდი საშუალებას მოსწავლეებს, დასვენებაზე ადრე გამოსულიყვნენ.

კოწიას კლასში ჩემი პედაგოგები იყვნენ : კოწია სტურუა, პროკოფ კანდელაკი, ანტონინა მიქელაძე ...

ჩემთან ერთად სწავლობდნენ იმ პერიოდში : ჩიკია მინელაშვილი, ნანია მირილაშვილი, სოსო შალელაშვილი, მოშია და იოსებ ზაიმიასძე მინელაშვილები, სიმბ ბოთურაშვილი, თამარ სეფიაშვილი, იოსებ ბათაშვილი, ვალიკო კიკაჩიშვილი, ფაცია ჯანაშვილი, მორდენა ბათაშვილი, ილუშა ბენორას ძე შალელაშვილი, შალიკო გაგულაშვილი (ბაცაცა, ჯიბის ქურდი) და სხვები, რომელთა სახელები უკვე წაიშალა მენსიერებიდან.

მეხუთე კლასიდან ჯვარცხმის (ვანო სტურუა სახელობის) საშუალო სკოლაში გადაგრძელე სწავლა. ჩემი სახლიდან სკოლამდე 1.5 კმ მანძილი იქნებოდა ალბათ. მე მადლობა უნდა ვუთხრა ღმერთს, რომ ამ სკოლაში გადმომიყვანეს, თორემ დიდ კლასამდე (მეორე საშუალო სკოლა კულაშში) 2 კმ-ზე მეტი მანძილი იყო.

ახალ სკოლაში მე ბევრი ახალი ამხანაგი და მეგობარი შევიძინე. აქ ჩვენთან ერთად სწავლობდნენ არა მარტო კულაშის, არამედ ახლომხალთ სოფლებში მაცხოვრებელი მოსწავლეებიც. ბუნებრივი იყო ის ფაქტი, რომ მე გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირი მქონდა კულაშელ ებრაელ ამხანაგებთან, ვინაიდან მათთან მენტალური მხარე მაკავშირებდა. ყველანაირად ვცდილობდით, არ გვეწერა შაბათს, გაკვეთილები გაგვეცდინა ქიფურის დღეს და არ გვესწავლა ებრაულ დღესასწაულებში. რა თქმა უნდა, ეს მიუღებელი იყო ზოგიერთი მასწავლებლისათვის, რომლებიც მათში გაღვიძებული ანტისემიტური

სულის და კომუნისტური ანტირელიგიური შეხედულებების გამო გვადიდებდნენ ჩვენი ტრადიციების წინააღმდეგ გვემოქმედა. თუ დაბალ კლასებში ისინი ამას ახერხებდნენ, მერვე, მეცხრე, მეათე კლასებში ვერ გვერეოდნენ. ერთხელ, ქიფურის დღეს გაგვიყვანეს სკოლის სამკურნეო ნაკვეთზე მიწის დასამუშავებლად, მე ავტენე ჩვენი ებრაელი მოსწავლეები და დემონსტრაციულად დავტოვეთ გაკვეთილი. ჯგუფს მართლ მორალური გაკვეთილი ჩაგვიტარეს, დასჯით კი არ დაგუსჯივართ.

ცელქობას ქაბუკობის ხანაშიც ვაგრძელებდი, წარჩინებული მოსწავლე ვიყავი და ზოგჯერ თვალს არიდებდნენ ჩემს დასჯას. ერთხელ, ეს იყო მე-9 კლასში, გეოგრაფიის გაკვეთილზე, რომელიღაც მომენტში სამარისებური სინუმი ჩამოვარდა კლასში. მე ბუნებით უძრავობისა და სრული სიწყნარის მტერი ვარ და ტვინი მთელი დამაბულობით მუშაობდა, თუ როგორ დამერღვია ეს სინუმი. მოულოდნელად წამოვიძახე: შეხედეთ, ტუალეტი იწვის, ტუალეტს ცეცხლი წაეკიდა-თქო ...



სურ. 296 კოწიას კლასის ფრიადოსანი მოსწავლე თამარ სეფიაშვილი

ჩვენ მაშინ ახალ, ქვითა და აგურით ნაშენი სკოლის მესამე სართულზე ვსწავლობდით. იმ სიმაღლიდან, ისევე როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა ასე თრახნილდე მეტრის მანძილზე მდებარე ქვით ნაშენი ტუალეტი, რომელსაც ხის მხლოლოდ კარები ჰქონდა, სხვა არაფერი.

თითქოს ამის გაგონებას ელოდნენო, წამიერად წამოხტნენ მოსწავლეები და ფანჯარას მივარდნენ, მერე ისტერიული სიცილი აუტყდათ. ნახევარი გაკვეთილი დაჭირდა მასწავლებელს მოსწავლეების დასაწყნარებლად. მე, რა თქმა უნდა, გარეთ გამაძევეს და გაკვეთილებს შორის შესვენებაზე დირექტორის, ამბროს კობალეიშვილის კაბინეტში ამომაყოფინეს თავი. მე ჩემი ვერსია დავიცავი, ისე მომეჩვენა, თითქოსდა ტუალეტი იწვოდა-თქო. არავის შეუძლოვმებია ის ფაქტი, რომ კლასის იმ მერხიდან, სადაც მე მუდმივად ვიჯექი, ტუალეტი საერთოდ არ ჩანდა.

დირექტორმა ჯერ გადაიხარხარა, ხოლო შემდეგ მასწავლებლის შესახედად დამტუქსა და - "მეორეჯერ აღარ გაიმეორეთ, მითხრა".

ამით დამთავრდა ყველაფერი.

ჩემი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი იყო კლასის დამრიგებელი ლუბა პაპავა, რომელიც ისტორიას გვასწავლიდა. მერვე კლასიდან დაწყებული ის ჩვენი კლასის უცვლელი დამრიგებელი იყო. მისი მხრიდან ჩვენი კლასის ასეთ ერთგულებაში პატარა წვლილი მეც მქონდა, თუმცა ძლიერი მოსწავლე ჩემს გარდა მოშე ელიშაყაშვილიც იყო. ყველაზე საინტერესო ფაქტი კი ის იყო, რომ ამ კლასში იყო თავმოყრილი კულაშელ ებრაელთა ყველაზე დიდი რიცხვი. სკოლის დამთავრების წინ განო სტურუას სახელობის სკოლაში სამი შეათე



სურ. 297 აბრაამ საპირის კლასის დამრიგებელი ისტორიის მასწავლებელი ლუბა პაპავა

კლასი იყო, მაგრამ მათ შორის მოწინავე და ტონის მიმცემი ჩვენი კლასი იყო. დანარჩენ კლასებში მოსწავლე ებრაელები ამჯობინებდნენ ჩვენთან ემეგობრათ და ყოველთვის ჩვენთან იყვნენ, მართო გაკვეთილების დროს ვშორდებოდით ხოლმე ერთმანეთს.

აქ ჩემთან ერთად სწავლობდნენ : მოშე შელოს ძე ელიშაყაშვილი,

იოსებ (ლუტუ) ბათაშვილი, შალთომ (შაშია) ოსიას ძე ლევიაშვილი, იოსებ (იოწე) ელიშაყაშვილი, რაფაელ (ქვაჩია) მეირას ძე მოშიაშვილი, მაშიახა მინაკოს ძე ელაშვილი, შალვა (ქოქო) ელიას ძე მირილაშვილი, შალთომ ფილნაზის-ძე მირილაშვილი, შოთა ზიზოვი, ზალმენ ჯანაშვილი, შალია ჯანაშვილი, მიშიკია თეთრუაშვილი და სხვები.

ჩვენ სწავლასწავა პერიოდებში გვასწავლიდნენ: მერი გაშაკიძე, სერგო გვიშიანი (ფიზ.კულტურა), ფასილა სანიკიძე (რუსული ენა), მზია ჩხენკელი (ქართული ენა), ნაზი ბაღდავაძე (ალგებრა, გეომეტრია,



სურ. 298 კულაშის ვანო სტურუას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი ამბროს კობალეიშვილი (ცენტრში). მასწავლებელთა (სერგო გვიშინი. მერი ....) და მოსწავლეთა ერთი ჯგუფი 1958 წელს.

ტრიგონომეტრია), გიორგი კაჭარავა (ფიზიკა), ლუბა პაპავა (ისტორია - კლასის დამრიგებელი), პავლე მიქელაძე (ისტორია) და სხვები. სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ სამამულო ომის ვეტერანი, ომში ცალფეხდაკარგული მაქსიმე კანდელაკი, უაღრესად კულტურული და საყვარელი ადამიანი. არასდროს დამავიწყდება მისი მამობრივი მზრუნველობა და დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი. უფრო ხშირად პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლეთა დამცველის როლში გამოდიოდა და ცდილობდა ადმინისტრაციის მუშათბის გაუმჯობესებას. სკოლის დირექტორის მთადგილის მოვალეობას ჩემი სწავლის პერიოდში ასრულებდა ნიკოლოზ შენგელია, რომელიც იქვე სკოლის მანლობლად ცხოვრობდა და ადრე (საშუალო სკოლად გადაკეთებამდე) ამ შვიდწლიანი სასწავლებლის დირექტორი იყო. მასა და სკოლის ახლად-

დანიშნულ დირექტორ ამბროს კობალეიშვილს შორის კარგი, ამხანაგური ატმოსფერო არ სუფევდა და მისი გაგლენის სფერო თანდათანობით მცირდებოდა, რასაც ჩვენ, ბავშვები კარგად ვხედავდით.

სკოლაში მიყვარდა საგნები : ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ასტრონომია, გეოგრაფია, არ მიყვარდა ისტორია და ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ საგნებში უმაღლესი ნიშანი 5 (ფრიადი)



სურ. 299 აბრაამ საპირისა და ლუბა პაპავას შეხვედრა 1989 წელს სკოლის დამთავრებიდან 30 წლის შემდეგ

მქონდა. განსხვავება იმაში იყო, რომ საყვარელ საგნებს მთელი გულითა და მონდომებით ვსწავლობდი, ხოლო სხვებს უბრალოდ ვიზუბირებდი და გამოცდის ჩაბარების შემდეგ, იქვე ვივიწყებდი, რომ ტვინი ზედმეტად არ დაძენაგვიანებინა. სწავთა შორის, ბავშვობიდანვე დამყვა მათემატიკური საგნებისა და უცხო ენების სწრაფი ათვისების უნარი. გარდა ამისა, შემუშავებული მქონდა ამ საკითხების ღრმად შესწავლის ჩემპერო მეთოდი. ენლა კი მას თქვენ გაგიზიარებთ, ძვირფასო მკითხველებო.

იწყებოდა თუ არა სასწავლო წელი, იქვე ჩავუჯდებოდი ხოლმე მათემატიკური საგნების ამოცანათა კრებულს და ვიწყებდი მასში მოყვანილი ყველა ამოცანის თუ მაგალითის ამოხსნას ერთმანეთის მიყოლებით. როგორც თქვენთვის კარგადაა ცნობილი, ამოცანების

ამოსახსნელად და მაგალითების გამოსაყვანად საჭიროა თეორიული მასალის შესწავლა. ჰოდა, მეც ვიღებდი სახელმძღვანელოს და ვიწყებდი თეორიული მასალის შესწავლას დამოუკიდებლად. ყოფილა შემთხვევები, რომ ახალი მასალა ვერ გამიგია, ასეთ შემთხვევაში მასწავლებლებს ვაწუხებდი. პირველ ხანებში მასწავლებლები ისე მიცილებდნენ თავიდან, როგორც აბეზარა ბუხს, მაგრამ ჩემი თავიდან მოცილება არც ისე ადვილი გახლდათ. ვიდრე დასახულ მიზანს არ მივალწევდი, გზიდან არ გადავუხვევდი. რომ ხედავდნენ ჩემს დაუოკებელ უინს და ლტოლვას სწავლისაკენ, მასწავლებლებიც მოტყდნენ და არა მარტო მისხნიდნენ მომავალ გაკვეთილებს, არამედ ზოგიერთი ძნელი ამოცანის ამოხსნაში ერთადაც კი ვიმტვრევდით თავს. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა სახელმძღვანელოებში შეცდომა აღმოვაჩინეთ და ჩემმა მასწავლებელმა მადლობის წერილი და საჩუქარი მიიღო განათლების სამინისტროდან.

ჩემი ახირებიდან ზოგიერთმა მასწავლებელმა სარგებელიც კი ნახა და აი როგორ. ვინაიდან მე ზოგჯერ მთელი თავით და უფრო მეტიოც კი ვასწრებდი ჩემს კლასს, რა თქმა უნდა, ახალი გაკვეთილის მასალა ძირფესვიანად მქონდა დამუშავებული, ამიტომ ჩემთვის გაკვეთილის გამოკითხვის მაგივრად მასწავლებელი დაფასთან მაშინ გამომიძახებდა, როცა ახალი გაკვეთილი უნდა აეხსნა. ჰოდა, აი, ახალ გაკვეთილს მოსწავლეებს ფაქტიურად მე ვუხსნიდი. მასწავლებელი მხოლოდ მაშინ ჩაერეოდა ხოლმე, როცა რაიმეს შესწორება ან დაზუსტება სჭირდებოდა. ერთისგან სხვა მასწავლებლებმაც გადაიღეს მოდა და როცა ისინი ხასიათზე არ იყვნენ ან რამდენიმე გაკვეთილის ჩატარების შემდეგ დაღლას გრძნობდნენ, ტრადიციის მიხედვით ახალ გაკვეთილს მე მახსენებდნენ.

მათემატიკისაგან განსხვავებით ფიზიკაში დამოუკიდებელ ცდებს



სურ. 300 აბრამ სეფიაშვილი (მარჯვნივ) კლასის დამრიგებელთან ქ-ნ ლუბა პაპავასთან ერთად 1959 წ.



ვატარებდი. ამისათვის სკოლის ლაბორატორიაში მუშაობის სპეციალური ნებართვა დამრთეს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ. ჩემი თანაკლასელები დიდი ხნის წასულები იყვნენ სახლებში, როცა მე დილიდან მშიერ-მწყურვალ ვტოვებდი სკოლის კედლებს. ყოფილა შემთხვევა, როცა სკოლიდან ყველა მასწავლებელი წასულა და მხოლოდ დამლაგებლები იყვნენ, როცა მე ლაბორატორიიდან გამოვსულვარ. განსაკუთრებით მიყვარდა ელექტრობასთან დაკავშირებული ცდების ჩატარება. შესაძლოა ამ მიდრეკილების ბრალია, რომ ჩემი ცნობრების მეორე წამყვან სპეციალობად ელექტრონიკა ავირჩიე. ჩემი პირველი სპეციალობა ქიმიის ინჟინრობა გახლდათ, ხოლო მესამე ურუნალისტობა, რასაც სერიოზულად მხოლოდ ისრაელში ამოსვლის შემდეგ მოვიდე ნელი, მაგრამ ამაზე შემდგომში მოვითხრობთ.

უცხო ენების შესწავლის ჩემებური მეთოდი პირველად მეათე კლასში გამოვცადე რუსული ენის შესწავლის დროს. იმ პერიოდში მე უკვე სერიოზულად ვემზადებოდი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად და იქამდე, სპეციალობაც კი მქონდა არჩეული ... ექიმობა. ჩემი წიგნის თაროები სავსე იყო სახელმძღვანელოებით თნკოლოგიაზე (ავთვისებიანი სიმსივნე - კიბო). მაშინ მეცნიერებამ საერთოდ და კერძოდ მედიცინამ ძალიან ცოტა იცოდა სიმსივნეების შესახებ და თნკოლოგია ყველა დამწყები მეცნიერის ოცნებას წარმოადგენდა. ყველაზე მეტი ინფორმაცია ამ საკითხში 1959 წელს (როცა მე საშუალო სკოლა უნდა დამემთავრებინა) იყო დაგროვილი მოსკოვში და მეც ჩემი ბავშვური ოცნებით მოსკოვში ვაგრძელებდი სწავლას. საიდან ვიცოდი მაშინ, რომ ოცნების აღსრულება თურმე მარტო სურვილზე როდია დამოკიდებული ... ჩემი ოცნება ჩემმა ქალიშვილმა განახორციელა ის ექიმი სპეციალისტია თნკოლოგიის დარგში "ჰადასას" საავადმყოფოში.

ჩემი მიზნის მიღწევის გზაზე აუცილებელი იყო რუსული ენის ბარიერის დაძლევა და მე შევედექი ამ ამოცანის გადაჭრას. პირველ რიგში შევიძინე ან ვითხოვე ყველა ქართულ-რუსული ან რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომლის შოვნაც კი შევძელი. მქონდა რუსული სიტყვების გამნარტებითი ლექსიკონიც და სინონიმთა ლექსიკონიც. ეხლა ავიღე საბავშვო ლიტერატურა რუსულ ენაზე და დავიწყე მისი საშუალებით ენის შესწავლა. ლექსიკონების საშუალებით ვთარგმნიდი სიტყვებს და მერე ვაკოწიწებდი მათ წინადადების შესადგენად. შემდეგი ეტაპი გახლდათ მსუბუქი ტექსტების თარგმნა რუსულიდან ქართულად. შემდეგ გაზეთებიდან დავიწყე თარგმნა ქართულად. მესამე ეტაპი გახლდათ სალაპარაკო რუსული ენის შესწავლა, რისთვისაც ავიღე მსუბუქი რუსული დიალოგების წიგნი (უფრო მოგვიანებით კი პიესები და თეატრალური დადგმების სცენარები) და ასე შევისწავლე

რუსულ ენაში მიღებული იდიომები და გამოთქმები. ენის დაუფლების ბოლო ეტაპზე დიქციის დასაძუსაგებლად რამდენიმეჯერ ვიყავი ბათუმში და პირველივე შემხვედრ რუს ტურისტთან დავიწყე გამოლაპარაკება. ბევრჯერ დაუცინიათ ჩემთვის ამ გზაზე, ზოგს კი თანაგრძნობით და მოთმინებით აუხსნია ჩემთვის, თუ როგორ გამოითქმის სწორად ესა თუ ის სიტყვა ან ფრაზა და რამდენიმე თვის შემდეგ მე იმდენად გამართულად ვლაპარაკობდი რუსულად, რომ ჩემთან ლაპარაკი რუსებს სიამოვნებდათ კიდევ. შემდგომ წლებში ჩემს რუსულს მხოლოდ ის დასჭირდა, რომ ქართული აქცენტი მომეშორებინა თანდათანობით.



მეათე კლასში ჩემი რუსული ენის მასწავლებელი გახლდათ ვასილა სანიკიძე. შემოდგომა მოურიდებლად ვთქვა, რომ რუსულ ენას

სურ. 301 მარჯვნიდან მარცხნივ: აბრაამ საპირ სეფიაშვილი 5 წლის ასაკში. მისი და ნანუ (რიბკა) და ძმა იაშა 1947 წ.

ყველაზე უკეთესად ვფლობდი ჩემს კლასში და შესაძლოა მთელ სკოლაშიც კი. იცოდა რა ეს ვასილამ, კლასში ჩემს წყნარად გასაჩერებლად თავის თანაშემწედ დამნიშნა და მასწავლებლის მაგიდასთან გვერდით დამსვა. გამოიძახებდა მოსწავლეს დაფასთან და მთხოვდა მისთვის გაკვეთილის ირგვლივ შეკითხვები დამესვა. ამხანაგებთან

უნერსულ მდგომარეობაში ვვარდებოდი. ვინაიდან მე შექმედლო ისეთი შეკითხვა დამესვა, რომელიც ჩემს ამხანაგს შესაძლოა არ ცოდნოდა და მე გავხდებოდი მიზეზი მისთვის ორიანის დაწერისა. ასეთი მეთოდი შევიმუშავე. ვასილას გაკვეთილის წინ მოსწავლეებს ვთხოვდი ერთი რომელიმე საკითხი მოემზადებინა რუსულ ენაში და დანარჩენი ჩემზე იყო დამოკიდებული. ამით ორ კურდღელს ვიჭერდი, ერთის მხრივ წარმაცი მოსწავლეები ცოტა რაიმეს მაინც სწავლობდნენ, მასწავლებელი კი კმაყოფილი რჩებოდა იმით, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი "წარმატებით" პასუხობდა ჩემს მიერ დასმული შეკითხვების უმრავლესობას. ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელმა იმის უფლებაც მომცა, მოსწავლეები გაკვეთილის მოსაყოლოად მე გამოემეძახა.

აქედან დაიწყო ჩემი და ჩემი ამხანაგების "გაფუჭება". ვისთანაც ჩემი ამხანაგების ჯგუფი კეთილგანწყობაში იყო, ყოველნაირად ვეხმარებოდი მაღალი ნიშნის მიღებაში, ზოგჯერ შეუმჩნეველად ვკარნახობდით კიდევ, ხოლო ვისაც ჩვენი "წყალობა" არ ქონდა, თავისი ბედი უნდა ეწყევლა, სწორი პასუხის გაცემის შემდეგაც კი ქოქოლას ვაყრიდით და ვასილაც ექცეოდა საერთო ატმოსფეროს გავლენის ქვეშ.

ერთხელ, ჟუჟუნა ნიკურაძემ გაილაშქრა ჩვენი ჰეგემონიის წინააღმდეგ და დააპირა ჩვენი მშრალზე გამოყვანა მასწავლებლის თვალწინ. ჩვენი ბიჭები დარაზმულნი იყვნენ, მაგრამ ისინი გოგოს წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდნენ. აქ საჭირო იყო ინტელექტუალური ბრძოლა. ჟუჟუნა ერთ-ერთ მოწინავე მოსწავლედ ითვლებოდა კლასში. რუსულში მას ოთხიანები ჰქონდა და ზუთიანისკენ იქაჩებოდა. მთელი ჩემი შესაძლებლობის მობილიზება და ნიჭის დამაბზვა მომიწია იმისთვის, რომ ჟუჟუნასათვის ისეთი შეკითხვები დამესვა - დამეხნია. მთელი კლასი დაიძაბა ამ დუელის დაწყების წინ. ჟუჟუნას თავისი მხარდამჭერები ჰყავდა. ზოგიერთი ბიჭები დუელიდან ჩემს აცილებას ითხოვდნენ და ვასილასაგან მოითხოვდნენ, კითხვები მას დაესვა.

ვასილა ძალიან მაღალი და ვაჟკაცური აღნაგობის კაცი გახლდათ. მოსწავლე რომ გააბრაზებდა, დიდი მანძილიდან შექმლო ცარცის სროლა და მიზანში აუცდენლად მოხვედრა. ცარცი ნიშანს არ ტოვებდა სხეულზე, მაგრამ მისი მოხვედრა მტკივნეული იყო. ბიჭებმა კარგად იცოდნენ ეს და ვასილასთან ძალისმიერი შეტევა არ გაუვიდოდათ. შემოვიდა თუ არა ვასილა საკლასო ოთახში, იქვე მასთან მიმიხმო და დაჯექით, მითხრა. გაკვეთილი ჩვეულებრივად დაიწყო. დღეს ჟუჟუნას რიგია-თქო, ვუთხარი ვასილას - აბა გამოდით, უთხრა მას. ჟუჟუნა ქედმაღლური გადმონედგით გამოვიდა დაფასთან. ეტყობოდა ყველაფერი "დაზუბრილი" ჰქონდა და ძლიერ იყო მომზადებული. პირველი შეკითხვა "პადეჟებსა" და "სკლანენიებზე" მივეცი, ვერ უპა-

სუნა. ჩემმა ჯგუფმა ქოქილა დააყარა მას და - ორიანი დაუწერე-  
 - ეხვეწებოდნენ მასწავლებელს. მეორე შეკითხვას დამაკმაყოფილებ-  
 ლად უბასუნა. მასწავლებელს ეტყობოდა, რომ ყოყმანობდა არ იცოდა  
 რა ექნა. მე შევთავაზე კიდევ დავუსვავთ შეკითხვა, თუ უბასუნა, ხუ-  
 თიანი დაუწერე, თუ არა და ორიანი მეთქი. ჩემი წინადადება ორივე  
 მხრემ ობიექტურად ჩათვალია და მოიწონა. საკლასო ოთახი სპორტული



სურ. 302 მარცხნიდან მარჯვნივ: თამარა სეფიაშვილი შვილებთან იაშა და  
 ლოდიკა, რძალთან სიმა და შვილიშვილებთან მერაბი და შალვა ბათუმში

შეჯიბრების არენად გადაიქცა. მოსწავლეები მერხებიდან გამოვიდნენ  
 და ყველამ წინა მერხებთან მოიყარა თავი. ყველას აინტერესებდა,  
 თუ რით დამთავრდებოდა ჩვენს შორის არათოფიციალურად გამართული  
 დუელი.

ჟუჟუნას მესამე შეკითხვა დავუსვი, მან თითქოსდა პასუხის გაცემა

სცადა, მხრები აიჩემა და რაღაც გაურკვეველი წაილულულა ... უნდა გენახათ, მოელი კლასის შეხვედრები. ძლივს დავამშვიდე ისინი და ვასილას ვთხოვე, ჟუჟუნასთვის კიდევ ერთი დამატებითი შეკითხვა მიმეცა. ჩემი მოწინააღმდეგე უკვე დაშამათებული იყო, მაგრამ მე ნამდვილი გამარჯვება მსურდა, რომ მისთვის უკან დასახევი გზა მომიქრა და სათქმელი არ დამეტოვებინა მისთვის. ბიჭები კითხვის დასმას არ მაცლიდნენ. ორიანი უკვე დაიმსახურა-ო. დავუსვი ბოლო შეკითხვა. მიღებული ტრავმისა და აღელვების გამო ჟუჟუნას მოლოდინი აერია ტვინი და ... ვერ მიბასუნა. ახლა კი დამსახურებულად მიიღო მან ორიანი. თვალცრემლიანი და დაზრუნული დაუბრუნდა თავის მამადს ჟუჟუნა.

გაკვეთილი რომ დამთავრდა, მივედი მასთან და ამხანაგებთან ერთად პირობა დავუდე, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ აქ მიღებულმა ნიშანმა არავითარი გავლენა არ მოახდინოს მეოთხედის საბოლოო ნიშანზე-მეთქი. სკოლის დამთავრებამდე ჟუჟუნას ჩვენი ჯგუფის წინააღმდეგ აღარ გაულაშქრია. მე კი ჩემი სიტყვა შეგუსრულე და ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ვასილას იმ დღეს მომხდარი ინციდენტი მხედველობაში არ მიეღო.

ჟუჟუნას ნიშანი 4 გამოყვა მეოთხედის ბოლოს.

საშუალო სკოლა (ათწლედი) 1959 წელს დავამთავრე. ივნისში უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე თუ არა, მეორე დღესვე ბათუმში წავედი ჩემი მომავალი ბედის გასარკვევად. იმ პერიოდში მამაჩემი ხშირად ავადმყოფობდა და არც ეკონომიურად იყო ძლიერად. ჩემი უფროსი ძმები და უფროსი და ბათუმში ცხოვრობდნენ და იმედი მქონდა, დაქვებდნენ. იმ პერიოდში საქართველოში უბრაულისთვის უმაღლესში მოწყობა თითქმის შეუძლებელი იყო ფულის დახარჯვის გარეშე, სამედიცინოზე კი ოცნებაც არ შეიძლებოდა. ძლიერი მოსწავლეც უნდა ყოფილიყავი და ფულიც უნდა გქონოდა. ყველაზე უკეთესი ვარიანტი ჩემთვის მოსკოვში სწავლის გაგრძელება იყო. დღედაღამ ვშეცადინებოდა და ერთი წამითაც არ მეზარებოდა ეჭვი იმაში, რომ მისაღებ გამოცდებს ადვილად დავძლევი ნებისმიერ ინსტიტუტში. იყო ხელსაყრელი შემთხვევაც, ჩემი მკვიდრი ბიძაშვილი (დედას ძმის-შვილი), ჩემი ტოლი, ალიოშას ვაჟი შალიკოც უმაღლესში მოსაწყოებად ემზადებოდა და ისიც მოსკოვში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. კონსილიუმი ბიძაჩემ ალიოშას ეზოში შეიკრიბა ბათუმში. გადასაწვევტი იყო მოსკოვში გამგზავრების, მისაღები გამოცდების პერიოდში კვების და ღამის გასათევი ხარჯების საკითხი. იმ პერიოდში ჩემი ძმები ეკონომიურად საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ, მე კი წინდების გამოსაცვლელი თანხა არ მეზარებოდა.

გადაწყვეტილება უარყოფითი იყო იმ მოტივით, რომ ვერაგინ

განდებოდა იმის პასუხისმგებელი, რომ 5 წლის განმავლობაში შეს-  
ძლებდნენ ჩემს რჩენას მოსკოვში. ვერაფრით ვერ შევძელი მათი  
დარწმუნება იმაში, რომ მათ მხოლოდ სწავლის პირველი პერიოდი,  
რამდენიმე თვე (აკლიმატიზაციისათვის საჭირო დრო) მოეცათ ჩემთვის  
და მერე აღარ დაგაწვებოდი მათ კისერზე. დღისით სამუშაოზე მოვეწ-  
ყობოდი და საღამოს ვისწავლიდი. არ დამიჯერეს ... ასე დაინშო  
ჩემთვის მედიცინის შესწავლის კარები. მოვლენებს გავასწრებ და  
ვიტყვი, რომ ჩემი ოცნება ნაწილობრივ მაინც განხორციელდა, ჩემი  
ქალ-ვაჟი და რძალ-სიძე ისრაელის პრესტიჟული უნივერსიტეტების



სურ. 303 წინამდებარე წიგნის ავტორი (მარცხნიდან პირველი)  
ინსტიტუტის დამთავრების პერიოდში საქართველოს პოლიტექნიკური  
ინსტიტუტის ფონზე თბილისში

კურსდამთავრებულები და უკვე ცნობილი ექიმები არიან.

ილაჯგაწყვეტილმა და იმედგაცრუებულმა ხელი მაინც არ ჩავიქნიე  
და საბუთები შევიტანე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის  
ბათუმის ფილიალში, დაუსწრებელ განყოფილებაზე. იმდენად ძლიერად  
ვიყავი მომზადებული გამოცდებისთვის, რომ მისაღები გამოცდები  
წარჩინებით ჩავაბარე და 20 შესაძლებლობიდან 19 ქულა დავაგროვე.  
ჩემზე მეტი ქულა არავის მოუგროვებია ინსტიტუტში ჩვენს ფაკულ-  
ტეტზე ჩარიცხული 105 აბითურიენტიდან. გამოცდების შემდეგ ინს-

ტიტუტში გამოკრულ მიღებულ სტუდენტთა სიაში შესამე ვიყავი. მიღებული 105 მომავალი სტუდენტის სია იმის მიხედვით იყო დალაგებული, თუ ვინ რამდენი ქულა მოაგროვა გამოცდების შედეგად.

ჩავირიცხე. შედეგებით განარეებული გულის ფანცქალით გამოვეშურე სახლისაკენ. ჩემი ჩარიცხვის ამბავი რომ გაიგო, ჩემმა ძმა იაშამ სპონტანურად ჯიბეზე იკრა ხელი, სამშანეთიანი დაადრო და ... ნაყინის საყიდელი ფული მოძცა.

დავიწყე სწავლა და მასთან ერთად მძიმე შრომაც. სპორტით ვიყავი იმ ხანებში გატაცებული და შრომას არაფრად ვაგდებდი. სამსახურის პოვნაში არავინ დაქმნარა და ბორტში მოვეწყვე სამუშაოდ მტვირთავად. 50 კილოგრამიან შაქრითა და ფქვილით სავსე ტომრებს ვეზიდებოდი გემიდან სანაპიროზე. საღამოსთვის ისე ვიღლებოდი, ლექციების მოსმენის დროს მთვლემდა ხოლმე. ლექტორები ჯერ შენიშვნას მაძლევდნენ, მაგრამ როცა გაიგეს, თუ რა მძიმედ ვმუშაობდი, ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. პირველი სემესტრის შემდეგ გამოცდები რომ ჩავაბარე, ლექტორები გაოცებულნი იყვნენ, მთელ ფაკულტეტზე ერთ-ერთი მოწინავე სტუდენტი განლდით. ბევრი გამოცდა ფრიადზე ჩავაბარე. ლექტორებმა შემომთავაზეს, თუ ძალიან გიჭირს, შეგიძლია ჩემი ლექცია გააცდინო ხოლმე, შენ მაინც დაეწევი "დედიკოს" ბიჭებსო.

მეცადინეობა მაშინ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაში მიმდინარეობდა ხოლმე საღამოობით, მინიმუმი სამჯერ კვირაში. უფრო მოგვიანებით ბიძაჩემმა ალიოშამ პროტექციით მომაწყო სამუშაოდ ფოსტაში, ამანათების დამრიგებლად (მტვირთავად). დილაადრიან დავსხდებოდი ხოლმე მე და ნიკოლაი (რუსის ბიჭი), სატვირთო მანქანა "გაზ-51" - ის კუზაოზე, ვინაიდან მძლოლი ანდრეის გვერდით საბატიო ადგილს ჩვენი ბრიგადირი, ლოთი ვალოდია იკავებდა. მივიღოდი ბათუმის ფოსტის ცენტრალურ განყოფილებაში, დავტვირთავდით მანქანას დასარიგებელი ამანათებით და გავედგებოდი ბათუმის ახლომხლო დასახლებების ტალახიან და ოღრო-ჩოღრო გზებს. კიდევ კარგი, რომ საერთოდ ცოტას ვჭამდით და ამიტომ არაფერი გვქონდა მუცელში, თორემ საკმარისი იყო მანქანის ერთ ან ორ ორმოში ჩავარდნა და მანქანის ერთი ბორტიდან მეორეზე გადასროლა, რომ მუცელში არაფერი დაგრჩებოდათ. ამას კიდევ ის უბედურება ემატებოდა, რომ წაქცეულს ზოგჯერ ამანათის ყუთები გვხვდებოდა ან გვეყრებოდა. ზოგიერთი ყუთი ხის ფანერით იყო შეკერილი და მისი მოხვედრა სხეულზე თავსა და ბედს გვაწყვევლინებდა ხოლმე.

საკმაოდ მაგრად შევახურებდით ხოლმე მძლოლი ანდრეის, რომელიც აგრეთვე რუსი იყო და მხოლოდ დღის ძალიან მცირე ნაწილი იყო ხოლმე ფხიზელი. ავტონისპექტორი რომ გამოიქერდა საჭესთან მჯდარ მთვრალ მძლოლს, ანდრეი ჯიბეში ფულის კუბიურას ჩაუდებდა და

მშვიდად აგრძელებდა გზას. ახლაც თვალწინ მიდგას მისი სბირტით გაბუფებული სახე. მიუხედავად ასეთი მძიმე შრომისა, ხელფასი სასაცილოდ მცირე მქონდა. ზოგჯერ სახელმძღვანელოების საყიდლად და სამსახურში მსუბუქად წასახემსებლადაც კი არ მყოფნიდა.

ღამეს ხან სად ვათევდი და ხან სად, ყველაზე ხშირად ჩემს უფროს დასთან ვრჩებოდი, ვინაიდან მასთან არ მერიდებოდა მეთხოვა,

სარეცხი გაურეცხა ჩემთვის. ჩემი და წვრილშვილიანი იყო იმ პერიოდში, ჩემი სიძეც დროის უმეტესი ნაწილი უმუშევარი იყო, ვაჭრობაში ხან უმართლებდა და ხან არა. ასეთ მდგომარეობაში მათზე ზედმეტ ხარჯად დაწოლა გულს მიკლავდა, მაგრამ იმ პერიოდში საკმაოდ შეძლებულად მაცხოვრებელ ძმებთან ყოფნას, ისევე იქაური ატმოსფერო მერჩინა. ძალიან მიჭირდა ფინანსურად, ნაყინის საყიდელი ფულიც კი არ მქონდა. ტანზე ჩემი ძმების გამონაცვალის მცევა. მეოთხე კურსზე რომ გადაგვდი, მხოლოდ მაშინ შევიღონა პირველად ჩემს ზომაზე მორგებული ახალი კოსტუმ-შარვალი... მაგრამ ეს იყო უფრო მოგვიანებით, მანამდე ბევრი რამ გადაამხდა თავს.



სურ. 304 ფოსტის მუშაკთა ბრიგადა 1960 წ. მარცხნიდან ანდრეი. ვალოდია. აბრაამ (ანზორ) საპირი (სეფიაშვილი) და ნიკოლაი

როგორც მოგახსენეთ, ინსტიტუტში სწავლა 1959 წლის შემოდგომაზე დავიწყე. სწავლის პერიოდში თბილისში მიწევდა ხოლმე ჩასვლა გამოცდების ჩასაბარებლად. სამგზავრო ფულს ძლივს ვახერხებდი ხოლმე. თბილისში შორეულ ნათესავებთან ვათევდი ხოლმე. ინსტიტუტში მისასვლელად ტრამვაისა და ტროლეიბუსს უკან ვახტებოდი ხოლმე, ვინაიდან ბილეთის საყიდელი ფული არ მქონდა. ასე დავამთავრე ორი კურსი, თანაც წარჩინებით.

1961 წელს ვაზეთ "კომუნისტში" წავიკითხე საბჭოთა კავშირის



უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ მიცემული ინტერვიუ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე ყოფნის დროს. დასავლეთელი ჟურნალისტების შეკითხვაზე, ხრუშჩოვმა უპასუხა: "ჩემს საქალაქოში არ ძვეს საბჭოთა კავშირის მოქალაქე არც ერთი ებრაელის განცხადება, ვისაც ისრაელში სურს გადასახლება, ჩვენ არავის არ ვაკავებთ-ო"...  
 იქვე მივუჯექი მაგიდას და რუსულ ენაზე გაგაშანშალე განცხადე-



სურ. 305 ანზორ სეფიაშვილი (მარცხნივ) და მისი მეგობარი კოლია პოლიუკი ლენინაკანში 1963 წ.

ბა, რომელშიც ძალიან ლაკონურად ვითხოვდი, დაერთო ჩემთვის ისრაელში გადასახლების უფლება. ძალიან ბევრი ფიქრისა და აწონდაწონის შემდეგ გადავწყვიტე ხრუშჩოვის სახელზე დაწერილი განცხადება პირადად ჩამებარებინა მოსკოვში, პრეზიდიუმის მისაღებში. ჩავედი მოსკოვში. იქ ჩემი ბიძაშვილი შალიკო სწავლობდა და ბინა ჰქონდა დაქირავებული. ამ ბინის პატრონი ქალი ანა ალბერტოვანა ებრაელი გახლდათ და გულკეთილობა გამოიჩინა ჩემს მიმართ, მოსკოვში ჩაუწერლად დაერთო ნება ჩემთვის ღამე გამეთია მათთან.

პირველად წერილის ასლი ამერიკის საელჩოს მისაღებში ჩავაბარე. უფრო მოგვიანებით მივხვდი, თუ რა სასწაულით გადავრჩი. ამერიკის საელჩოს მეთვალყურე მილიციონერს რაღაცით ყურადღება მოდუნე-

ბული ჰქონდა. საელჩოს შესასვლელში ისე შევედი და გამოვედი, არც კი გაუგია. საელჩოს რომ დავეცილდი, მაშინ შემამჩნია და მანიშნა, სწრაფად გავცლოდი იქაურობას.

წერილის მეორე ასლი უცხოური გაზეთის კორესპონდენტს გადავეცი პირადად და ამის შემდეგ ავიღე გეზი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაკენ. იქ, მისაღებშიც კი არ შემიშვეს. ერთი პატივი კი დამდეს, რომ ჩემი წერილი ჩაიბარეს და დამპირდნენ, რომ ის ადრესატს ჩაბარდებოდა. იმავე დღეს დავბრუნდი მოსკოვიდან ბათუმში მატა-



სურ. 306 აბრამ და სიმა სეფიაშვილების საქორწინო მოსაწვევი ბარათის ნაწილი 1966 წ.

რებლით. მაშინ მგ ზავრობას დაახლოებით ორი დღე-ღამე სჭირდებოდა.

მოსკოვიდან გამომგ ზავრების მესამე დღეს, ჩემი და თინას სახლში ახალი მოსული ვიყავი, რომ მეზობლის ბავშვი მოვიდა და მითხრა, გარეთ გეძახიანო. ვიფიქრე ალბათ ინსტიტუტიდან არიან, ლექცია რომ გავაცდინე-მეთქი. ტანზე წესიერად არც კი ჩამიცვია, ისე გამოვედი გარეთ. სახლის წინ კალინინის მოუკირწყლაჟ ქუჩაზე იდგა "პოპედის" მარკის მანქანა და შიგ სამი, ჩემთვის უცნობი, შუახნის კაცი ისნდა. ერთი მათგანი გადმოვიდა და ზრდილობიანად მთხოვა-მიბრძანა მანქანაში დავმჯდარიყავი. ყველაფერს მივხვდი ... ისინი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან იყვნენ.

საპატიო ესკორტის თანხლებით ზღვისპირას მდებარე "კვბ-ს"

შენობაში შემიყვანეს და ... დაიწყო გამოძიება, მუქარები, ჯვარედინი დაკითხვა, ანკობლებსა და ნათესავების დაკითხვაზე გამოძახება უშიშროებაში, ბათუმის ებრაელობის შევიწროება. ყველაფერს ერთი მიზანი ჰქონდა მხოლოდ. გაეგოთ, ვინ შთამინერგა მე სიონისტური იდეები და ისრაელისადმი ლტოლვა.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში მე გწერდი დღიურებს. მოსკოვში წასვლამდე მე ჩემს დღიურებში ჩავწერე მოვლენათა განვითარების სამი სავარაუდო ვარიანტი. მათ შორის ყველაზე ფატალური (უკიდურესი გამოსავლით) მხოლოდ ერთი თავდებოდა. ამ ვარიანტის მიხედვით შეეძლოთ ჩემი გადასახლება და შესაძლოა დახვრეტაც კი.



სურ. 307 სიმა საპირი-სეფიაშვილი ბათუმში 1966 წ.

1961 წელს ალიაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, კგბ-სთან შერკინების წარმოდგენაც კი შიშს გვრიდა კაცს.

ჩემი უშიშროების მიერ დაპატიმრება ერთ-ერთი სავარაუდო ვარიანტის მიხედვით წარიმართა. ეხლა შემიძლია თავდაჯერებით ვთქვა, რომ საკმაოდ ზუსტად განმისაზღვრია, თუ რა მოყვებოდა ჩემს მიერ გადადგმულ არაორდინარულ ნაბიჯს. ძნელი იყო ჩემთვის, 19 წლის ახალგაზრდისთვის კგბ-ში მიღებული დაკითხვის მეთოდების ატანა, მაგრამ ამაზე შეგნებულად წავედი. ის, რაც ჩემი ნაბიჯის გამო ჩემს ნათესავებს გადახდა (ინილეთ ამის შესახებ ჩემი ძმა იაშას მოგონება) ჩემთვის მეტად

დასანანი იყო, მაგრამ მე იდეალისტი ვახლდით და როგორც ასეთი, ბევრ რამეზე არ ვამახვილებდი ყურადღებას.

ნათესავებისა და ანკობლების დიდი მსჯელობის შემდეგ და არა-ნაკლებ იმის გამო, რომ უშიშროებამ ვერ მიიღო ჩემგან საჭირო ინფორმაცია. ჩათვალეს, რომ მე ახალგაზრდული გატაცებით, არც ისე ზედმიწევნით აწონ-დაწონით გადავდგი ეს ნაბიჯი და გამათავისუფლეს, მაგრამ შემიყვანეს სამუდამო შავ სიაში. რაც იმას ნიშნავდა, რომ დღედაღამ ბათუმის კგბ აკონტროლებდა თითოეულ

ჩემს ნაბიჯს, როგორც აშკარად, ასევე ფარულადაც. გამომდინარე აქედან, 11 წლის შემდეგ ჩემთვის ისრაელში ამოსვლის უფლების მონიჭება სასწაულს უდრიდა, მაგრამ ამაზე ცოტა უფრო გვიან. სწავთა შორის, ჩემი დღიურები საბჭოთა საზღვრის გადალახვის დროს ჩამომართვეს.

ენლა შეიძლება იმის გამხელა, თუ ვინ იდგა ჩემში სიონისტური იდეების გაღვივების უკან. იმ ბათუმლებს, რომლებიც 50-60- იან წლებში 9 მარტის ქუჩაზე მდებარე ბათუმის ქართველ ებრაელთა სალოცავში დადიოდნენ, კარგად ენსომებათ ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველ საღამოს და შაბათობით დავდიოდი სალოცავში და აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი მის საქმიანობაში, იქ გამართულ დისკუსიებში და ებრაე-



სურ. 308 სიმა და აბრამ სეფიაშვილები მშობლიურ კერასთან 2001 წ.

ლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში. ბათუმის სალოცავში ბოლო დღეებამდე ეკიდა ჩემს მიერ მნატვრულად შესრულებული მენტორა თავისი ებრაული ტექსტებით. იმ პერიოდში ბევრს არ შეეძლო ლაშონ-ჰაკოდეშზე წერა ჩემსავით. იქ ჩემს მიერ გატარებულ სტუდენტობის წლებში ებრაელობის მხრივ მფარველობას მიწევდნენ აწ განსვენებული ნანამ ბენციონ ჯანაშვილი და ნანამ მინაელ კრინელი (ჩემი თანაკურსელი იზოლდა კრინელის მამა).

იდეოლოგიური თვალსაზრისით ჩემზე გავლენა იქონია წარმოშობით კულაშელმა და ბათუმში მუდმივად მცხოვრებმა სახელთოვანმა

ექიმმა და მეზობელმა ბენო (ბინიშინ) ფილნაზის ძე ბოთერაშვილმა (ექიმ დინა დაგარაშვილის) მეუღლემ. ამ დიდად განათლებულმა კაცმა, რომელიც ამავე დროს მსურველ გულის მქონე ებრაელი იყო, შთამინერგა მე ისრაელის ქვეყნის სიყვარული და მისი ხილვისაკენ ლტოლვა. ხშირად გვისაუბრია ჩვენ ისრაელზე ლოცვაში, უფრო ფართოდ კი მის ოჯახში ჭიქა ჩაისთან. ჩვენ საუბრებში აქტიურად ერეოდა ხოლმე დინაც. ამ ადამიანებს მთელი გულით ვაფასებდი და კვბ-ს მძიმე მარწუნების მიუხედავად, ისინი არ გავეცი და ყველაფერი ჩემს თავზე ავიღე. მათგან მომისმენია იმ რებრესიების შესახებ, რა-



სურ. 309 სიმა და აბრამ სეფიაშვილები  
შვილებთან ერთად ბათუმში ზღვის სანაპირო  
პარკში 1970 წ

საც ადგილი ჰქონდა ებრაელების მიმართ საერთოდ და სიონისტების მიმართ კერძოდ 1933-1937 წლებში, როცა კომუნისტური ტერორი მძვინვარებდა. სამწუხაროდ, მათი მონათრობის ფიქსირება არ მომინდენია კონსპირაციის გამო და დაიკარგა უძვირფასესი ცნობები სიონისტური მოძრაობის შესახებ საქართველოში ზემოაღნიშნულ წლებში.

1962 წელს ინსტიტუტის მესამე კურსიდან ჯარში გამიწვიეს. შესაძლებელი იყო ჩემი ჯარიდან დატოვება მაშინ ფულის დახარჯვით, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ამაზე არავის უზრუნია, მეორეც, მე ფული არ გამაჩნდა. ამიტომაც იყო რომ ახალგაზრდობის ყველაზე უკუ-

თესი წლები ლენინაკანის თოვლ-ყინვაში გავატარე. ლენინაკანს მაშინ კავკასიის ციმბირს უწოდებდნენ კლიმატური პირობების გამო.

სამხედრო საგაღდებულო მოვალეობის მოხდის შემდეგ ინსტიტუტში სწავლა განვაგრძე. ჯარიდან დაბრუნებულს ოჯახური კერა გაცივებული დამხვდა. მამა ახალი გარდაცვლილი იყო, დედაჩემს სახლი არ მიუტოვებია და მართო ცხოვრობდა იმხელა სახლში. ჩემი

ძმები ბათუმში ცხოვრობდნენ. ოჯახს მამაკაცის ხელი სჭირდებოდა, ჯარიდან დაბრუნებული კულაში ჩავიდა და ერთი დღეც კი არ დამისვენია, შრომას შევუდექი. ტანსაცმელ-ფეხსაცმლით განებივრებული არც ჯარში წასვლამდე ვყოფილვარ, მაგრამ ჯარიდან დაბრუნებულს კიდევ უფრო გამიჭირდა. ძველი აღარაფერი მეტეოდა, ახლის შესაძენი თანხა კი მე არ გამაჩნდა. ამიტომ რამდენიმე თვის განმავლობაში სამხედრო ტანსაცმლით დავდიოდი. სირცხვილით ვიწვოდი, კულაშელეების მხრიდან დაცინვისა მეშინოდა. ჩემი პატივმოყვარეობა ჩემს გულში ჩავიკალი და დავიფიცე, ყველაფერს გაგაკეთებდი იმისათვის, რომ სხვებისგან დამოუკიდებლად ჩემით მიმეღწია ცხოვრებაში ყველაფრისათვის. შრომით და მხოლოდ შრომით.



სურ. 310 სიმა საპირის ბებია. რახელ თეთრუაშვილი (მარჯვნივ)

ასეც მოხდა. მიხელაშვილების ქუჩის დასაწყისში, დათა ბოთერაშვილის მეზობლად ცხოვრობდა რუთო (კუკლა) და შაბათა. მათ ნდობა გამომიცხადეს (ვინაიდან ქირის წინასწარ გადახდის საშუალება არ მქონდა) და სახლის წინა ოთახი და ბალკონიდან შესასვლელი მომაქირავეს. იქ სახელოსნო გავესენი. თქროს ხელები მქონდა და ყველაფრის შეკეთება შემიძლო. არც მიუკადრისია, ვარემონტებდი ყველაფერს: ნავთქურებს (კერასინკებს), ელექტროქურებს (პლიტკას), ელექტროუთოებს, სარეცხ მანქანებს, ლამპებს, რადიომიმღებებს, პატეფონებს, რადიოლებს და ბოლო ხანებში ტელევიზორებსაც. სამუშაო არ მაკლდა. კეთილსინდისიერმა მომსახურებამ ბევრი კლიენტი გამიჩინა. ცოტა ხნის შემდეგ მთელი საამქრო გამომიყვეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, რომელიც გუოგრაფიულად სასაფლაოს გვერდით მდებარეობდა. ჩემი მეზობლები იყვნენ კულაშელი მკერავები. მოსწავლეებიც ავიყვანე (მათ რადიომიმღებების შეკეთებას ვასწავლიდი). საქმე ნელნელობით გაიზარდა. დღედაღამ ინსტრუმენტების პატარა ჩემოდნით შეიარაღებული, ველოსიპედით აღმა-დაღმა დავდიოდი კულაშსა და მის მახლობელ სოფლებში და მძიმე შრომით ვჭამდი პურს.

ამ ნიადაგზე შემნიშნეს ჩემი მეუღლის მშობლებმა და ნათესავებმა და ჩემი დასიძება მოინდომეს. არ ვიტყვი, რომ ისინი პირველნი იყვნენ, ვინც დედაჩემს მიმართავდნენ. მე ვიკავებდი თავს, არ მინდოდა

ქალი ცარიელ სახლში შემომეყვანა.

1966 წლის 15 მარტს ვიქტორწინე სიმამი (ერთოს) ასულ ბოთერა-შვილზე, რომელიც მეუღლეობასა და მეგობრობას მიწევს აგერ უკვე 37-ე წელია. ქორწილის მოვალეობის მოხდის შემდეგ ახალშეუღლებულ წყვილს ახალი ტელევიზორი "რეკორდი" და სიმამს მზითველი დაგვრჩა. ხელიხელჩაკიდებული, ურთიერთგაგებით, თითოეული კაპიკის განსახ-ღვრულად დახარჯვით დაგიწყეთ ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრების



სურ. 311 აბრამ საპირი (სეფიაშვილი) ლენინაკანში. ჯარის ხელმძღვანელობა უფლებას აძლევდა მას კვირაში სამჯერ წასულიყო გარნიზონიდან ქალაქში და ევარჯიშნა კრივში

ში ბათუმში საკუთარი სახლი შევიძინე გარაჟით. ექვს თვესაც არ გაუვლია და ახალი "ზაპაროჟეცი" შევიძინე.

მთელი ამ წლების განმავლობაში ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ინსტიტუტში სწავლა. მძიმე შრომის პარალელურად დავდიოდი თბილისში და ვაბარებდი გამოცდებს. ქალ-ვაჟი ისე შევიძინა, არც ერთი

შენება. დაქორწინების დროს ჩემი მეუღლე 16 წლისაც კი არ იყო და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი აღზრდის ტვირთიც ჩემს მხრებზე იწვა. სიმამ მიიღო ჩემი პრინციპი, საკუთარი თფლით მიგვეღწია საკუთარი კეთილდღეობისათვის და ნათესაობაზე არ დავყრდნობილიყავით. ასეც მოხდა.

კულაშიდან სამუშაოდ სამტრედიის სატელევიზიო ატელიეში გადავედი. ამ სახელმწიფო დაწესებულებაში გამგედ დამნიშნეს. ჩვენი ატელიე ერთადერთი იყო მთელ სამტრედიის რაიონში და გვიწევდა ათობით სოფლისა თუ საქალაქო ტიპის დასახლებების მომსახურება. შემოსავალიც გაიზარდა და 1968 წლის დასაწყის-

მათგანის დაბადებას არ დავსწრებივარ. სულ თბილისში ვიყავი ხოლმე სესიებზე, ან გამოცდების ჩასაბარებლად, ვიდრე ბათუმში არ გადავედი მთელი ოჯახით მუდმივ საცხოვრებლად (1967 წლის ბოლოს), ბათუმში ლექციებს იშვიათად ვესწრებოდი, შემდეგ კი უფრო ხშირად.



სურ. 312 ლენინაკანის ციხე-სიმაგრის ჩემპიონის სიგელი კრივში. რომელიც ა. სეფიაშვილს მიენიჭა



1971 წელს წარმატებით დაფიცავი დიპლომი თბილისში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ქიმიურ ფილიალში და გავხდი ინჟინერ-ტექნოლოგი (სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგიის განხრით), რასაც ვუღვარეულად "გემო-კვებას" ეძახდნენ მაშინ. ინჟინრის



სურ. 313 მეორე ადგილის დაკავების სიგელი კრივში ა. სეფიაშვილს ამიერკვკასიის სამხედრო ოლქის (საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი) ჩემპონატში მონაწილეობისათვის

სურ. 314 აი. ასეთი სიგელით დააჯილდოვა აბრაამ საპირი ისრაელის  
თავდაცვის არმიის სარდლობამ არმიის 18 წლიანი სამსახურის შემდეგ



2743002-3 18.7.92

עם תום שירותך בצבא  
הגנה לישראל, פובעת  
בזה הוקרה ותודה על  
תרומתך לצה"ל ולבטחון  
מדינת ישראל.

מעריך הפילואים, אשר  
עליו מבסס צבא הגנה  
לישראל את עוצמתו,  
כהווה עדות בתמדת  
למקור כוחו ולרוחו  
כצבא העם.

במשך שנים ארוכות  
נבנית עם כוחות  
הפילואים. הנוטלים  
חלק בהגנה המתמשכת  
על מדינת ישראל  
ותורמים לחידוקה,  
ליעצפאותה ולריבונותה.

השירות בצבא הגנה  
לישראל הוא חובה ויותר  
מכך זכות. הזכות להפנות  
עם כוחות הפילואים,  
לשרת את העם ולהגן  
על ריבונות ישראל,  
היא מקור גאווה לכל  
אחד מאיתנו.

בטוחני, שזו ההרגשה  
התלווה אותך היום,  
בתום שירותך, ואני  
מקווה, שהרגשה זו,  
שמקורה בפילוי חובתך,  
תלווה אותך בכל דרכך  
גם בעתיד.

ענב ישראל, תא"ל  
קצין שלישות ראשו



18.7.92

დიპლომის აღებასთან დაკავშირებით ჩემი საკუთარი სახლის სალონში, ბათუმში, გავაკეთე წვეულება. მასზე მოვიწვიე ყველა ახლო ნათესავი, ახლობელი და მეგობარი, მათ შორის ისინიც, ვინც თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა ჩემს სწრაფვას უმაღლესი განათლება მიმეღო დამოუკიდებლად და ფინანსების გარეშე. მონდომებამ, შრომამ, მიზანდასახულობამ თავისი გაიტანა და ისინი უტყუარი ფაქტის წინაშე დადგნენ. დედიკოს, მამიკოს და ნათესავების დახმარების გარეშე ოჯახიც შევქმენი და ინჟინრის დიპლომიც მივიღე წესიერი გზით.

იმ დროს საკმაოდ კარგად ვიყავი ოჯახში მოწყობილი (1971 წელს). სახლში ფერადი ტელევიზორიც მედგა, საკუთარი სააბაზანო



სურ. 315 კულაშელ ებრაელთა ერთი ჯგუფი ისრაელში 2001 წელს. მარცნიდან მარჯვნივ დგანან: შალომ მიხელაშვილი. ისაკ (ტატკი) ბოთერაშვილი, არონ ბოთერაშვილი. იაშა სეფიაშვილი. დოდიკ სეფიაშვილი ზის მიხაელ ლევიაშვილი

ოთახიც მქონდა, ხარეცი მანქანაც და ყველა სახის მოდური ელექტრომოწყობილობა. გარაჟში მანქანა შეყენა. მეტი რა უნდოდა ახალგაზრდა წყვილს მაშინ.

ვმუშაობდი აჭარის საყოფაცხოვრებო სამმართველოსთან არსებულ რადიოსახელისნოში, რომელიც ბათუმის ყველაზე ცენტრალურ ადგილას ლენინისა და სტალინის ქუჩების კუთხეში, პორტის მახლობლად მდებარეობდა. ვემსახურებოდი ქალაქსა და მის გარშემო მდებარე დასახლებებს. სამუშაო არ მაკლდა და რადიოტექნიკის საუკეთესო სპეციალისტად ვითვლებოდი. მქონდა ელექტონიკის მექანიკოსის ყველაზე მაღალი თანრიგი. ელექტრო, რადიო, ტელევიზია, ელექტრონიკის ცოდნამ ბევრი ვაზა გაამისსნა ცხოვრების შემდეგ ეტაპზე ისრაელში ამოსვლის შემდეგ.

1972 წელს დავტოვე გაწყობილი სახლი, ავეჯი და უდიდესი ბიბლიოთეკა, ათასობით რჩეული წიგნით, რომლის ძალიან მცირე ნაწილის



სურ. 316 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდმთავრებულთა ერთი ჯგუფი. მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე აბრაამ საპირი

წამოღებას ვაპირებდი, მაგრამ მოსკოვში ისიც დამატოვებინეს. ყველა ხელნაწერი ჩამომართვეს და საბჭოთა კავშირის საზღვრების დატოვების უფლება მომცეს.

საზღვარი ბრესტში გადავლახეთ. მატარებლით გავიარეთ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ავსტრიაში (ვენაში) ჩავყვით. აქ სპეციალურ ბანსიონში სამდღიანი დაყოვნების შემდეგ, წაგვიყვანეს აერპორტში




სურ. 317 მარცხნიდან: კაპიტანი ნიკოლაი, ზური, გრიშა და აბრამ სეფიაშვილი 1969 წ. ბათუმი

და დაგვსვეს ისრაელის ეროვნული ავიაკომპანიის "ელ-ალის" თვითმფრინავში, რომელსაც ავტომატური იარაღით აღჭურვილი ავსტრიელი ჯარისკაცები იცავდნენ.

1972 წლის ათ მაისს დავადგი ფენი პირველად ისრაელის კურთხეულ მიწას. აქედან იწყება ჩემი ცხოვრების მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპი, მაგრამ ამის შესახებ მეორე წიგნში, თუ მისი დაწერის საშუალება მომეცა.











# ს არჩევი

წინასიტყვაობა .....	3
კულაშის ისტორია .....	5
ქართველ ებრაელთა ზოგადი ისტორია (მოკლედ) .....	5
კულაში .....	14
კულაშში მაცხოვრებელი განათლებულები პროფესიების მიხედვით ექიმები .....	44
ჟურნალისტები .....	46
ფიზიკოსები .....	46
იურისტები .....	46
ინჟინრები .....	47
ეკონომისტები .....	49
მსახიობები და თეატრალური წრის წევრები .....	50
მუსიკოსები .....	50
მკერავები .....	51
მექუდეები .....	52
დამტარებლები (ნოსილშნიკები) .....	53
მენქემეები (ზაკატოვშნიკები) .....	54
მეწაღეები (საბოუნეები) .....	55
მეკაჭკეები .....	55
ქიმიკოსები .....	56
მეფაიტონეები .....	66
მეფურნეები .....	57
მოქეიფე, დარდიმანდი და მომღერალი ბიჭები .....	57
ყასბები .....	59
ფოსტალიონები .....	59
დალაქები (პარიკმახერები) .....	59
ფენსაცმლის მწმენდავები .....	60
ფალაენები .....	60
მონტიორები .....	61
ხელის მეკაჭკეები .....	61
ექონები .....	61

ფარმაცევტები .....	62
მედროგეები .....	62
მეწისქვილე - მემატორეები .....	63
მენაგოეები .....	63
სხვადასხვა პროფესიის ადამიანები .....	63
კულაშელი ვაჭრები .....	67
იაშა სეფიაშვილი ფეფეიას შესახებ .....	70
გვესაუბრება მიშია ბათაშვილი .....	71
შათია მინელაშვილი .....	74
კულაშის წარჩინებულ პირთა არასრული სია .....	95
მთვე შალელაშვილი .....	98
ექიმი რუბენ ბათაშვილი .....	120
მატარებლის გამცილებლები (პრაგადნიკები) .....	121
იცნაკ გულთ სეფიაშვილი .....	122
იოსებ მინელაშვილი .....	144
კინომექანიკოსი შალია (ხასანია) .....	145
გვესაუბრება შალომ მინელაშვილი .....	150
კულაშელი მძღოლები .....	158
იცნაკ (ზანგია) სეფიაშვილი .....	160
აბრაშკა (მეხანიკი) სეფიაშვილი .....	174
შალია ჯანაშვილი .....	182
ხახმები .....	185
ზაქარია ჭიჭინაძე კულაშის შესახებ .....	187
ერთი დღე კულაშში (გ. ბააზოვი) .....	188
ეკონომიჩესკი მეფურნე .....	191
ბატონები .....	192
ბიბლიოთეკა .....	194
სალოცავები .....	195
ტრანსპორტი .....	197
შერეული ქორწინებები .....	199
ქეთიდამ ჩემი ბედი გაიზიარა .....	200
მათან-ბასეთერი .....	204
ღარიბკომი .....	205
აკუშერკა ცუცა .....	205
დათიკო ძიამია .....	207

ტაში ილუშია .....	208
კულაშური ამბები .....	208
მოგვითხრობს დათიკო (ელი-პაპა) ბოთერაშვილი .....	210
კავშირი ერეც ისრაელთან .....	211
იგონებს დათიკო (ელი-პაპა) ბოთერაშვილი .....	212
აბრაშკა (მეგარმონე) მეგრელიშვილი .....	213
შალომ (შაშია) ლევიაშვილი .....	226
გვესაუბრება ილუშა ჯანაშვილი .....	240
ხანამ გაბრიელ მოძღვრიშვილთან .....	246
გვესაუბრება რეფაელ ლევიაშვილი .....	254
განწირული ადამიანის კეთილშობილება .....	266
როგორ ვებრძოდი კიბოს სნეულებას .....	270
ებრაული ტრადიციები კულაშში .....	278
ბრით-მილა (ნათლობა ანუ ნათვლა) .....	278
ქონობიდან დახსნა .....	283
ბარ-მიცვა და ბათ-მიცვა .....	284
ქორწინება (ქორწილი) .....	285
საუჭმელო .....	290
დიდი ძღვენი .....	291
მზითვის ანგარიში .....	292
ხინუხ-აბათი .....	315
გარდაცვლილის დაპატიოსნება და დაკრძალვა კულაშში .....	316
როშ-ჰაშანა .....	328
ქიფური .....	330
სუქთი .....	332
არბაყ მინიმ .....	333
სიმხათ-თორა .....	333
ბეშალახი (კორკოტობა) .....	334
ფურიმი .....	334
ფესახი .....	337
ყომერი .....	340
შავუყოთი .....	341
სიონის ტირილი ანუ "მ აბი" .....	342
ბავშვური თამაშობანი .....	342
ცრურწმენები : შენახთომი, ბატონები, შელოცვები და სხვა ....	343

ბატონები .....	344
ბურთის გატანა .....	346
ღვინის დაყენება .....	347
კულაშლები მნიარულ ტალღაზე .....	353
სიმანა "თენა" .....	353
ჩემი შთაბეჭდილებები .....	356
ჩემი თჯანის ისტორია .....	455
და-ძმები .....	473
იგონებს თინა .....	476
დოდიკა (ბაჭუ) .....	481
ნანუ (რიბკა) .....	496
იაშა .....	496
ჩემი პირადი ისტორია .....	527
საქართველოს რუკა .....	559
სამტრედიის რაიონის რუკა .....	560
კულაშის პირობითი რუკა .....	561
სარჩევი .....	562
აბრაამ საპირი (სეფიაშვილი) ცხოვრება და მოღვაწეობა (ფერადი დანამატი) .....	567

**წიგნის რედაქტორი** სულთ სეფიაშვილი  
**გამომცემლობის რედაქტორი** ვაჟა თოფჩიაშვილი  
**მხატვარი და კომპიუტერული გრაფიკა** თემურ იაკობაშვილი  
**კორექტორი** ნანა იოსებაშვილი  
**კომპიუტერული აწყობა** სიმბ საპირი  
**ლიანა ელაშვილი**

გაზეთის "ალია საქართველოდან" გამოცემა  
 ბათ-იამი იერუშალაიმის ქუჩა 29  
 ტელ. 03-6594586 03-6595886 ფაქსი 03-6584595  
 Email: alia5@bezeqint.net

לכנסת ה-10 (1984).

משנת 1985 עסק בסיוע לנפגעי השטפונות במדינת גרוזיה.  
בשנת 1989 הוזמן ע"י ממשלת גרוזיה לבקור רשמי בראש משלחת עיתונאים  
מישראל. הביקור זכה להצלחה רבה ולאברהם ספיר הוענקה תעודת כבוד של נשיאות  
המועצה העליונה של רפובליקת גרוזיה - אירוע חסר תקדים בהיסטוריית גרוזיה.  
בשנת 1993 נבחר כסגן ראש עיריית בת-ים.  
בסקרים שונים בקרב יוצאי גרוזיה עולה שמו כמנהיג הנבחר והראוי מקרב יוצאי  
העדה בהפרש רב מאישים אחרים.  
בשנת היובל ה-50 (1998) של מדינת ישראל הוכנס שמו של אברהם ספיר לספר  
הזהב של "הקרן הקיימת לישראל".  
במשך עשרות שנות פעילותו העיתונאית כתב ופירסם מאמרים וספרים רבים.  
עד עצם היום הזה עומד בראש מערכת עתון "עליה מגרוזיה" היוצא לאור פעמיים  
בשבוע מזה 29 שנים רצופות.

**"הפדרציה העולמית של יוצאי גרוזיה"**  
**"אגודת ידידות ישראל-גרוזיה ע"ש רוסתוילי"**  
חוגגת שישים שנה להולדתו של אחד מנכבדי העדה בארץ ובעולם מר

## **אַבְרָהָם ספִּיר (ספִּיאַשְׁוִילִי)**

נולד ב-1942 בישוב קולאשי שבחבל סמטרדיה.  
סיים בהצטיינות את לימודיו בבית-הספר הייסודי  
והתיכון (1959).  
ב-1959 התקבל ללימודיו בפקולטה הכימית של  
המכון הפוליטכני של גרוזיה.  
בשנת 1961 בקש לעלות ארצה ונרדף עקב-כך ע"י  
הקג"ב של בטומי.  
בשנים 65-1962 שירת בצבא הרוסי. במהלך שירותו  
זכה בפרסים שונים בתחרויות אגרוף. כן קיבל דרגת  
טכנאי אלקטרוניקה.  
ב-1971 סיים בהצטיינות את לימודיו במכון וקבל  
תואר מהנדס (טכנולוגיה וכימיה).  
בשנת 1972 עלה לארץ. תוך זמן קצר הקים באשדוד  
אירגון וולונטרי "ועד עולי גרוזיה" אשר תמך בעולי



גרוזיה בשלבי הקליטה בארץ.  
בשנת 1973 הנהיג בהצלחה את שביתת הרעב של פועלי נמל אשדוד ממוצא גרוזיני.  
מספר חודשים לאחר מכאן עם פרוץ מלחמת יום הכיפורים התנדב לשרות קרבי.  
עם חזרתו נבחר כחבר מועצת עיריית אשדוד. במהלך פעילותו במועצת העירייה סייע  
בבניית בית הכנסת המרכזי לעולי גרוזיה באשדוד, דאג להנצחת שמות אישי ציבור  
יוצאי גרוזיה וייסד עתון בשפה הגרוזינית.  
בשנת 1975 נבחר כסגן יו"ר "התאחדות עולי ברה"מ" וכיו"ר המחלקה הגרוזינית.  
בשנת 1976 ייסד את "אגודת ידידות ישראל-גרוזיה ע"ש רוסתוילי", אשר אירגנה  
סיורים וקונצרטים ליוצאי גרוזיה ולתיירים. בחסות האירגון הוקמו תאטראות, להקות  
זמר ומחול.  
בשנת 1978 ייסד את "הפדרציה העולמית של יוצאי גרוזיה" אשר אחדה את יוצאי  
גרוזיה המפוזרים ברחבי העולם.  
ב-1983 הקים אירגון פוליטי בשם "עליה וצעירים" והגיש את מועמדותו לבחירות

זאב רהם ספיר



קול לא זאב




מו"ל "עליה מגורגיה"

תל-אביב 2002



- |                     |                       |                           |
|---------------------|-----------------------|---------------------------|
| 2 ფურნე             | 8 ახალი ლოცვა         | 14 შაღელაშვილების წიკვილი |
| 3 ჯვარცმის სასაფლაო | 9 დიდი ლოცვა          | 15 კოწიას კლასი           |
| 4 პოლიკლინიკა       | 10 იეშიბა             | 16 ბათაშვილების ლოცვა     |
| 5 საყოფაცხოვრებო    | 11 აბუაშვილების ლოცვა | 17 კვირიკის სასაფლაო      |
| 6 ებრაელთა სასაფლაო | 12 საავადმყოფო        | 18 ბათაშვილების წიკვილი   |
|                     |                       | 19 მაცის საცხობი          |



**პ ი რ ბ ი თ ი ნ ი უ ნ ა ზ ი**

- |                 |          |                      |         |                               |
|-----------------|----------|----------------------|---------|-------------------------------|
| საავადმყოფო     | წიკვილი  | ებრაელთა სასაფლაო    | მდინარე | მიმართულების მანკენებელი      |
| სკოლა           | სალოცავი | ქრისტიანული სასაფლაო | ქუჩები  | ობიექტის ნომერი და განმარტება |
| სასაკლავო(ბონი) | სამჭედლო | ხიდი                 |         | ჩაის პლანტაცია                |

**დაბა ქულაში**  
პირბითი რუკა





60

აბრეაემ

საპირი(სეფიაფილი)



აბრაამ საპირი  
(სეფიაშვილი)



ქართველი პოეტი რეზო ამაშუკელი  
გაზეთ "ალიას" დაარსებიდან 15  
წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო  
სალამოზე თელ-ავიგში 1989 წ.





აბრაამ და სიმა საპირები

## საპირი (სეფია შვილი)



აბრაამი ქალიშვილ დ-რ ლეა ბეერთან და სიძესთან დ-რ აშერ ბეერთან ერთად

დაიბადა 1942 წელს სამკრედიის რაიონის დაბა კეკელაში. ნინოშვილის სასულიერო-მეცნიერო ინსტიტუტის ფილოსოფიის განყოფილებაში სწავლა დაიწყო. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის განყოფილება. 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის განყოფილება. 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის განყოფილება. 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის განყოფილება. 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის განყოფილება.




აბრაამ საპირი,  
მისი ვაჟი დ-რი  
შაბთაი საპირი და  
რძალი  
დ-რი მინდი საპირი

1962-1965 წლებში ინ-  
დის საკადღებულო  
სამხედრო სამსახურს  
საბჭოთა არმიამ და დავაუ  
კატეგორი უბრუნდება  
მშობლიურ სახლს.  
სამხედრო სამსახურის  
პერიოდში არა-ერთხელ



სიმზა (სიმა) საპირი  
თბილისში მტკვრის  
სანაპიროს ფონზე  
1989 წ.



აბრაამ საპირი  
(მარჯვნივ)  
ამიერკავკასიის  
სამხედრო ოლქის  
პირველობაზე  
კრიგში





აშლოდის  
პორტისმუშაკ  
ქართველ  
ებრაელთა  
შიმშილობითი  
გაფიცვა 1973 წ.  
წინა პლანზე  
გაფიცვის  
ორგანიზატორი  
აბრამ  
სეფიაშვილი

იკავებს საბრძოლო ადგილებს სპორტულ ასპარეზზე (კრივი, პირველი ქვესაშუალო წონა 63.5 კგ). აქვე ავლენს განსაკუთრებულ ნიჭს კლექტრონიკის სფეროში და იღებს უძაღვეს თანრიგს.

1971 წლის ამთავრებს სწავლას ინსტიტუტში და წარმატებით იტავს ინ-უინზის დიპლომს. მას ანიჭებენ ინ-უინერ-შიმიკოსტექნოლოგიის კვალიფიკაციას. 1972 წლის



აშლოდის პორტის მუშაკ ქართველ ებრაელთა შიმშილობითი  
გაფიცვა 1973 წ.

გაფიცულებს  
ხეიბრები და  
ბავშვების  
შეუერთდნენ



10 მაისს ამოდის ისრაელში. იფრიითის მოკლე კურსის ტაჯოს შექმნე ებმევა სასოვლოებრივ ცნო ვრებაში და აშლიდში აყაობებს ისრაელში პირველ საქრთველოდან ამისულ თლეუთა კომიგეებს, რომლის მეშვეობითაც ენძარება საქრთველოდან ამისულ ასობთ თლეს ისრაელში ითლ აბსორბცაში.

1973 წელს სათავეში უღებთ აშლიდის პირტის ქრთველ ებრავლ მეშების შიმშილობით გაფიცვას, რომლის ექიმაც მსოფლიოს ძნავალ ქვეყანას მიაღწია და საბჭოთა კავშირამდე და საქრთველომდეუც კი ხაღწია. გაფიცვა ქრთველ ებრავლთა სრული გამარჯვებით დაშთავრდა და ტოლდა მეირის მთავრობამ მიიღო



გაფიცულთა მხარდასაჭერად ხალხი ქუჩებში გამოვიდა



აბრაამ საპირი (მარჯვნივ) და აშდოდის ქალაქის მერი ცვი ცვილკერი 1974 წ.

გაფიცულთა ყველა მოთხოვნა. ამ გაფიცვის შედეგად აბრაამ სეფაშვილი ისრაელში საქართველოდან ამოსულ უბრალოთა ავტორიტეტულ ბიროვნებად იქცა. (გაზეთი "პაარეკი" (20.7.73) იაირ კოტლერის სტატია - "ზღვადი აბრაამ სეფაშვილი").



აბრაამ საპირი  
დაპყრობილ ეგვიპტის  
ტერიტორიაზე  
(აეროდრომში ფაიდი  
ისმაილიის  
მანლობლად) ქიფურის  
ომში 1973 წ.



აბრამ  
საბინისა და  
გოლდა მეირის  
შეხვედრა  
იერუსალიმში  
1973 წ.  
მთავრობის  
მეთაურის  
პირად  
რეზიდენციაში



იმავე წელს, რამდენიმე თვის შემდეგ, მოულოდნელად იწყება ქიუურის ომი. აბრამ სუფიაშვილი აქაც ავლენს წინამძღოლის უნარს და ისრაელში 18 ანდოდ ამისეულ ქართულ კბრაგლოთან ერთად მონალოსედ ძიდის ომში - ბირ-ველიკე დლიდანვე ომიდან დაბრუნებულს აძლიდის მონახლეობა ერთსელოცნად იზხეკს სანქლაქი მუნეცაბალიტეკის დეპუტატად. ეს ისრაელის ისტორიაში, მუნეცაბალიტეკში



ა. საბინი და ისრაელის მთავრობის მეთაური იცხაკ რაბინი 1976 წ.





დისკრეტული სადილი თელ-ავიგში "ბეით ციონეი ამერიკა"-ში მთავრობის მეთაურ იცხაკ რაბინთან 1975 წ. სუფრას უსხედან (მარჯვნიდან მარცხნივ) : იცხაკ რაბინი, აბსორბციის მინისტრი შლომო როზენი, ქნესეთის წევრი მათილდა გეში, სონსუთის აბსორბციის განყოფილების გამგე იეუდა დომინცი, აბრაამ საბირი, უშიშროების ორგანო "ნათიგ"-ის ხელმძღვანელები : ცვი ნეცერი და ნესემია ლეგანონი

ქართული ებრაელის არხეის პირველი შუქთხევაა, რაზეც წერს გზნეთი "პარეკი" (3.6.75). თავისი არხეით იგი კიდევ ერთ რეკორდს აძლავებს, ის ისრაელის ისტორიაში პირველი თლუა მიული საბჭოთა კავშირიდან, ვინც ისრაელში ამოსვლიდან სულ რაღაც წლინახევრის განმავლობაში სახელმწიფო სტრუქტურაში აირჩიეს საყოველთაო არხეების საფუძველზე.

აშლიდის მუნიციპალიტეტში მოღვაწეობის დროს აქტიურად ენაშრება სა-ქართულიდან ამოსულ თლუებს, აბსორბციის მძიქე გზანუ. მისი ინიციატივით ეწოდა აშლიდის ქუჩებს მ. მინაკაშვილის და ი. ელიაშვილის სახელები, ხოლო ეხორ-ვაგის პარკს ბაახოეების სახელი. აშქნდა ეხორ-ვაგის ტენგრალოზი სალიოკაე.



გაზეთ "იმედის" მე-100 ნომრის გამოცემასთან დაკავშირებულ ზეიმზე. თელ-ავივი 1974 წ. პირველ რიგში სხედან: დანიელ შალელაშვილი, აბსტორბ-ციის მინისტრი შლომო როზენი, მთავრობის მეთაური იცხაკ რაბინი, აბრაამ საპირი (სეფიაშვილი), ქნესეთის წევრი მატეილდა გეზი, რაფი ბალუაშვილი ....

ტრიალებს რა საჭრთველოდან ისრაელში ამოსული ებრაელების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აბრამ სეფიაშვილი არსებს ქართულენოვან გაზეთს "ღია საჭრთველოდან". რომელიც თითქმის 29 წელია ექსანერება იღეთა ისრაელში აბსტორბციის კეთილშობილ საქმეს. (ამ გაზეთის თითქმის 2340 ნომერი გამოვიდა უკვე და დღემდე მისი უცვლელი ხელმძღვანელია).

1975 წელს ირეკენ საბჭოთა კავშირიდან ამოსულ იღეთა სრულიად ისრაელის ტემეციების თავმჯდომარის მოადგილედ და მისი ქართული სექციის პირველ თავმჯდომარედ.

1976 წელს მისი ინიციატივით ედობლება "ისრაელ-საჭრთველოს ძეგობრობის რუსთაველის სახელობის საზოგადოება". რომელმაც მისი ხელმძღვანელობით მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა. ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში ჩატარდა ასობით კონცერტი, ათასზე მეტი ექსკურსია ქართული ებრაელებსათვის და საჭრთველოდან ჩამოსული ასობით ტერისტისათვის. რომლებიც გაკენთილი იყო ებრაელთა სამშობლო

ისრაელისადმი ღრმა სიყვარულით და არ შეკაცებით თუ ვიგყავით, რომ მისი გავლენით ისრაელში ამოვიდა ათასობით ილუ. რუსთაველის საზოგადოებამ კულისინასკურ წერტილიდან აიყვანა საქართველოს ებრაელობისა და ქართველი ხალხის სიყვარული და ურთიერთ-ბაჭივისკება. ამ ირგანიზაციის უკვლით ისრაელში ჩამოყალიბდა არაერთი თეატრალური ჯგუფი, ვოკალურ-ინსტრუმენტული და ქორეოგრაფიული ანსამბლი.

1978 წელს აბრამ სეფიაშვილი აყალიბებს საქართველოდან ამოსულითა მსოფლიო თეატრალურ-კლას, რომელშიც გაერთიანდა საქართველოდან გამოსული ისრაელიდან, ავსტრიიდან, ბელგიიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ამიერიდან საქართველოდან გამოსული ებრაელობას გაუჩნდა წარმომადგენელი მსოფლიო მსშეგებით. სამწუხაროდ სათანადო თინანსების უქონლობის გამო ამ ირგანიზაციამ ბევრი, დაგეგმილი, მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება ვერ შესძლო.



ისრაელის პრეზიდენტი ეფრაიმ კაცირი აშდოდის მუნიციპალიტეტის სტუ-მარია, წინა პლანზე პრეზიდენტში ზის აბრაამ საპირი (მარცხნიდან მესამე) 1976 წ.



აბრაამ საპირი სიტყვას ამბობს გაზეთ "ალია"-ს დაარსებიდან 5 წლისთავის საზეიმო საღამოზე. 1978 წ. პრეზიდენტი შიან მარცხნიდან : მინისტრები ეუდ ოლმერტი და ელიეზერ შოსტაკი, აბრაამ საპირი და ისრაელის პრეზიდენტი იცნაკ ნავონი

1983 წელს ავლიბებს პოლიტიკურ ორგანიზაციას "ალია და ახალგაზრდები", რომელშიც აერთიანებს საბჭოთა კავშირიდან ამოსულ ოლეებს. ამ ორგანიზაციის ევლით ის კენჭს იყრის 1984 წლის ქესეთის არჩევებში. ორგანიზაციის სახელით შერეხილ ქესეთის წევრობის კანდიდატთა სააში პირველ ადვლნეა აბრაამ საპირი (სეფაშვილი), ხოლო მეორე ადვლნე რუსულენოვანი ურნალის "კრუგი"-ს ში. რელაქტორი გეორგ შორდელი.

1985 წელს მისი ხელმძღვანელობით ელიბდება - დასავლეთ საქრთველოში წყლდილობის შერეად დაწარლებულთა დაწარების ეინდი, რომელიც თვეების ეანმავლობაში აერთეებს სახსრებს და ათიათასობით დოლარს ურიტნაკს დაწარლებულებს. ამ ეინდის ხარხობებში მისივე ხელმძღვანელობით იმართება დიდი საშვეთ კონკერტი, რომელშიც მინაწლეობას დებულობდენ საქრთველოდან

ისრავლში ამისულო ხკლოენების თსტატები.

1986 წელს ისრავლში ხამოლის საწრთველოში სახელგანთქმული საესტრადო ანსამბლი "თრერა". გზეთ "ალიას" რელაქია აბრამ საბირის ხკლომდვანკლობით დიდი ბატვიეთ დებს სტეპრებს და უმართავს მათ განმაურებულ ბანკებს სასტეპრო "რამადაში". დამსწრეთა აზრით ეს იყო მალალი დონის, ინკლოექტუალური წკეულება. ამ წკეულების ვიდეოფირი წლების განმავლობაში ხკლოდან ხკლოში გადადიოდა, თბილისში.

1989 წელს საწრთველოს მთავრობის თეიკიალოური მსწკევით თბილისს, ჯკრ კიდეკ კომუნისტთა მმართველობის პერიოდში, ესტეპრა ისრავლ უკრ-ხლისტთა დელეკატია აბრამ საბირის ხკლომდვანკლობით. ამ დელეკატის ვინეტი საწრთველოს სხვადასნვა კეთსეში დეკენდარული შკეკებით აღინიშნა. თვით საწრთველოს



გაზეთ "ალია"-ს დაარსებიდან მე-7 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. 1980 წ. პრეზიდენტში სხედან მარცხნიდან: სონსუთის თავმჯდომარე არიე დულჩინი, პარლამენტის წევრი ორა ნამირი, აბსორბციის განყოფილების გამგე სონსუთში გენერალი უზი ნარკისი, დ-რი დათო შიმშილაშვილი, ჰისტორიუთის თავ-რე იერუნამ მეშელი, აბრამ საბირი, მთავრობის მეთავური შიმონ ფერესი

თეოკალური პირების აზრით, ასეთი მაღალი დონის ძიება საქართველოში არ ღირსება წოციერთი სანჯომწიეთის ძეთაურს და ამერიკის სანჯომწიეთ ძიევის ჯღონჯე შუღესსკ კი. ისრაელის დელეგატია გუღმწერვალელ ძიიღო სანურის (სურამის), ქუთაისის, თნის, ცხაკაის, ფოთის, ბათუმის, ვანის, სამგრედიის და სხვა რაიონების ძიწინავე სანოჯადოებამ. ფენზე დამდჯარმა და თვალცრქედიანმა ძიისძინა აბრაამ საბირის ძიურ წარძითქმული სიგყვა თბილისის ფიღარძინის ხაღნით გექედიღმა დღმა საკონცერტო დარბაზმა. საქართველოს რუსთაველის სანოჯობის სანოჯადოების ძიორე ყრდილობის დელეგატები, რომელთა შორის იყენ სანოჯადოების ძიარობის, ბარლაძენგის, სამეცნიერო დარქესებუღებების, აკადემიის, უნივერსიტეტების, კულტურის ძიუმა კთა, რაიონებისა და სანოჯადოების სხვა წარძიმაღენლები, ხშირად, ძიქუნარე ტაძით აწყვეტებდენ სიგყვას. ყრდილობამ ის აიწხია, რუსთაველის სანოჯადოების საძიენის პირველი, უცხოელი, საბაგით წეკრად. აბრაამ საბირის ძიურ



ისრაელის თავდაცვის მინისტრი არიელ შარონი (მარცხნივ) ესაუბრება საქართველოს არქიებისკომპოს იღია მეთრეს. მათი შეხვედრა მოაწყო აბრაამ საბირმა (მარჯვნივ) 1981 წ.



თავდაცვის მინისტრი არიელ შარონი და  
აბრაამ საბირი აშდოდში 1982 წ.

წარმოთქმული სიტყვა პირდაპირ გადაიკვიდა რადიოთი და ტელევიზიით.

აბრაამ საბირს შენეებები პქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან - გივი გუმბარაძესთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან - ნოდარ ქითანავასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივან - ჯუმბერ პაგიაშვილთან, მინისტრებთან, აკადემიკოსებთან და უნივერსიტეტების რექტორებთან. თბილისის ხელომღვანელებთან (ხედავ გამსახურდია და შერაბ კოსტავა), პატიარქ. მის უწმინდესობა დღია მეთრესთან, საქართველოს უერნალისტთა კავშირის, საქალაქო, რაიკომების და საოლქო კომიტეტების ხელომღვანელებთან. დელოვტა ეწვია საქართველოს მიწინავე უერნალ-განეთების რედაქციებს და სხვა.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი საგანგებო ბრძანებით,



აბრამ საბირის შეხვედრა მთავრობის მეთაურ იცხაკ შამირთან, მთავრობის მეთაურის კანცელარიაში, მარჯვნივ ნაწილობრივ მონანს ფინანსთა მინისტრი მეირ შიტრითი

მთავრობის უმაღლესი ჯგუფითი - საქრთველის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბაჭიო სიგელით დააჯილდოვა აბრამ საბირი (სეფაშვილი), რაც უბრუნდებოდა შექმნილი იყო სსრ კავშირის ისტორიაში.

მთავრობის ეს უმაღლესი ჯგუფი თვით პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, კვარაცხელიამ გადასცა მას მთავრობის სახლის საჭეთი დარბაზში, პრესის, რადიოს და ტელევიზიის ათობით უუზნაღისების თვალწინ.

1993 წელს აბრამ საბირს ირჩევს ქალაქ ბათუმის მერის მოადგილის პოსტზე. განეთის "ნიუოსტი ნეკლი" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, რომელიც ჩატარდა 1998 წლის ივლისში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ისრაელში ამოსულობა შირის, იმის შესახებ კვლავ: თუ ვის თვლიან რეპატრიანტები თავიანთ ლიდერად, აბრამ საბირმა 35-ე ადგილი დაიკავა მთელი საბჭოთა კავშირიდან ამოსულობა შირის, ხოლო ბირველი ადგილი საქრთველიდან ამოსულობა შირის.

2001 წლის დასაწყისში "სახოვადოებრივი აზრის შექმნის ინსტიტუტის" -  
**გაგრძელება იხ. მე-36-ე გვერდზე**





ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი დავიდ ლევი ფურიმის  
დღესასწაულს ულოცავს აბრაამ საპირ- სეფიაშვილს



მარცხნიდან : აბსორბციის მინისტრი აარონ უზანი, აბრაამ  
საპირი და ისრაელის პრეზიდენტი ხაიმ შერცოვი 1983 წ.



მარცხნიდან : მინისტრი რონი შილო, აბრაამ საპირო დ ბენიამინ ნეთანიაუ



აბრაამ საპირს საზეიმო ვითარებაში ირჩევენ ბათ-იამის მერის მოადგილის პოსტზე 1994 წ.





მარცხნიდან  
მარჯვნივ :  
მოაფრობის  
ყოფილი  
მეთაური  
ივხაკ შამინი,  
ისრაელის  
პრეზიდენტი  
მიშე კაცაგი,  
მინისტრი  
რონი მილი,  
აბრაამ საბირი  
და მოაფრობის  
მეთაური  
ბენიამინ  
ნეთანიაუ  
აშდოდში  
ერთ-ერთ  
საზეიმო  
შეხვედრაზე



მთავრობის მეთაური ბენიამინ (ბიბი) ნეთანიაუ და მისი მეუღლე  
სარა სტუმრად აბრაამ საბირის ოჯახში.



მარჯვნიდან მარცხნივ : რეჟისორი და ოპერატორი ვია ქუბაბრია,  
ისრაელის ქნესეთის თავ-რე დოვ შილანსკი, პროფ. ოთარ  
სეფიაშვილი მეუღლით, აბრაამ საბირი და ვაჟა თოფჩიაშვილი  
იერუსალაიმში ქნესეთის თავ-რის კანცელარიაში



აბრაამ საპირის შეხვედრა საქართველოს მთავრობის მეთაურ ნოდარ ჭითანავასთან 1989 წ. შეხვედრას ესწრებოდნენ : საქართველოს განათლების მინისტრი ოთარ ქინქლაძე (მარჯვნიდან პირველი) და დამსახურებული ჟურნალისტი შალვა სვანი



ისრაელის ჟურნალისტთა ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელის აბრაამ საპირის შეხვედრა საქართველოს მთავრობის მეთაურ ნოდარ ჭითანავასთან მთავრობის სახლში. აბრაამის მარცხნივ ზის გაზეთ "იედიოთ ახრონოთ"-ის წამყვანი ჟურნალისტი - ნოახ კლიგერი



აბრამ საპირის შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან გივი გუმბარიძესთან თბილისში ცეკა-ს შენობაში 1989 წ



ისრაელის ბიზნესმენთა ჯგუფის (ხელმძღვანელი ა. საპირი მარცხენა მხარეს ცენტრში) შეხვედრა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელებთან (მარჯვენა მხარეს ცენტრში მთავრობის მეთაური ნოდარ ჭითანავა)





ისრაელის ჟურნალისტთა ოფიციალური დელეგაციის  
ხელმძღვანელის აბრაამ საპირის შეხვედრა საქართველოს  
არქიეპისკოპოს ილია მეორესთან, არქიეპისკოპოსის კანცელარიაში



საქართველოს კომპარტიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
შენიშვნაში 1989 წელს., აბრაამ საპირის პრეზიდიუმის უმის საპატიო  
სიგელით და'ილდოების წინ

ისრაელის  
 ავტორიტეტულად  
 თრეანიზაციამ  
 "კერენ  
 კაიკეთი"  
 თაგის ოქროს  
 წიგნში,  
 ისრაელის  
 გამორჩეილ  
 ბიოგრაფების  
 გვერდით  
 აღდილი  
 დაუთმო  
 აბრაამ საბირს.

ფურცელი,  
 რომელიც  
 აბრაამ საბირს  
 მიუძღვნა





ისრაელის რუსთაველის საზოგადოების  
თავმჯდომარე და გაზეთ „ალია საქართველოდან“  
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

**ბატონი აბრამ სოფიაშვილი**

(აბრამ სოფიაშვილი)

არჩეულია სრულიად საქართველოს რუსთაველის  
საზოგადოების საპატიო წევრად

სრულიად საქართველოს  
რუსთაველის საზოგადოების  
თავმჯდომარე

**აკაკი ბაქრაძე**

"რუსთაველის სახელობის საზოგადოების" საპატიო წევრად  
არჩევის სიგელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!  
Пролетарии всех стран, соединитесь!



საქართველოს სსრ  
უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საბატო სიგელი  
ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

Президиум Верховного Совета  
Грузинской ССР

საბატო სიგელის გარე ყდა







აბრამის ინიციატივით აშდოდში გაიხსნა მიხაკაშვილის ქუჩა. საზეიმო ცერემონიალის პრეზიდიუმში სხედან: მარჯნიდან - მორის მიხაკაშვილი, ცვი ცილკერი - აშდოდის მერი, რიშონ-ლეციონი ისრაელის მთ. რაბი ყოვადია იოსეფი, ხანამ რეფაელ ელაშვილი, დ-რი იოსეფ ბურგი - ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრი, მიკროფონთანაა აბრამ საპირი



ისრაელის ჟურნალისტთა დელეგაციის საზეიმო მიღება სურამის თეატრში 1989 წ. ცენტრში სხედან სიმა და აბრამ სეფიაშვილები, პოეტი, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე რეზო ამაშუკელი და რაიკომის პირველი მდივანი როლანდ ლოლაძე



დოვ გაბონოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მიჰყავს ა. საპირს. საბატო პრეზიდენტში მის გვერდით ზის ბორისის (დოვის) დედა ბელა გაბონოვა.



აბრაამ საპირი ხელმძღვანელობს საქართველოდან ისრაელში ჩამოსულ ტურისტთა ექსკურსიას ტრაგედიის მუზეუმში (იად-ვაშემ) იერუსალიმში





აბრაამ სეფიაშვილი ქართველ ებრაელთა სახელით სამახსოვრო საჩუქარს გადასცემს ამერიკის ელჩს ისრაელში კენეთ კიტინგს, ამერიკის პრეზიდენტისათვის გადასაცემად. ელჩის (დგას) გვერდით ზის "სონუთი"-ის თავმჯდომარე ფინხას საპირი



მშობლიურ ბათუმში 1989 წ. აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თავისი კანცელარიის წევრებთან ერთად გამოვიდა საპატ-ით სტუმრების აბრაამ და სიმა სეფიაშვილებისსაპატივცემოდ ბათუმის ზღვისპირა პარკში ფეხით გასასეირნებლად



მარცხნიდან მარჯვნივ : სცენარისტი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე, აბრამ საპირი (სუფიშვილი, რეჟისორი გიორგი დანელია და ვაჟათოფნიაშვილი



შაბთაი აბრამის ძე საპირის ბარ-მიცვა იერუსალაიმში გოდების კედელთან 1981 წ. მარცხნიდან : ბოეტი იაკობ ჩიკვაშვილი, ჟურნალისტი შოთა მირილაშვილი, ხანამ რეფაელ ელაშვილი, შაბთაი საპირი, რაბი ხანამ იაკობ დავარაშვილი, ხანამ ფინნას ქოენი-იენისკვილაშვილი, აბრამ საპირი და მიშა (ერთო) ბოთერაშვილი - შაბთაის ბაბუა



შაბთაი საპირის ქორწინება ბნეი-ბრაკში 1993 წ. სათანო ქეთუბაზე მიჰყავთ პირველ რიგში მარცხნიდან დ-რი აშერ ბეერი, აბრაამ საპირი, შაბთაი და მორდეხაი დე-ლა-ფუენტე - დედოფლის მამა, მის უკან მოაბიჯებს რაანა-ნის მთავარი რაბი, მთავრობის მეთაურის მოადგილე რაბი იცნაკ ფერეცი



აბრაამ საპირის ქალიშვილი მედიცინის კაპიტანი ცაჰალში დ-რი ლეა ბეერი და უფროსი შვილიშვილი რეყუთი







გაზეთ "ალიას" დაარსებიდან 7 წლისთავისადმი მიძღვნილი  
ზეიმი. თელ-ავივი "ჰეისალ ჰათარბუთი" 1980 წ.



სიმა საპირი ატლანტიკ სიტის (აშშ) ცნობილ კაზინო "თაჯ-  
მაჰალ"-ის მე-18 სართულის აივანზე



აბრამ და სიმა სეფიაშვილები შვილიშვილებთან ერთად. ასაკის  
მიხედვით რეყუთი, ავიადი, ნეთანელი, ჰილა, ევიათარი, ცურიელი  
სიმას დაბადებიდან 50 წლის აღსანიშნავ ზეიმზე 2000 წ.





გაზეთ "ალიას" რედაქტორები. მარცხნიდან : ვაჟა თოფჩიაშვილი, აბრაამ საპირი და სულთ სეფიაშვილი



აბრაამ საპირი "კადიშ"-ს ამბობს დოვ გაბონოვის საფლავთან



ესტრადის გარსკვლავი  
თამრიკო გვერდწითელი,  
აბრამ საპირი და  
ქართლოს კასრადე ბენ-  
გურიონის აეროპორტში  
1989 წ.

ნეშაძე" მიერ ჩატარებულ გამიკითხვაში, ისრაელში საქართველოდან ამოსვლათა შორის, შეკითხვაზე: - ვინ მიგზნობთ ისრაელში ყველაზე ღირსეულ და დამსახურებულ პირად - ლიდერად, აბრამ საპირი (სეფიაშვილი) დაასახელა გამიკითხვლათა 33.47 - % და მას პირველი ადგილი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ მან 4-ჯერ და მეტჯერ მეტი ხმა მიიღო საზოგადოებიდან. ვიდრე მეორე ადგილზე გამოსვლამ.

ისრაელში თავისი უუნარიანობის მღვაწეობის ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აბრამ საპირმა გამოაქვეყნა ასობით პუბლიცისტური შრომა, სტატია, რეპორტაჟი, გამოხმაურება და სხვა. მის მიერ "რედაქციონის კუთხის" რეპორტაჟის ჩარჩოებში გამოქვეყნებული ათობით პოლიტიკური მიმხინდელა დიდი პოპულარობით სარგებლობდა მიკითხვებში.

1999 წელს აბრამ საპირი შეყვანილ იქნა ორგანიზაცია "კერქ კაიეთის" თქმის წიგნში (მას მიუღია ფურცელი - ორი გვერდი დაეთმო ამ წიგნში). ის ისრაელში ამოსული პირველი ქართველი ებრაელია, რომელიც შეყვანეს ამ საბაჟითი წიგნში (ისრაელის სახელმწიფოს საიუბილეო 50-ე წელს), ყველაზე გამორჩეულ და დამსახურებულ პირთა გვერდით.

2000 წელს აბრამ საპირმა გამოსცა თავისი ლიტერატურული ნაწარმიებების კრებული პირველი წიგნი სახელწოდებით "პარიზი, ბინი, ნიუიორი". ეს პირველი ცოცხალი იმ ნაწარმებისა, რომელიც მან წლების მანძილზე გამოაქვეყნა რაზეთ "აღიას" ფურცლებზე.



გაზეთ "ალიას" თანამშრომლების ნაწილი 1989 წ. რედაქციაში.  
 მარცხნიდან : ნანა (მზია) სეფიაშვილი, დორით როზენი, ნანა  
 აარონი (კრიხელი), სულთ სეფიაშვილი, აბრამ-სეფიაშვილი და  
 სიმა სეფიაშვილი

რამდენიმე თვის წინ გამოიკა მისი პეორე წიგნი: - "კულაში - ნანანი, განცდილი,  
 გეტონილი", რომელიც ძალზე თბილად მიიღო კეთხეკლმა.

ღნიშნული წიგნის ივრითულენოვანი ვარიანტი სულ ანლახან დაბეჭდა და  
 გაერტკლდა.

დეისათვის აბრაბი მხნედ უდგას სათაკეში ქართულ ებრაელთა ერთადერთ,  
 სტაბილურ, საინფორმაციო ორგანოს, გაზეთ "ალიას" და პინხათლად ასრულებს მთ.  
 რედაქტორის მხელ მისიას.

აღსანიშნავია, რომ ის თავისუფლად წერს, კითხულობს და საუბრობს ქართულ,  
 რუსულ, ივრითულ და ინგლისურ ენებზე. ამის წყაღულობთ შეხედეთ მან. მსოფლიოს  
 მრავალი ქვეყნის მოვლა და შექმდომში მის მიერ აღწერილმა მოგზაურობის  
 შთაბეჭდილებებმა, მონიბლა ათიათასობით კეთხეკლი.



# מטרופולין בעל כור

## אופוזיציה וקואליציה

במסגרת תוכנית המטרופולין בעל כור, מתקיימת תחרות בין מפלגות הממשלה ובין מפלגות האופוזיציה על מנת להשיג את תמיכתו של הציבור. מטרת התוכנית היא להעלות את רמת החינוך והתרבות של הילדים, ולהפוך את המטרופולין בעל כור לאחד מהמטרופולינים הגדולים בעולם.

התוכנית כוללת מספר יוזמות, בהן: הקמת מרכזי חינוך ותרבות, הפקת סדרות טלוויזיוניות, והקמת מוזיאונים ואתרים תרבותיים. מטרת התוכנית היא להעלות את רמת החינוך והתרבות של הילדים, ולהפוך את המטרופולין בעל כור לאחד מהמטרופולינים הגדולים בעולם.

# Immigrants resent being

## They charge that

### אשדוד הגרומים ומסתערים והמפלגות בחזנות



מטעמי אגודת ישראל מרשימים מסתערים על בני העדה בארץ. המסתערים טוענים כי הממשלה אינה מקדישה מספיק משאבים להגירת הילדים, וכי היא מתעללת בהם. הם דורשים מהממשלה להקטין את גובה המיסוי, ולהקטין את גובה המעסיק. הם טוענים כי הממשלה אינה מקדישה מספיק משאבים להגירת הילדים, וכי היא מתעללת בהם.

### המנהיג אברהם

מטעמי אגודת ישראל מרשימים מסתערים על בני העדה בארץ. המסתערים טוענים כי הממשלה אינה מקדישה מספיק משאבים להגירת הילדים, וכי היא מתעללת בהם. הם דורשים מהממשלה להקטין את גובה המיסוי, ולהקטין את גובה המעסיק. הם טוענים כי הממשלה אינה מקדישה מספיק משאבים להגירת הילדים, וכי היא מתעללת בהם.

# MICHAEL ALON, whose job

## includes fighting the battles

### Georgian immigrants in the

Georgian immigrants in the struggle with the authorities, claim that many could have been helped. The article discusses the challenges faced by Georgian immigrants in Israel, including difficulties in finding employment and integrating into society. It mentions Michael Alon, who is involved in fighting for the rights of these immigrants.

### 2 תיעוקות נשפרו למוות

שני תיעוקות נשפרו למוות. מדובר בשני מקרים של תיעוקות, בהם הילדים נשפרו למוות. מדובר בשני מקרים של תיעוקות, בהם הילדים נשפרו למוות.



# מעריב

16 יום ה' 5974 - ר"ח אלול תשמ"ד

### מ"מ עם עובדי המברקה

לא העלה פתרון לסכסוך. המ"מ לא העלה פתרון לסכסוך עם עובדי המברקה. המ"מ לא העלה פתרון לסכסוך עם עובדי המברקה.

### התאוששות קלה

בעליה מבריד"מ. בעליה מבריד"מ התאוששות קלה. בעליה מבריד"מ התאוששות קלה.

### ג'יבור מקומי

במסגרת תוכנית המטרופולין בעל כור, מתקיימת תחרות בין מפלגות הממשלה ובין מפלגות האופוזיציה על מנת להשיג את תמיכתו של הציבור. מטרת התוכנית היא להעלות את רמת החינוך והתרבות של הילדים, ולהפוך את המטרופולין בעל כור לאחד מהמטרופולינים הגדולים בעולם.



### בית ערים

בגרוזיה לבת'ם. בית ערים בגרוזיה לבת'ם. בית ערים בגרוזיה לבת'ם.

### עריה חולון תאשר חריגות

בנייה של הקבלן נתגאל. עריה חולון תאשר חריגות בנייה של הקבלן נתגאל. עריה חולון תאשר חריגות בנייה של הקבלן נתגאל.



### המנדט

המנדט. המנדט. המנדט.



60



გამომცემლობა „აღია საქართველოდან“,  
2000